ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 მაისი 2004 №110 (2129) ფასი 50 თეთრი


# ბლატერმა მსოფლიოს სამხრეთ აფრიკა ამოუღო

ნელსონ მანდელას მორიგი ტრიუმფის ჟამი დაუდგა, შაბათს იგი სამხრეთ აფრიკის დროშას აფრიალებდა — ოცნება ასრულდა, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი მის ქვეყანას ეწვევა. ფიფამ 2010 წლის მუნდიალის მასპინძლობა სამხრეთ აფრიკას დაავალა, რაც არა მხოლოდ ამ კონკრეტული ქვეყნის, არამედ სრულიად აფრიკის დიდ ზეიმად ჩაითვალა. აქამდე შავ კონტინენტს მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის პატივი არ ხვდომია წილად



REUTERS




REUTERS




REUTERS

# 19: ვახო მას, 17: თაზო მას

როგორც იქნა, ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელები შეარჩია და შაბათის აღმასკომზე დაამტკიცა კიდეც.

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის საკითხი ერთი თვის გადაწყვეტილი იყო და ყველამ იცოდა, რომ მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა იქნებოდა, შაბათამდე გაურკვეველი იყო 19 და 17-წლამდელთა მწვრთნელების საკითხი. 19-წლამდელთა თავკაცის დანიშვნას კენჭისყრა დასჭირდა. კახა ცხადაძეს და ვახტანგ კოპალეიშვილს აღმასკომში მხარდამჭერნი არ აკლდნენ და კენჭისყრაც იმიტომ მოეწყო. უფრო გამოცდილი კოპალეიშვილის სასარგებლოდ მეტი ხმა მოგროვდა და ეს საქმეც საბოლოოდ ასე მოგვარდა.

17-წლამდელთა თავკაცის შერჩევისას აღმასკომს ბევრი არ უმსჯელია, თითქმის ერთხმად დაამტკიცეს თამაზ კოსტავა, რომელიც პირველლიგელ „ამერში" საქმიანობს.

შევახსენებთ, ვახტანგ კოპალეიშვილი ადრე 18-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა და იმ გუნდმა ევროპის ჩემპიონატსაც გაუსინჯა გემო.



ვახტანგ კოპალეიშვილი



თამაზ კოსტავა




# დაცემა

## მორჩა რეალის გრიალი

## ელ გალაქტიკო მაჩანჩალამაც აჩანჩალა

*ფეხბურთის ფედერაციის შაბათის ალმასკომის სხდომაზე მოსალოდნელი ხმაური მშვიდმა ვითარებამ შეცვალა. იმ საქმის გარჩევას, რაზეც წინა კვირაში სალაპარაკო ბევრი იყო, ორ საათზე მეტი დასჭირდა. შესაბამისად, სამი საათისთვის დანიშნული პრესკონფერენციაც ხუთისთვის დაიწყო.*

*წინა კვირის სკანდალი, რაც „თბილის" — „დინამოს" შეხვედრას მოჰყვა, ჩანს, ისევე ჩაიფარცხა, როგორც სხვა ბევრი გახმაურებული საქმე. ალმასკომის წევრებმა სხვა საქმე რომ მოილიეს და მცირე კამათის შემდეგ ასაკობრივ ნაკრებებს მწვრთნელები დაუნიშნეს, „თბილის" — „დინამოს" მიადგნენ და ბევრი ილაპარაკეს თუ ცოტა, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს:*

# ᲓᲐᲛᲠᲔᲙᲐᲕ ᲨᲔᲚᲘᲐᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐᲕᲔᲜ



რევაზ არველაძე, ეკა გაბაშვილი, მერაბ ჟორდანია და ანდრო აბაშიძე

— სამეგრელოს რეგიონული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ცაცა შელია სამუდამოდ მოიკვეთა ფეხბურთიდან. „თბილის"—„დინამოს" მსაჯთა ბრიგადა კი სეზონის ბოლომდე ვეღარ მოემსახურება ჩემპიონატის მატჩებს.

ა, სულ ეს იყო იმის პასუხი, რაზეც წინა კვირაში ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. მოკლედ შეგახსენებთ რა საქმე იყო: „თბილის" — „დინამოს" მატჩის მსაჯმა კახა მესხმა თამაშის შემდეგ ინსპექტორ ოთარ გუნთაძეს უთხრა, მატჩამდე რამდენჯერმე დამირეკეს და დამემუქრნენ, თუ „დინამომ" ვერ მოიგო, შენ და შენს ოჯახს დავაწიოკებთო. მოგვიანებით მესხმა დაასახელა ცაცა შელიას სახელი, ის მემუქრებოდაო.

— ალმასკომის სხდომაზე მოვუსმინეთ მატჩის მსაჯს, ინსპექტორს, ორივე გუნდის წარმომადგენლებს. დეტალურად განვიხილეთ კახა მესხის ახსნა-განმარტებითი ბარათი და დავრწმუნდით, რომ მართლაც იყო მუქარა. მსაჯს რამდენჯერმე დაურეკა ცაცა შელიამ, ვინც სამეგრელოს რეგიონული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია — თქვა პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ — გადავწყვიტეთ, რომ ცაცა შელიას სამუდამოდ ავუკრძალოთ ფეხბურთში საქმიანობა და ვფიქრობთ, ეს საქმე გადავცეთ პროკურატურას, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებია და იმიტომ. კლუბების პოზიცია იყო, რომ ეს საქმე საფეხბურთო სამყაროში გარჩეულიყო და მოგვარებულიყო, თუმც ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ და პროკურატურაც ამიტომ ვახსენე. ერთხელ და სამუდამოდ ფეხბურთი კრიმინალური ელემენტებისგან უნდა გაიწმინდოს.

გვსურდა, დღევანდელ სხდომას თავად ცაცა შელიაც დასწრებოდა, ამის თაობაზე სამეგრელოს ფედერაციის პრეზიდენტს სერგო კვარაცხელიას ვაცნობეთ კიდეც, მაგრამ შელიას ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.

მესხმა მსაჯობა ცუდად არ იცის, მაგრამ ხშირად ხვდება ხოლმე კონფლიქტურ სიტუაციებში. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მესხთან დაკავშირებული ყველა სკანდალი შემთხვევითობა არ იყო. „თბილისი" — „დინამოს" მატჩის შედეგი უცვლელი დარჩება, სატურნირო ვითარება არ შეიცვლება.

დარწმუნებული ვართ, რომ მესხთან ცაცა შელიას ტელეფონითაა დარეკილი, ეს ნაღდია და ვფიქრობთ, არც თქვენ ეჭვობთ. საქართველოში მსაჯობას იქამდე არაფერი ეშველება, სანამ თვითონ კლუბები არ შეწყვეტენ მათთან კავშირს. გამოსავალი ის არაა, რომ გადამწყვეტი თამაშებისთვის მსაჯები უცხოეთიდან ჩამოვიყვანოთ.

მერაბ ჟორდანიას შემდეგ სიტყვა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ანდრო აბაშიძემ აიღო და იმ სტრუქტურულ-საკადრო ცვლილებებზე ილაპარაკა, რომელიც ალმასკომმა მისი წარდგინებით დაამტკიცა. აღმასრულებელი დირექტორის თქმით, ფედერაციაში გაუქმდა ყველანაირი დეპარტამენტი და კომიტეტი. ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა რევაზ არველაძე, რომელიც ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად წმიდნა საფეხბურთო საკითხების მოგვარებით იქნება დაკავებული. ფედერაციის სამეურნეო საქმიანობას თავად აბაშიძე უხელმძღვანელებს. კომიტეტებიდან დარჩა მხოლოდ ორი, სამსაჯო და საინსპექტორო, ფედერაციის დანარჩენი საქმიანობა კი ამ მიმართულებებით გაგრძელდება: ადმინისტრაციული, ფინანსური, კომერცია და მარკეტინგი, სალიცენზიო-სატრანსფერო და საზოგადოებასთან ურთიერთობა. ყველა ამ მიმართულებას თავისი ხელმძღვანელი ეყოლება, თუმც ალმასკომმა ჯერ მხოლოდ სამი დაამტკიცა: საზოგადოებასთან ურთიერთობას ეკა გაბაშვილი გაუძღვება, კომერცია-მარკეტინგს ოთარ ნიშნიანიძე, ფინანსებს უწინდებურად გერა ხეცურიანი. დანარჩენ მიმართულებებს კი კურატორობას ისინი გაუწევენ, ვინც ამ საქმეებს აქამდე აკეთებდა. ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე ფედერაციის სუბიექტებთან ურთიერთობის კურატორი იქნება.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

*„თბილის"—„დინამოს" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი იმდენად უცნაურად დაიწყო, რომ მოსალოდნელი იყო, ალმასკომის იმ სხდომაზე, რომელიც შაბათს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა, ბევრი რამ ბოლომდე არ გაირკვეოდა. „დინამოს" მმართველმა დირექტორმა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ გუშინდელ საუბარში კიდევ ერთხელ ახსენა აბსურდი და, როგორც ჩანს, მთლიანად ქართული ფეხბურთია ერთი დიდი აბსურდის თეატრი...*

# ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ?

— დავიწყოთ იმით, რომ როდესაც ეს ეგრეთ წოდებული სკანდალი აგორდა, ჩვენ კიევში ვიყავით და სრულ ინფორმაციას არ ვფლობდით. ყველაფერს სატელეფონო საუბრებით ვიგებდით. შაბათს, გამთენიისას, თბილისში დავბრუნდით და 14 საათზე უკვე ალმასკომის სხდომაზე მივედით. ასე რომ, მოსამზადებლად საკმაოდ მცირე დრო გვქონდა.

— როგორ ფიქრობთ, დროის სიმცირის მიუხედავად, შეძელით „დინამოს" პოზიციების დაცვა?

— ბრალდება, თუ შეიძლება მას ეს ეწოდოს, აბსურდული და თითიდან გამოწოვილი იყო. ვერავის დავეთანხმები, რომ ალმასკომზე სათანადო საბუთი წარმოადგინეს, ვინაიდან, როგორც ალმასკომის წევრი, ვთვლი, საბუთად შეიძლება ჩაითვალოს მატჩის შემდგომ მსაჯის ან კომისრის მიერ შედგენილი ოქმი და არა 11 მაისს, ანუ თამაშიდან ორი დღის შემდეგ შექმნილი საბუთი.

— გადაწყვეტილი იყო, ალმასკომზე მედია დაეშვათ, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს...

— არ დავმალავ და, ეს ჩემი მოთხოვნა იყო. მიმაჩნია, რომ ალმასკომი ის ორგანოა, რომელიც დახურულ კარს მიღმა უნდა თათბირობდეს, იღებდეს გადაწყვეტილებებს და ამის შემდეგ ეწყობოდეს პრესკონფერენცია. სხვათა შორის, თავადვე შევთავაზე, თუ ეს ვარიანტი ხელს არ გაძლევთ, მივიდეთ რომელიმე ტელევიზიის სტუდიაში და საჯაროდ იქ ვილაპარაკოთ.

— ფაქტი ფაქტად რჩება, „დინამო" საკმაოდ უსიამოვნო ისტორიაში გაეხვა. ვის უნდა აძლევდეს ეს ხელს?

— არ ვიცი, ამგვარი ხმაურის ატეხვა ვის წისქვილზე ასხამს წყალს. ალმასკომის მიმდინარეობისასაც უამრავმა უცნაურობამ იჩინა თავი. მარტო მესხის განცხადება რად ღირს?

— უცნობმა ნომერმა დამირეკა, მითხრა, „შავი" ვარ, შემეშინდა და ასე შემდეგ. სხვა დარღვევებს რომ თავი დავანებოთ, ესეც უცნაურია. შეხვედრის კომისარი ოთარ გუნთაძე მსაჯობას ნორმალურად აფასებს და თამაშის შემდეგ არც „თბილისის" ხელმძღვანელობას უთქვამს სამდურავი. კი, ბატონო, მოიკვეთა ფეხბურთიდან ცაცა შელია, მაგრამ აქედან რა?

— თავად ცაცა შელიას რა შეხება აქვს „დინამოსთან"?

— არანაირი. ალმასკომმა თავისი კომპეტენციის მაქსიმუმი გააკეთა, უღირსი კაცი ფეხბურთიდან მოკვეთეს, მაგრამ ხომ შეიძლება, ცაცა შელიამ იქით იჩივლოს, რის საფუძველზე მომკვეთეთო?



— ალმასკომის შემდეგ მერაბ ჟორდანიამაც იგივე განაცხადა, ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვეძლო და თუ საქმე კრიმინალთან გვაქვს, მაშინ შესაბამისი ორგანოებიც ჩაებმებიან ძიებაშიო...

— მაქსიმალური სასჯელი, რისი გამოტანაც ალმასკომს შეუძლია, ფეხბურთიდან მოკვეთაა. კი, ბატონო, დაინიშნოს ძიება და ჩვენ არც ამ ორგანოების მუშაობას დავემალებით.

— კლუბის მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილი თუ ჩააყენეთ საქმის კურსში?

— ბატონი ბადრი საქმის კურსშია და საკმარისად ინფორმირებულიცაა.

— „ვიტ ჯორჯიასთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გელით. დაძაბულობის მოსახსნელად ბიჭებს განსაკუთრებული პრემიალური წახალისება ხომ არ დაუწესეთ?

— თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა დაკონკრეტებას მოვერიდები, ვინაიდან ეს კლუბის კომპეტენციაა.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲐᲫᲔ**

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ**

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
XXXVII ᲢᲣᲠᲘ

**ᲛᲣᲠᲡᲘᲐ 2:1 ᲠᲔᲐᲚᲘ**

# ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ — ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ

**ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ** ალმასკომს და მის გადაწყვეტილებებს სკანდალური „თბილის" — „დინამოს" შესახებ ქართულ საფეხბურთო წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ერთი ნაწილი თვლის, რომ ალმასკომი უფრო მკაცრად უნდა მოჰქცეოდა ამ სკანდალში გარეულ ხალხს, ზოგის აზრით, ალმასკომმა ვერაფერიც ვერ დაამტკიცა და ფეხბურთიდან მოკვეთილ ცაცა შელიას იქით შეუძლია, ფედერაციას უჩივლოსო.

როგორ აფასებს ალმასკომის გადაწყვეტილებას „თბილისი"? ამ კითხვაზე კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი *მამუკა გუგეშაშვილი* გვპასუხობს:

— ფაქტია, რომ „თბილისი" ყველანაირად, ყველაფერში გამართლდა. გამოჩნდა, რომ როგორც ვამბობდით, რასაც ვამტკიცებდით, ყველაფერი ისე ყოფილა. სხვა დანარჩენი კი ფედერაციამ და მისმა ალმასკომმა გაარკვიონ.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ᲙᲝᲠᲓᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘᲐ

*ეს სეზონიც დამთავრდეს და „სკონტოს" დავემშვიდობებიო, იმედიანად იყო სეზონის წინ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲠᲓᲐᲚᲘᲫᲔ. ვაი, რომ ამის შანსი ახლა ძალიან შეუმცირდა. ლობანოვსკის ტურნირის ნახევარფინალში, კიევის „დინამოსთან" მატჩში ჩვენებური მძიმედ დაშავდა და 36-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. კორღალიძე საოპერაციოა — ასეთი დიაგნოზი ლევანს უკრაინელმა ექიმებმა დაუსვეს და რიგაში დაბრუნებულს ლატვიელებმაც იგივე უთხრეს*



— კარგ ფორმაში ვიყავი, ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ჩაფიქრებული მქონდა და... რა ვქნა, საშინლად გულდაწყვეტილი ვარ. სამშაბათს ოპერაციას ვიკეთებ...

— უფრო ზუსტად თუ შეგიძლია, გვითხრა, რა გჭირს?

— სამედიცინო ენაზე რა ჰქვია არ ვიცი... აქილევსის მყესია გაწყვეტილი, ოღონდ ბოლომდე არა. ამის გამო უფრო მაიმედებენ. ბოლომდე რომ გაწყვეტილიყო, დაილუპებოდიო.

— ესე იგი, ოპერაციის გარეშე ვერ იმკურნალებ?

— შეიძლებოდა, უოპერაციოდაც მემკურნალა, მაგრამ მაშინ გარანტიას ვერ მაძლევდნენ. უკრაინაში ყველაზე ცნობილმა ქირურგმა ლინკომ გამსინჯა და მითხრა, ოპერაცია რომ არ გაიკეთო, შესაძლოა, ბურთს ძლიერად ველარც დაარტყა ფეხიო, რაც ფაქტობრივად, კარიერის დასრულებას ნიშნავდა. ამიტომაც, ცხადია, არც დაფიქრებულვარ, ისე გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება.

— რას გეუბნებიან, როდის შეძლებ ვარჯიშის დაწყებას?

— სულ მცირე, სამნახევარი თვე მოედანზე ვერ გავალ. ბევრი რამ სარეაბილიტაციო პერიოდზეცაა დამოკიდებული.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 15 ლიგა
მეორე ეტაპი
9 ტური

# წვიმაზე მეტი გოლი

თბილისი. 16 მაისი. 18 საათი. ოლიმპიკი. 300 (ტევადობა 1 500)

## სპარტაკი 7:1 მერცხალი

1:0 ტატანაშვილი (46), 2:0 ჟვანია (52პ), 3:0 კვერენჩხილაძე (59), 4:0 ჯანგიძე (62), 5:0 მუშკუდიანი (64), 6:0 დონდოლაძე (71), 7:0 კვერენჩხილაძე (82), 7:1 კვაჭანტირაძე (83)

| | |
|---|---|
| სპარტაკი: დევაძე (კანკაძე 64), დონდოლაძე, ჟვანია, ტაბიძე, ა. იმნაშვილი, ჯანგიძე (პაპუაშვილი 65), კ. შალამბერიძე, კვერენჩხილაძე, კიკნაძე (მუშკუდიანი 46), ი. სამხარაძე, ტატანაშვილი<br>*სათადარიგონი:* მალლაფერიძე, ს. შელია, დანელია<br>მწვრთნელი: ბესიკ შეროზია | მერცხალი: გია გოგუა, კვირკვია, ჭალიაშვილი, გ. წიწნიაძე, მებონია (კვაჭანტირაძე 61), მოწყობილი (ოქიტაშვილი 46), სიამაშვილი, თორია (ხამაშურიძე 65), ჯანელიძე, ბართია, ებრალიძე<br>*სათადარიგო:* უ. ჩხაიძე<br>მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი |

გაფრთხილება: ჯანელიძე (29), ებრალიძე (58)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); მ. ურუშაძე (თბილისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა



გოლთაწვიმა დიმიტრი ტატანაშვილმა (მარცხნივ) დაიწყო და გია გოგუას კარში გოლი გოლზე გავიდა



### ლუკა თალაკვაძე

**უცნაური** მატჩი იყო. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ვინ იფიქრებდა, მოედანზე გოლების თავსხმა თუ იქნებოდა. თანაც მეორე ნახევარს ფეხბურთელების გარდა ცამაც არ დააკლო თავისი...

ეს ალბათ სეზონის ყველაზე უინტრიგო მატჩი იყო. ორი გავარდნილი გუნდი, „სპარტაკი“ და „მერცხალი“ დაუძაბავად ეკვეთა ერთმანეთს. იშვიათად, მაგრამ ასეც ხდება: ხანდახან თამაში ხალისიანი მაშინ გამოდის, როცა მონაწილეებს ზედმეტი ტვირთი არ აწევთ. თუმცა სათქმელი ერთიცაა — პირველ ტაიმში მწვავე შეტევები ორივე კარისკენ იყო, მეორეში კი „სპარტაკმა“ „მერცხალზე“ ორი თავით მაღლა იფრინა.

შესვენებამდე „ოლიმპიკის“ გაჟღენთილ მოედანს გოლი არ უნახავს, თუმცა მომენტები თავზესაყრელად იყო: დიმიტრი ტატანაშვილის ძელი, ირაკლი სამხარაძის ხარიხა, კობა შალამბერიძის სპრინტერული გარღვევები და ერთიორჯერ აკაკი დევაძის ბრწყინვალე ნახტომი, ხახამშრალი რომ დატოვა სტუმარი.

ერთი სიტყვით, გუნდებმა, უფრო სწორად, „სპარტაკმა“, გოლები მეორე ტაიმისთვის შემოინახა და დასცხო, რა დასცხო — მსაჯის სასტვენიდან წამები იყო გასული, შალამბერიძე-კვერენჩხილაძე-ტატანაშვილის ულამაზესი კომბინაცია გოლით რომ დაგვირგვინდა. სასაცილო იქნება, ვთქვათ, ამ გოლმა „მერცხალი“ გატეხაო, მაგრამ ფაქტია — შეცვლილი გიორგი კიკნაძის ნაცვლად ცენტრში გამთამაშებლად შეწეულმა შალამბერიძემ მასპინძელთა შეტევების დაწყებას უნარიანად გაართვა თავი და თორმეტწუთიან მონაკვეთში თბილისელებმა კიდევ ოთხი გოლის გატანა მოასწრეს — ჟვანიამ, კვერენჩხილაძემ, ჯანგიძემ და მუშკუდიანმა ანგარიში გამანადგურებელი გახადეს. გოლების აღწერას არც ვაპირებდი, მაგრამ 71-ე წუთზე ლაშა დონდოლაძის გატანილზე რომ არ ვთქვა, საცოდაობა იქნება — „სპარტაკის“ მცველმა საჯარიმოს გარედან, მახვილი კუთხიდან ტყვიასავით გაისროლა და ჯვარედინის დახმარებით ცხრიანში გაჭედა ბურთი — 6:0.

მერე იყო გიგა კვერენჩხილაძის კოხტა გოლი და წამებშივე, ოზურგეთელი კვაჭანტირაძის თავური — 7:1.

## საუკეთესო

### კობა შალამბერიძე



*გიორგი კიკნაძის შეცვლის მერე მოედნის ცენტრი კობა შალამბერიძემ აიღო და „მერცხალსაც“ უკიდურესად გაუჭირდა. სპარტაკელთა სწრაფი გარემარბი ყველაფერს ასწრებდა — დაცვაშიც მუხლჩაუხრელად იმუშავა და სამ გოლშიც ლომის წილი დაიდო. ეგაა, გოლსაც ალალად იმსახურებდა, მაგრამ...*

---

თბილისი. 16 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

## მცხეთა 1:0 ბათუმი

1:0 კიკალიშვილი (89)

| | |
|---|---|
| მცხეთა: ცინაძე, მგელაძე (ფურთუხია 69), ჩაჩუა, ძაგნიძე, რაქვიაშვილი, ჯაფარიძე (პ. ნოზაძე 90), ლ. ჩხაიძე, ქებაძე, ავალიანი, გ. თოდუა, ხორავა (კიკალიშვილი 57)<br>*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; ბ. ნოზაძე, ბესარაშვილი<br>მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე | ბათუმი: [illegible], გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე, გვიანიძე, მახარაძე, ქაცარავა, დარჩიძე, მ. სალუქვაძე, ფურცხვანიძე, ბეჟანიძე (რომანაძე 77)<br>*სათადარიგონი:* ი. ბალაძე; დუმბაძე, მანჩხავა<br>მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი |

გაძევება: ავალიანი (45), სალუქვაძე (45)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

# რა პასი, რა გოლი!

### დავით თავართქილაძე



კიკალიშვილი ქვაჩახიას ხელებზე მაღლა ახტა და ისე გაიტანა

**მცხეთელთა** მეკარის გიორგი ცინაძის დარტყმული ბურთი „ბათუმის“ ნახევარზე დაეცა, მერე მისთვის მცხეთელი ირაკლი კიკალიშვილი, ერთ-ერთი ბათუმელი მცველი და ზურაბ ქვაჩახია გაექანნენ, ყველას კიკალიშვილმა დაასწრო, ბრძოლაში თავით მოიგო ბურთი და მეკარისგან მიტოვებულ კარში გადაგზავნა — ამ გოლით „მცხეთას“ შანსი მიეცა, გადათამაშების გარეშე დარჩეს უმაღლეს ლიგაში.

პირველ ტაიმში ხალისიანი ბურთაობა გაჩაღდა. თანაბარი თამაში იყო, მაგრამ მწვავე იერიშები უფრო ზღვისპირელებს გამოსდიოდათ.

ბეჟანიძე ფაქტობრივად პირისპირ გავიდა ცინაძესთან, მაგრამ მეკარის მოტყუებას დარტყმა არჩია: ბურთი ცინაძემ მოიგერია. შემდეგ ფურცხვანიძემ სცადა ბედი, მაგრამ კვლავ ცინაძემ იმარჯვა.

მასპინძელთა მეკარეს არც სტუმართა გოლკიპერი ჩამორჩა — ჩხაიძე-ქებაძის კომბინაცია ჩაჩუამ ახლო მანძილიდან დარტყმით დაასრულა, რასაც ქვაჩახია კარგად გაუმკლავდა. ავალიანი და სალუქვაძე კი წაკინკლავებისთვის გააძევეს.

ოცკაცა მეორე ტაიმი დუნედ დაიწყო. „ბათუმი“ მაინცდამაინც აღარ აქტიურობდა, თუმც არც „მცხეთა“ ჩანდა დიდი ხვითო. ტაიმის შუაწელიდან კი თამაში კვლავ გამოცოცხლდა. მცხეთელთა გამთამაშებელმა ლაშა ჩხაიძემ მეტოქის საჯარიმოში დაატრიალა მაღალი ბურთი და ლაშა ქებაძის თავური ძელმა აისხლიტა. ცოტა ხანში ქებაძემ უპასა ჩხაიძეს, მანაც თავურით სცადა გატანა, მაგრამ ქვაჩახიამ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ბათუმელთაგან ვიტალი დარჩიძის სოლო რეიდი უნდა გამოვარჩიო, ვინც ლამის მეტოქის კარამდე ჩაიტანა ბურთი, მაგრამ მის მიერ კარის გასწვრივ დაგორებულს თანაგუნდელთაგან არავინ „გამოეხმაურა“.

წვიმისგან გალუმპული ფეხბურთელები თითქოს ფრეს შეეგუვნენ, მაგრამ ცინაძე და ირაკლი კიკალიშვილი ასე როდი ფიქრობდნენ...

## საუკეთესო

### გიორგი ცინაძე

*მცხეთელთა მეკარემ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია და საგოლე გადაცემაც შეასრულა — როცა გიორგი ცინაძეს თამაში წაუვა, მისთვის გოლის გატანა თითქოს წარმოუდგენელია და ასე იყო გუშინდელ მატჩშიც.*



---

# კოლხეთმა, მაგრამ მცხეთამაც...

ფოთი. 16 მაისი. 18 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 ტორპედო

1:0 კალანდაძე (26), 1:1 დავითაშვილი (43), 2:1 შალამბერიძე (68)

| | |
|---|---|
| კოლხეთი: ჩემია, ჭითანავა, ქუტიძე, შ. ლონლაძე (გაბედავა 46), აკობია, დ. ნარსია, წურწუმია, თაყაძე, ჯ. შალამბერიძე (კუნჭულია 69), კალანდაძე, ზ. ქუთათელაძე (ტყებუჩავა 63)<br>*სათადარიგონი:* მიქავა; მ. ქობულაძე, კრასოვსკი, ღალანიძე<br>მწვრთნელი: დავით მახარაძე | ტორპედო: სტურუა (გ. გაბელია 56), მახვილაძე, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ლ. ჭელიძე (გ. ჩხეტიანი 71), ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი (ხუციშვილი 80), მემარნიშვილი, დავითაშვილი<br>*სათადარიგონი:* ადუაშვილი, დარსაძე, ჭინჭარაული, მუმლაძე<br>მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

### გოჩა ჯანაშია ფოთიდან

**„კოლხეთმა“** ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა და ნამატჩევს „მცხეთას“ ამბებიც მოიკითხა. იქ ნულოვანი ფრე იყო ბოლო წუთამდე, რაც იმას ნიშნავდა, რომ კოლხები ზედმეტი თავისტკივილის გარეშე რჩებოდნენ უმაღლესში. თუმც „მცხეთამ“ მაინც მოახერხა გატანა და გასარკვევის გარკვევა ბოლო ტურს მიანდო.

თავიდან სტუმრები გადაურჩნენ გოლს: ნარსიას ჩაწოდებულს ქუთათელაძე ჩაუწვა, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

მალე მასპინძლები თამაშგარის მცდელობისას ჩაიჭრნენ და კოშკაძე ბურთიანად დაიძრა ჩემიას კარისკენ, მაგრამ პასი ამჯობინა, რითაც ყოველივე წყალში ჩაყარა.

ამასობაში პირველი გოლიც გავიდა. ფოთელ ქუთათელაძის ძლიერ დარტყმულს სტურუა კი დაუხვდა, თუმცა მისგან მოგერიებული ბურთი შალამბერიძემ თავით დაუგდო საჯარიმოს რკალთან მყოფ კალანდაძეს, რომელმაც ბურთი ცხრიანში შეჭედა.

სტუმრებმა გოლს ერთ წუთში ხიფათი მოაყოლეს. თამაშგარეებით გატანჯული სულიკო დავითაშვილი მეკარეს პირისპირ შერჩა, თუმცა ბურთი პირდაპირ ჩემიას დაუმიზნა. „აზრეზამ“ ტაიმის ბოლოს მაინც გაასყაიმა: ბოლქვაძემ მარცხნივ კოშკაძეს გაუჭრა, ამან კი საჯარიმოში დავითაშვილი მოძებნა და 1:1.

მეორე ტაიმში ის იყო, რომ შალამბერიძემ პენალტი გაიტანა და ამის შემდეგ თამაში ფაქტობრივად მოკვდა. ორივე გუნდი თავს არ იდებდა და არც რაიმე ხიფათი შექმნილა. „ტორპედო“ გასათანაბრებლად ხეირიანად არც გარჯილა, ისე ჩაამთავრა მატჩი. დავით მახარაძემ კი ლიდერები დაასვენა და მოედანზე ახალგაზრდები შეუშვა.

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 34 |
| კოლხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 30 |
| მცხეთა | 9 | 5 | 3 | 1 | 8:3 | 28 |
| ბათუმი | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 25 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:8 | 21 |
| მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:21 | 6 |

# ჩვენ მოვიგებთ!

## გეგუჩაძე პროცენტებს არ აზუსტებს

## კოჭლაშვილი: 60/40 ჯორჯიასია

*თუ „დინამომ“ დღეს მოიგო, ცალ ფეხს ოქროში ამოავლებს. მოკლედ, გია გეგუჩაძის „დინამოს“ ფაქტობრივად საჩემპიონო თამაში ელის, მაგრამ არც მერაბ კოჭლაშვილის „ვიტ ჯორჯიაა“ უმოტივაციო — თუ ვიტელები მოიგებენ, ჩემპიონობის ისეთი შანსი მიეცემათ, აქამდე არასდროს რომ არ ჰქონიათ...*

საქართველოს ჩემპიონატი 15 უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი 9 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

### დინამო თბილისი — ვიტ ჯორჯია თბილისი

**სავარაუდო შემადგენლობა** (დინამო)

20 იაშვილი, 21 კჰალაძე, 10 ანჩაბაძე, 6 კვირკველია, 9 ახალაია, 25 რომერო, 2 კანკავა, 15 კაშია, 14 სილაგაძე, 5 შაშიაშვილი, 1 ზოიძე



გია გეგუჩაძე

*ურთულესი მატჩი გველის, ძალიან ძლიერ, მებრძოლ მეტოქეს ვეთამაშებით — „ვიტ ჯორჯია“ კარგადაა მომზადებული, მაგრამ ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს.*



თბილისი ეროვნული 17 მაისი 18 საათი

**სავარაუდო შემადგენლობა** (ვიტ ჯორჯია)

11 გოცირიძე, 7 ადამია, 9 ლ. ნოზაძე, 21 გველესიანი, 22 მარცვალაძე, 18 დიდმელაშვილი, 2 იმედაშვილი, 20 დათუნაიშვილი, 4 კობიაშვილი, 24 ინწკირველი, 1 მერლანი

*თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატურნირო ვითარების თვალსაზრისით. ეს იქნება უაღრესად ნერვული მატჩი, თავისი დაძაბულობით ფინალის ტოლფასი. რატომღაც დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდის გამარჯვებაში.*



მერაბ კოჭლაშვილი

*გია გეგუჩაძე:* ურთულესი მატჩი გველის, ძალიან ძლიერ, მებრძოლ მეტოქეს ვეთამაშებით — „ვიტ ჯორჯია“ კარგადაა მომზადებული.

— მიგაჩნიათ, რომ ჩემპიონობის ბედს ეს მატჩი გადაწყვეტს?

— ჩემპიონობისთვის ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი მატჩი იქნება, მაგრამ ამაზე ახლა არ ვფიქრობ, რადგან წინ კიდევ ერთი ტურია.

— შინ ბოლოს ბოლნისის „სიონს“ ეთამაშეთ და მეტოქისთვის თქვენი ტაქტიკა მოულოდნელი გამოდგა — ამჯერადაც სიურპრიზს უმზადებთ მეტოქეს?

— მაგდენს ვერ გეტყვით, ეგ თუ ვთქვი, რაღა სიურპრიზი გამოვა?!

— ლობანოვსკის სახელობის ტურნირზე ორივე მატჩი წააგეთ — ეს ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ „დინამოსთვის“ მთავარი ახლა ჩემპიონობაა...

— „დინამოს“ ფეხბურთელები ჩემპიონატის გარდა სხვადასხვა ნაკრებებშიც გამოდიან და ჩვენც მათ გადაღლას მოვერიდეთ. კიევში ძალები გადავანაწილეთ, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალება მივეცით, რათა ეროვნული ჩემპიონატისთვის და თასის ფინალისთვის ძალები დაგვეზოგა.

— მეორე ეტაპის პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიამ“ ივო შუშაკის „დინამოს“ დაცვიდან თამაშით, კონტრშეტევაზე გატანილი გოლით მოუგო — თუ ვიტელები ახლაც დაცვით ტაქტიკას აირჩევენ, ეს „დინამოს“ ხელს მისცემს?

— ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და ბარემ მეტოქე მოერგოს ჩვენს თამაშს და არა პირიქით.

— თუ მატჩი ფრედ დამთავრდა, კმაყოფილი დარჩებით?

— ჩვენ მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს.

*მერაბ კოჭლაშვილი:* თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სატურნირო ვითარების თვალსაზრისით. ამ მატჩმა უნდა გაარკვიოს საქართველოს უძლიერესი გუნდი. მსაჯებთან თხოვნა მექნება, გაუძლონ შეხვედრის დაძაბულობას და ობიექტურად იმსაჯონ. გამარჯვებული წესიერ, სამართლიან ორთაბრძოლაში უნდა გამოვლინდეს. ეს იქნება უაღრესად ნერვული მატჩი, თავისი დაძაბულობით ფინალის ტოლფასი. რატომღაც დარწმუნებული ვარ ჩემი გუნდის გამარჯვებაში. საერთოდ, პროგნოზები არ მიყვარს, მაგრამ ბიჭების შემართებას და გუნდში შექმნილ ვითარებას რომ ვითვალისწინებ, მიმტკიცდება აზრი, რომ მოვიგებთ.

— თქვენ აქცენტი მსაჯების ობიექტურობაზე გააკეთეთ, ეს „დინამოს“ გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა გაიძულათ?

— ფეხბურთში ახალი მოსული არ ვარ. ვიცი, „დინამოს“ სახელი და ავტორიტეტი როგორც მოქმედებს მსაჯებზე. ამ გუნდისადმი სიმპათიები ყოველთვის იგრძნობოდა. ბოლოდროინდელი აჟიოტაჟი კი კიდევ ერთხელ მაძლევს იმის საფუძველს, რომ მსაჯებს ობიექტურობისკენ მოვუწოდო. ფაქტია, „ვიტ ჯორჯია“ სამსაჯო გაუგებრობებში არასოდეს გარეულა. მსაჯებს კიდევ ერთხელ ვთხოვ, ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლა მოიხსნან.

— რამდენად მზადაა „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონობისთვის?

— ჩვენი გუნდი ერთი და ორი წლის შექმნილი არაა. კლუბში გეგმაზომიერი მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ ერთხელ უკვე მოვიპოვეთ უეფას საგზური, ახლა კი ვალდებულები ვართ, ჩემპიონის ტიტული მოვიპოვოთ. „დინამოსთან“ მოგების შემთხვევაში ეს შესასრულებელ ამოცანად მეჩვენება. გუნდში პროფესიული ატმოსფეროა — ბიჭები თავდაუზოგავად მუშაობენ და ემზადებიან მატჩისთვის.

საბედნიეროდ, არც ერთი წამყვანი მოთამაშე არც ტრავმის და არც დისკვალიფიკაციის გამო არ დაგვაკლდება. „დინამოს“ კოზირებს რაც შეეხება, შეიძლება აღინიშნოს მწვრთნელის შეცვლა. გეგუჩაძე ხშირად ცვლის შემადგენლობას. რაც შეეხება სხვა სათამაშო კომპონენტებს, დინამოელთა უპირატესობას ვერ ვხედავ. მოკლედ, შანსებს 60/40-ზე ვაფასებ ჩვენს სასარგებლოდ.



პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიამ“ „დინამო“ ოთარ მარცვალაძის ამ გოლით დაამარცხა



პირველი ეტაპის „სიონი“—„დილა“ სკანდალური და კახა მესხიანი იყო

ბოლნისი. 17 მაისი. 18 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — დილა

**ისეთი** შეგრძნება გვაქვს, თითქოს განძი დაგვეკარგოსო, გვითხრა „სიონის“ მწვრთნელმა *გიორგი ყიფშიძემ,* გუშინ რომ შევეხმიანეთ. ჩემპიონობის რეალური შანსი გვქონდა, „ლოკომოტივისთვის“ რომ მოგვეგოო — ესეც ყიფშიძის სიტყვებია.

ბოლნისელები „დილასთან“ არაფრის დათმობას არ აპირებენ, რაკილა „სიონს“ მხოლოდ მოგება შეუნარჩუნებს ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვების შანსს. ვიცი, „დილა“ მთელი ძალით შეგვებრძოლება და წყლის ნაყვაა იმის მტკიცება, ვითომდა უმოტივაციო გუნდს ვეთამაშებითო, თქვა ყიფშიძემ.

„დილა“ რომ ბრძოლას აპირებს, ეს გორელთა თავკაცმა *ზურაბ ხორგუაშვილმაც* დაადასტურა.

წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ასე იქნება ბოლნისშიც, ბოლოს და ბოლოს, თავმოყვარეობის საქმეა, მოუგებლად ხომ არ დავამთავრებთ მეორე ეტაპსო, გვითხრა ხორგუაშვილმა, რომელსაც ძირითადი ბირთვის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს.

„სიონს“ გამოცდილი მცველი სანდრო ბურნაძე დაუბრუნდება, მისი არყოფნა მართლაც ეტყობოდა გუნდს წინა მატჩში.

თბილისი. 17 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი

### ლოკომოტივი — თბილისი

**FAIR PLAY**-ის პრინციპებს ჩვენში დიდად აქვს პირი დაღებული, მაგრამ „ლოკომოტივ“— „თბილისის“ პაექრობა ძილისმომგვრელი არ უნდა გამოდგეს. მეორე ეტაპის პირველ წრეში „თბილისმა“ შინ 5:1 მოუგო რკინიგზელებს, ხოლო მანამდე თასის მეოთხედფინალიდანაც გააგდო ისინი. თუმც ლოკომოტიველებს მიაჩნიათ, რომ „თბილისმა“ თასზე მათ არბიტრ მერაბ მალაღურაძის დახმარებით მოუთავა საქმე. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივს“ წყენა უნდა ახსოვდეს და იქნებ გახელდეს კიდეც. „თბილისს“ კი ვაკეში სტუმრობა რომელიმე ევროტურნირზე გასვლა-არგასვლად უღირს — თბილისელებს ჯერაც არ დაუკარგავთ უეფას თასის საგზურის მოხვეჭის შანსი, მაგრამ თუ წააგეს, ვინძლო ინტერტოტოსაც ვერ შესწვდნენ.




REUTERS ლონდონიდან

არსენალელთა სიხარულმა ყველაფერი დაფარა




ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლონდონიდან

ალან შირერმა „ნიუკასლის" უეფას თასზე გასვლას ბუცი შესწირა

# უჩინართა კვალდაკვალ

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**ასტონ ვილა 0:2 მანჩესტერ იუნ.**

0:1 რონალდო (4), 0:2 ვან ნისტელროი (10)
ასტონ ვილა: სორენსენი, დელა კრუზი, მელბერგი, რიდჯევილი, სამუელი, ჰენდრი (ვაითინგენი 75), მაკანი, ჰიცლსპერგერი, ბარი (დაბლინი 82), ანხელი, კრუჩი (ოლბოკი 57)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ოში (ჯემბა-ჯემბა 73), რონალდო, ფლეტჩერი, ფ. ნევილი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (საჰა 61)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ანხელი, სამუელი, ჰენდრი, ჰიცლსპერგერი, რონალდო, ფლეტჩერი, სქოულზი
მსაჯი: სტაილსი
42 573 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 ნიუკასლი**

0:1 ამეობი (25), 1:1 ოუენი (67)
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, მერფი, ჰამანი, ჯერარდი, კიუელი, ჰესკი, ოუენი
მწვრთნელი: როჟე ლემერი
ნიუკასლი: გიუენი, გრიფინი (კოლდუელი 79), ობრაიენი, ბრამბლი, ჰიუზი, ამბროზი (რობერი 82), ბოიერი, სპიდი, დაიერი, შირერი, ამეობი (ბელამი 40)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: კიუელი, ამბროზი
მსაჯი: რილი
44 172 მაყურებელი

**არსენალი 2:1 ლესტერი**

0:1 დიკოვი (26), 1:1 ანრი (47პ), 2:1 ვიეირა (67)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, კემბელი, კოული, ლიუნგბერგი (კიოუნი 87), სილვა, ვიეირა, პირესი (ედუ 70), ბერგკამპი (რეიესი 82), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლესტერი: უოკერი (კოუნი 78), სინკლერი, ჰიტი, დაბიზასი, სტიუარტი, სკოუკროფტი, ფროინდი (ბრუკერი 76), მაკკინლი, ნალისი, ბენტი, დიკოვი (ბენჟამინი 85)
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: სინკლერი
მსაჯი: დარკინი
38 419 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 5:1 ევერტონი**

1:0, 2:0 ვანჩოპე (16, 30), 3:0 ანელკა (41), 3:1 კემბელი (60), 4:1 სიბიერსკი (89), 5:1 რაიტ-ფილიპსი (90)
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჯიჰაი, დისტინი, დანე, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ბარტონი (სიბიერსკი 85), ბოსველტი, რეინა (ჯორდანი 82), ანელკა, ვანჩოპე (მაკენი 79)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ევერტონი: მარტინი, უოტსონი (ჩედვიკი 71), სტაბსი, ვეირი, ჰიბერტი, კარსლი, მაკფადენი (კემბელი 45), იობო, ოსმანი, რუნი, რაძინსკი (ლინდეროტი 86)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ბარტონი, რუნი
მსაჯი: დანი
47 284 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ლიდსი**

1:0 გრონკიაერი (20)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი (ჰუტი 85), ბრიჯი, გრონკიაერი, მაკელელე, ლამპარდი (ნიკოლასი 90), ჯონსონი (სტანიჩი 82), კოული, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლიდსი: კარსონი, რიჩარდსონი, დაბერი, რადებე, ჰარტი, კელი, მატეო, ოლემბე (ბარმბი 80), ვილკოქსი (პენანტი 61), მილნერი, სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
მსაჯი: დინი
41 276 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 ბირმინგემი**

1:0 კოული (24), 1:1 ჯონი (83)
ბლექბერნი: ენკელმანი, რიდი (ნილი 45), შორტი, იოჰანსონი, გრეი (გალაჰერი 88), ფლიტკროფტი, თუგაი, ანდრესენი (ემერტონი 45), დუგლასი, კოული, სტიდი
მწვრთნელი: გრემ საუნესი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ტებილი (ჯონი 60), მარტინ ტეილორი, აპსონი, კლეპემი, ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი (ჰიუზი 57), ლაზარიდისი, მორისონი, ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მსაჯი: გალაჰერი
26 070 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 იუელი (36), 2:0 კოული (53), 2:1 პრატონი (64)
ჩარლტონი: კელი, იანგი, ფორჩუნი, პერი, ჰრიდარსონი, კიშიშევი, იუელი, ჰოლანდი, კონჩესკი, ბარტლეტი, დი კანიო (კოული 45; იენსენი 86)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
საუთჰემპტონი: ბლეინეი, ტელფერი, ჰალი, კენტონი, კრეინი, ფერნანდეს (გრიფიტი 85), პრატონი, ფოლი, ანდერს სვენსონი (ბაიარდი 13), ორმეროდი, ბიტი
მწვრთნელი: პოლ სტაროკი
გაფრთხილება: პრატონი
მსაჯი: ვინტერი
26 614 მაყურებელი

**პორტსმუთი 5:1 მიდლსბრო**

1:0, 2:0 იაკუბუ (4, 14პ), 2:1 ზენდენი (27), 3:1 იაკუბუ (31), 4:1 შერინგემი (80), 5:1 იაკუბუ (83)
პორტსმუთი: ჰისლოპი, პასანენი (კურტისი 45), დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ტეილორი, სტოუნი, ბერკოვიჩი, სმერტინი, ქუში (ჰიუზი 81), ლუა ლუა (შერინგემი 67), იაკუბუ
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, კუდრუ, ეჰიოგუ, ზენდენი, მენდიეტა, ბოატენგი, გრინინგი, დოუნინი (მორისონი 62), ნემეტი (რიკეტსი 62), ჟობი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
მსაჯი: ჰელსი
20 134 მაყურებელი

**ბოლტონი 0:2 ფულემი**

0:1, 0:2 მაკბრაიდი (45, 78)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ტომი, გოტი, ჩარლტონი (გარდნერი 45), ნოლანი, ოკოჩა, კამპო, ფრანდსენი (იანაკოპულოსი 71), ჯორკაეფი (პედერსენი 59), დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, პირსი, გომა, ბოკანეგრა, მალბრანკი, ჯეტუ, ლეგვინსკი, შონ დევისი, მაკბრაიდი (ჯონი 90), ბოამორტე
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: დევისი, ბოამორტე
მსაჯი: ბარბერი
27 383 მაყურებელი

**ვულვზი 0:2 ტოტენჰემი**

0:1 კინი (34), 0:2 დეფო (57)
ვულვზი: ჯონსი, ირვინი (კრადოკი 89), ოკორონკვო, ბატლერი, ნეილორი (რაე 71), ნიუტონი (განია 60), კამერონი, ინსი, კენედი, კამარა, კორტი
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
ტოტენჰემი: კელერი, კელი, კინგი, გარდნერი, ციგე, იეტესი, რედნაპი, ბრაუნი, რიკეტსი (კანუტი 71), დეფო, კინი (პოიეტი 88)
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
გაფრთხილება: ინსი, რედნაპი
გაძევება: ინსი (67)
მსაჯი: ბენეტი
29 389 მაყურებელი

„არსენალმა", რა თქმა უნდა, შექმნა ისტორია: ბოლოს, ინგლისში გუნდმა მაშინ გაიარა მთელი ჩემპიონატი წაუგებლად, როცა კოსმოსური რაკეტები მხოლოდ ჟიულ ვერნის წიგნებში არსებობდა.

პრემიერლიგის ბოლო ტურში „მეთოფეებმა" უკვე გავარდნილ „ლესტერს" თამაში შემოუტრიალეს და 2:1 მოუგეს ტიერი ანრის სეზონში 30-ე და პატრიკ ვიეირას გოლებით, გამხსნელი გოლის პასუხად პოლ დიკოვმა რომ გაიტანა. ამით „არსენალმა" 38 თამაში გაიარა წაუგებლად და გაიმეორა „პრესტონის" 115 წლის წინანდელი რეკორდი, რომელიც წაუგებელი კი იყო, მაგრამ მხოლოდ 22 მატჩისგან შედგებოდა. იმ „პრესტონს" ხალხი „უჩინარ კაცებს" უწოდებდა, მაგრამ რაღა უნდა დავარქვათ „არსენალს"?

„ჰაიბერიზე" გამართული სახელდახელო ზეიმისას არსენ ვენგერმა თქვა, თავიდანვე მიზნად გვქონდა, რომ სეზონი წაუგებლად გაგვევლოო. სოლ კემპბელმა, სეზონს „ჯადოსნური" უწოდა, დენის ბერხკამპმა „საუკეთესო", ყველამ ერთად კი „მეთოფეთა" მეგობრული სული შეახსენა ხალხს.

„არსენალს" მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა, რა არის, რომ „ჩელსისთან" დამარცხდა ჩემპიონთა ლიგაში და ამით ევროპული ტიტულისთვის ველარ იბრძოლა.

შაბათს, ბოლო ტურის წესის მიხედვით ყველა თამაში ერთ დროს, ნაშუადღევის სამ საათზე დაიწყო. ამ დროისთვის გარკვეული იყო პირველი ოთხეული და ბოლო სამეული, ასე რომ, საომრად დარჩენილიყო უეფას თასის ერთი საგზური „ნიუკასლსა" და „ასტონ ვილას" შორის. პირველები „ლივერპულს" სტუმრობდნენ, მეორენი კი „მანჩესტერს" მასპინძლობდნენ. თუ „ვილა" მოიგებდა, „ნიუკასლს" მოგებაც არ შველოდა. „ვილას" წაგება და „ნიუკასლის" ფრე კი ევროსაგზურს სერ ბობის გუნდს არგუნებდა. საქმე კი ისე დატრიალდა, რომ ორი თვის განმავლობაში მთვლემარე „მანჩესტერმა" პირველ ათ წუთში ორი გოლი გაუტანა „ვილას", რომელმაც 93-ე წუთზეღა გაიტანა ერთი, ოღონდაც, მსაჯმა არ ჩაუთვალა. კრისტიანო რონალდოსა და რუუდ ვან ნისტელროის გოლებს „ენფილდზე" მოჰყვა შოლა ამეობის გოლი და „ნიუკასლმაც" მთლად ამოისუნთქა და თუმცა, მაიკლ ოუენმა მეორე ტაიმში მშვენიერი გოლით გაათანაბრა, საგზური მაინც სერ ბობის ხვდა წილად. „ვილელთა" თავკაცმა დევიდ ოლირიმ კი მაინც შეაქო თავისი ფეხბურთელები და საგაისოდ დაიმუქრა.

საკვირველი კი მაინც სხვა იყო: მსაჯმა რობ სტაილზმა ორ-ორი ყვითლით გაუძევა „მანჩესტერს" დარენ ფლეტჩერი და რონალდო, რომელიც ერთხელ სიმულაციისთვის გააფრთხილეს, მეორედ სასტვენის შემდეგ დარტყმისთვის. ამან სერ ალექს ფერგიუსონი ალაშფოთა, ამ ბიჭებს გაისად, პირველ ტურში ვერ ვათამაშებო. თუმცა, ორივენი იქნებიან ასოციაციის თასის ფინალში, რომელიც „მანჩესტერს" კარდიფში აქვს „მილუოლის" წინააღმდეგ. სერ ალექსმა ისიც აღიარა, ბოლოს, ასე კარგად თებერვალში ვითამაშეთ „ევერტონის" წინააღმდეგო.

სხვა ამბები კი ისე იყო, რომ იაკუბუ აიგბინიმ ოთხი გოლი შეუგდო „ბოროს", ხოლო ტედი შერინგემმა თავისი ბოლო პორტსმუთული გოლი ჩაიწერა.

ყველასთვის საკვირველად „მანჩესტერ სიტიმ" 5:1 მოუგო „ევერტონს" და სეზონის საუკეთესო თამაში სეზონის ბოლო დღეს ითამაშა.

ჩვენ კი დავძენთ, რომ პრემიერლიგა დასრულდა.

„ლიდსი" კი დაბრუნდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 38 | 26 | 12 | 0 | 73:26 | 47 | 90 | 19 | 15 | 4 | 0 | 40:14 | 26 | 49 | 19 | 11 | 8 | 0 | 33:12 | 21 | 41 |
| 2 ჩელსი | 38 | 24 | 7 | 7 | 67:29 | 38 | 79 | 19 | 12 | 4 | 3 | 34:12 | 22 | 40 | 19 | 12 | 3 | 4 | 33:17 | 16 | 39 |
| 3 მანჩესტერი | 38 | 23 | 6 | 9 | 64:35 | 29 | 75 | 19 | 12 | 4 | 3 | 37:15 | 22 | 40 | 19 | 11 | 2 | 6 | 27:20 | 7 | 35 |
| 4 ლივერპული | 38 | 16 | 12 | 10 | 55:37 | 18 | 60 | 19 | 10 | 4 | 5 | 29:15 | 14 | 34 | 19 | 6 | 8 | 5 | 26:22 | 4 | 26 |
| 5 ნიუკასლი | 38 | 13 | 17 | 8 | 52:40 | 12 | 56 | 19 | 11 | 5 | 3 | 33:14 | 19 | 38 | 19 | 2 | 12 | 5 | 19:26 | -7 | 18 |
| 6 ასტონ ვილა | 38 | 15 | 11 | 12 | 48:44 | 4 | 56 | 19 | 9 | 6 | 4 | 24:19 | 5 | 33 | 19 | 6 | 5 | 8 | 24:25 | -1 | 23 |
| 7 ჩარლტონი | 38 | 14 | 11 | 13 | 51:51 | 0 | 53 | 19 | 7 | 6 | 6 | 29:29 | 0 | 27 | 19 | 7 | 5 | 7 | 22:22 | 0 | 26 |
| 8 ბოლტონი | 38 | 14 | 11 | 13 | 48:56 | -8 | 53 | 19 | 6 | 8 | 5 | 24:21 | 3 | 26 | 19 | 8 | 3 | 8 | 24:35 | -11 | 27 |
| 9 ფულემი | 38 | 14 | 10 | 14 | 51:46 | 5 | 52 | 19 | 9 | 4 | 6 | 29:21 | 8 | 31 | 19 | 5 | 6 | 8 | 22:25 | -3 | 21 |
| 10 ბირმინგემი | 38 | 12 | 14 | 12 | 43:48 | -5 | 50 | 19 | 8 | 5 | 6 | 26:24 | 2 | 29 | 19 | 4 | 9 | 6 | 17:24 | -7 | 21 |
| 11 მიდლსბრო | 38 | 13 | 9 | 16 | 44:52 | -8 | 48 | 19 | 8 | 4 | 7 | 25:23 | 2 | 28 | 19 | 5 | 5 | 9 | 19:29 | -10 | 20 |
| 12 საუთჰემპტონი | 38 | 12 | 11 | 15 | 44:45 | -1 | 47 | 19 | 8 | 6 | 5 | 24:17 | 7 | 30 | 19 | 4 | 5 | 10 | 20:28 | -8 | 17 |
| 13 პორტსმუთი | 38 | 12 | 9 | 17 | 47:54 | -7 | 45 | 19 | 10 | 4 | 5 | 35:19 | 16 | 34 | 19 | 2 | 5 | 12 | 12:35 | -23 | 11 |
| 14 ტოტენჰემი | 38 | 13 | 6 | 19 | 47:57 | -10 | 45 | 19 | 9 | 4 | 6 | 33:27 | 6 | 31 | 19 | 4 | 2 | 13 | 14:30 | -16 | 14 |
| 15 ბლექბერნი | 38 | 12 | 8 | 18 | 51:59 | -8 | 44 | 19 | 5 | 4 | 10 | 25:31 | -6 | 19 | 19 | 7 | 4 | 8 | 26:28 | -2 | 25 |
| 16 სიტი | 38 | 9 | 14 | 15 | 55:54 | 1 | 41 | 19 | 5 | 9 | 5 | 31:24 | 7 | 24 | 19 | 4 | 5 | 10 | 24:30 | -6 | 17 |
| 17 ევერტონი | 38 | 9 | 12 | 17 | 45:57 | -12 | 39 | 19 | 8 | 5 | 6 | 27:20 | 7 | 29 | 19 | 1 | 7 | 11 | 18:37 | -19 | 10 |
| 18 ლესტერი | 38 | 6 | 15 | 17 | 48:65 | -17 | 33 | 19 | 3 | 10 | 6 | 19:28 | -9 | 19 | 19 | 3 | 5 | 11 | 29:37 | -8 | 14 |
| 19 ლიდსი | 38 | 8 | 9 | 21 | 40:79 | -39 | 33 | 19 | 5 | 7 | 7 | 25:31 | -6 | 22 | 19 | 3 | 2 | 14 | 15:48 | -33 | 11 |
| 20 ვულვზი | 38 | 7 | 12 | 19 | 38:77 | -39 | 33 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:35 | -12 | 26 | 19 | 0 | 7 | 12 | 15:42 | -27 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 30 |
| შირერი (ნიუკასლი) | 22 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 20 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 20 |

### პირველი დივიზიონი

#### პლეი ოფი

**იფსვიჩი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ბენტი (57)

**კრისტალ პალასი 3:2 სანდერლენდი**

0:1 სტიუარტი (51პ), 1:1 შიპერლი (52), 2:1 ბატერფილდი (64), 2:2 კული (85), 3:2 ჯონსონი (87)

### მეორე დივიზიონი

#### პლეი ოფი

**ჰარტლ პული 1:1 ბრისტოლი**

**სუინდონი 0:1 ბრაიტონი**

### III დივიზიონი

#### პლეი ოფი

**ლინკოლნი 1:2 ჰადერსფილდი**

**ნორთჰემპტონი 0:2 მენსფილდი**

### კონფერენსლიგა

#### პლეი ოფი

**ალდერშოტი 1:1დ.დ. (პენ0:3, 1:1)**

***შრიუსბერი***

# ახლა ნაგებაც შეიძლება

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXXIII ტური

**ვერდერი 2:6 ლევერკუზენი**

0:1 ფრანცა (7), 0:2 ბიროფკა (12), 0:3 ფრანცა (21), 1:3 კრსტაიჩი (50), 2:3 აილტონი (53), 2:4 ფრანცა (61), 2:5 ბერბატოვი (65), 2:6 ნოივილი (80)
ვერდერი: რაინკე, სტალტერი (ველაგე 73), ისმაელი, კრსტაიჩი, შულცი (სკრიპნიკი 70), ბოროვსკი, ბაუმანი, ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი, კლასნიჩი (დაუნი 46)
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: ბუტი, პლასენტე, ნოვოტნი, კალუჟნი, ც. ფრიცი, რამელოვი, ბაბიჩი, ბ. შნეიდერი, ბიროფკა (ბალიჩი 77), ბერბატოვი (ნოივილი 72), ფრანცა (პონტე 82)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კრასტაიჩი, სკრიპნიკი, ბიროფკა, კალუჟნი
მსაჯი: მერკი
42 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 ბაიერნი**

1:0, 2:0 საბიჩი (19, 52), 3:0 კურანი (54), 3:1 პიზარო (77)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა (ჟივკოვიჩი 69), ბორდონი, ლამი, მაისნერი, სოლდო (ვრანიეში 72), ჰელდტი, გლები (გერბერი 79), კურანი, საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, თ. ლინკე, დემიკელისი (კუფური 59), ლიზარაზუ (დაისლერი 61), ჰარგრივსი, ბალაკი, იერემისი, ზე რობერტო, სანტა კრუზი (პიზარო 68), მაკაი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰელდტი, ზე რობერტო, ბალაკი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, პიზარო
მსაჯი: ფროლიხი
48 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი 0:0 ჰამბურგი**

ფრაიბურგი: რეინარდი, მიულერი, დიარა, კრუპკე, რაიტერი, ცაიერი (კაირო 46), ცქიტიშვილი (ტანკო 87), ბერნერი, კულიბალი, ანტარი, იაშვილი (გუიე-მინი 89)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰამბურგი: ვახტერი, ფუკალი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ვიცკი, შლიკე (კარდოზო 61), მაჰდავიკია, იაროლიმი, ბაინლიხი, ტაკაჰარა (რომეო 67), ბარბარესი (რეინჰარდტი 79)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ცაიერი, ტაკაჰარა, ბაინლიხი, იაროლიმი, ფუკალი
გაძევება: ფუკალი (77)
მსაჯი: შტარკი
25 000 მაყურებელი

**აინტრახტი 3:2 ბოხუმი**

1:0 პროისი (13), 2:0 პულიზი (19), 2:1 ჰაშემიანი (30), 2:2 ვოში (49), 3:2 ამანატიდისი (51)
აინტრახტი: პროლი, ბინდევალდი, პროისი, პულიზი (კრეუზი 80), ჰერჩი (ნასიმენტო 37), ლეხა, შური (გიუნტერი 43), შკელა, ბურგერი, ამანატიდისი, ბაიერლე
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
ბოხუმი: ვან დიუნჰოვენი, კოლდინგი, კალა (დიაბანგი 83), ფარენჰორსტი, ბიონიგი (მეიხელბეკი 72), ფრეიერი, ვოში, სტევიჩი (ბაკლი 68), ზდებელი, მადსენი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: გიუნტერი, კალა
მსაჯი: კემლინგი
31 300 მაყურებელი



REUTERS ბრემენიდან

ბრემენელებმა „ლევერკუზენთან" მარცხი, ცხადია, გულთან არ მიიტანეს

**ჰანოვერი 0:0 ვოლფსბურგი**

ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდულო, მერტესაკერი, ზურავი, კლებერი, დე გუზმანი, დაბროვსკი, მატისი (ტ. კრისტიანსენი 87), ხაიმე (შრიოტერი 72), იდრისუ, ბრდარიჩი (შტენდელი 87)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ვოლფსბურგი: ჰენჩი, ტიამი, ფრანცი, ბილიშკოვი (კვატროჩი 73), ვეიზერი, კარჰანი, შარპეი, მენსეგუესი (ტოპიჩი 83), დალესანდრო, პეტროვი, კლიმოვიჩი (ფერნანდო ბაიანო 87)
მწვრნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ბილიშკოვი
მსაჯი: ფანდელი
27 500 მაყურებელი

**შალკე 4:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 როიტერი (ს.კ.2), 2:0 სანდი (24), 3:0 ვერმანტი (34), 3:1 ჰალილ ალტინტოპი (56), 4:1 სანდი (68)
*68-ე წუთზე ერნსტმა ვერ გაიტანა პენალტი*
შალკე: როსტი, პოულსენი, კლასენერი (ვან კერკჰოვენი 82), ვალდოხი, კობიაშვილი, ვერმანტი, დელურა, ბიომე (ტროიანი 81), ჰამიტ ალტინტოპი, ასამოა (უდე კამპუისი 65), სანდი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
კაიზერსლაუტერნი: ერნსტი, ვრევენი, კნავსი, ვენცელი, ჩატო, როიტერი, ბიელიცა, დრეშერი, ხრისტოვი (ნურმელა 46), ჰალილ ალტინტოპი, ლოკვენცი (კოსოვსკი 46)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: კობიაშვილი, ვერმანტი, ბიომე, ვენცელი, კნავსი, ვრევენი
მსაჯი: ვეინერი
61 266 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:1 გლადბახი**

0:1 ულიხი (10), 1:1 ევერტონი (15), 2:1 დედე (45), 3:1 კოლერი (83)
დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი, ვიორნსი, მადუნი (ბერგდოლმო 89), იენსენი, ს. როიტერი (ფლავიო კონსეისაო 61), ფრინგსი, დედე, გამბინო (ოდონკორი 86), კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გლადბახი: შტილი, პლეტჩი, გაედე, ასანინი, კორზინეცი, ულიხი, ჰაუსვაილერი (კოლკა 81), ბროიხი (დემო 74), შტრასერი, ვან ჰუტი (სვერკოში 74), ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: დედე, ევანილსონი, როიტერი, ვან ჰუტი, პლეტჩი, შტრასერი
82 500 მაყურებელი

**მიუნხენ 1860 1:1 ჰერტა**

1:0 კოშტა (5), 1:1 მადლუნგი (82)
*89-ე წუთზე კიოიომ ვერ გაიტანა პენალტი*
მიუნხენ 1860: ლენცი, გორლიცი, სტრანცი, კოშტა, ჰოფმანი, ჩერნი, მეიერი (ფერნანდო 64), ტუცე, ლემანი (ლეპოინტი 72), აგოსტინო (კიოიო 85), დავიდსი
მწვრთნელი: ჯერალდ ვანენბურგი
ჰერტა: ფიედლერი, ფრიდრიხი, მადლუნგი, სიმუნიჩი, კაგარა, პინტო, დარდაი (რემერი 78), შმიდტი (ნოიენდორფი 53), მარსელინიო, ვიშნიარეკი (რაფაელი 73), ბობიჩი
მწვრთნელი: ერიკ მეიერი
გაფრთხილება: გიორლიცი, ჰოფმანი, კოშტა, დარდაი, ფრიდრიხი
მსაჯი: ტრაუტმანი
48 000 მაყურებელი

**კიოლნი 4:0 ჰანზა**

1:0 პოდოლსკი (45), 2:0 შინკალა (56), 3:0 პოდოლსკი (58), 4:0 ლოტნერი (88)
კიოლნი: ბადე, შროიდერი, სინკიევიჩი, სიჩონე, ვოიტი, სინკალა, შტრაიტი (ებერსი 82), შპრინგერი, ფოილმერი (ლოტნერი 29), პოდოლსკი, შერცი (კრინგე 71)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ჰანზა: შიობერი, მიორლე, კ. მადსენი, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ (მეგლე 46), ლანცი (ადუობე 74), რიდლევიჩი, მაული, არვიდსონი (პრიკა 46), მაქსი
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: ვოიტი, შტრაიტი, ლოტნერი, მაქსი, პრიკა, ადუობე, რიდლევიჩი
გაძევება: რიდლევიჩი (41), მადსენი (44)
მსაჯი: გაგელმანი
40 000 მაყურებელი

„ვერდერის" 23-მატჩიანი წაუგებელი სერია ბრემენში ლევერკუზენის „ბაიერმა" შეწყვიტა. ბუნდესლიგის ჩემპიონი პირველი ტაიმის ნახევრისთვის უკვე სამბურთიანი სხვაობით აგებდა.

შესვენების შემდეგ კრსტაიჩმა და აილტონმა სამწუთიან მონაკვეთში თითოჯერ შეაგდეს, მაგრამ მასპინძლებმა მეტი ველარ გაიტანეს. „ფარმაცევტებმა" ბიროფკას და ბერბატოვის გოლებით ანგარიშში სხვაობა მალევე გაზარდეს, ხოლო ოლივერ ნოივილმა ჩემპიონის საზეიმო განწყობა მეექვსე გოლით ჩაამწარა.

ბრემენის „ვერდერის" კაპიტან ფრანკ ბაუმანს ბუნდესსასალათე რუდი ფიოლერმა გადასცა.

მიუნხენის „ბაიერნმა" ზედიზედ მეორე მარცხი იგემა. „შტუტგარტისა" და „ბაიერნის" გზები სეზონის მიწურულს გადაიხლართა. ისინი ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოსახვედრ მეორე ადგილს ეპოტინებიან. თამაშამდე კი ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ოტმარ ჰიცფელდი ფელიქს მაგათიმ უნდა შეცვალოსო. აი, ასეთ ვითარებაში შეხვდნენ გუნდები ერთმანეთს და „შტუტგარტმა" მეტოქე დაჩოქა.

უნგრელმა იმრე საბიჩმა, რომელიც მეორე წრეში ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა, დაბრუნება დუბლით აღნიშნა. კანს მესამე კევინ კურანიმ გაუტანა, ხოლო კლაუდიო პიზარომ ერთის გაქვითვა შეძლო.

„მცველებმა საშინლად ითამაშეს" — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა ნამატჩევს.

დორტმუნდის „ბორუსიამ" „ბოხუმის" მარცხით ისარგებლა და მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. „შავყვითლებს" ულიხმა მეათე წუთზე გაუტანა, მაგრამ ევერტონმა მალე გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს დედემ, ხოლო შეხვედრის ბოლოს იან კოლერმა მიონხენგლადბახელებს კიდევ თითო მიამატეს.

სტუმართა მწვრთნელი ჰოლგერ ფახი მატჩის დასრულებამდე გააძევეს, რადგან სკამიდან წამოფრინდა და მთავარ მსაჯს შეედავა.

ბუნდესლიგიდან გავარდნილმა „კიოლნმა" გულშემატკივრები გამარჯვებით გაახარა. „თხებს" ორკაცნაკლული „ჰანზას" ძლევა არ გასჭირვებიათ. რენე რიდლევიჩი მსაჯთან კამათისთვის, ხოლო კიმ მადსენი კარის ხაზიდან ბურთის ხელით გამოტანისთვის პირველ ტაიმშივე გააგდეს.

„მიუნხენ 1860"-ს, თუ მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითდა, ფრანსის კიოიოს გაცუდებული პენალტი დიდხანს დაამახსოვრდება. მიუნხენელი „ლომები" როდრიგო კოშტას გოლით „ჰერტასთან" აგებდნენ და ალექსანდრ მადსენმა გაათანაბრა. კიოიოს შეეძლო, თერთმეტმეტრიანით დაებევებინა მასპინძლებისთვის სამი ქულა, მაგრამ ვერ გაიტანა.

**გაჩა ხუციშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვერდერი | 33 | 22 | 8 | 3 | 78:35 | 43 | 74 | 17 | 11 | 4 | 2 | 42:21 | 21 | 37 | 16 | 11 | 4 | 1 | 36:14 | 22 | 37 |
| 2 ბაიერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 68:39 | 29 | 65 | 16 | 12 | 3 | 1 | 41:19 | 22 | 39 | 17 | 7 | 5 | 5 | 27:20 | 7 | 26 |
| 3 შტუტგარტი | 33 | 18 | 10 | 5 | 52:22 | 30 | 64 | 17 | 9 | 7 | 1 | 29:13 | 16 | 34 | 16 | 9 | 3 | 4 | 23:9 | 14 | 30 |
| 4 ლევერკუზენი | 33 | 18 | 8 | 7 | 71:39 | 32 | 62 | 16 | 11 | 1 | 4 | 41:18 | 23 | 34 | 17 | 7 | 7 | 3 | 30:21 | 9 | 28 |
| 5 დორტმუნდი | 33 | 16 | 6 | 11 | 57:47 | 10 | 54 | 17 | 12 | 3 | 2 | 38:16 | 22 | 39 | 16 | 4 | 3 | 9 | 19:31 | -12 | 15 |
| 6 ბოხუმი | 33 | 14 | 11 | 8 | 54:38 | 16 | 53 | 16 | 10 | 5 | 1 | 27:5 | 22 | 35 | 17 | 4 | 6 | 7 | 27:33 | -6 | 18 |
| 7 შალკე | 33 | 13 | 10 | 10 | 48:41 | 7 | 49 | 17 | 7 | 7 | 3 | 28:16 | 12 | 28 | 16 | 6 | 3 | 7 | 20:25 | -5 | 21 |
| 8 ჰამბურგი | 33 | 13 | 7 | 13 | 45:59 | -14 | 46 | 16 | 10 | 3 | 3 | 31:21 | 10 | 33 | 17 | 3 | 4 | 10 | 14:38 | -24 | 13 |
| 9 ჰანზა | 33 | 11 | 8 | 14 | 52:52 | 0 | 41 | 16 | 9 | 1 | 6 | 31:17 | 14 | 28 | 17 | 2 | 7 | 8 | 21:35 | -14 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 33 | 13 | 2 | 18 | 55:60 | -5 | 41 | 16 | 11 | 0 | 5 | 37:24 | 13 | 33 | 17 | 2 | 2 | 13 | 18:36 | -18 | 8 |
| 11 ფრაიბურგი | 33 | 10 | 8 | 15 | 42:65 | -23 | 38 | 17 | 10 | 3 | 4 | 32:25 | 7 | 33 | 16 | 0 | 5 | 11 | 10:40 | -30 | 5 |
| 12 ჰანოვერი | 33 | 9 | 10 | 14 | 48:60 | -12 | 37 | 17 | 5 | 7 | 5 | 27:26 | 1 | 22 | 16 | 4 | 3 | 9 | 21:34 | -13 | 15 |
| 13 გლადბახი | 33 | 9 | 9 | 15 | 37:48 | -11 | 36 | 16 | 6 | 6 | 4 | 18:15 | 3 | 24 | 17 | 3 | 3 | 11 | 19:33 | -14 | 12 |
| 14 ჰერტა | 33 | 8 | 12 | 13 | 39:58 | -19 | 36 | 16 | 5 | 6 | 5 | 23:23 | 0 | 21 | 17 | 3 | 6 | 8 | 16:35 | -19 | 15 |
| 15 ლაუტერნი | 33 | 11 | 5 | 17 | 38:61 | -23 | 35 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:18 | 6 | 28 | 17 | 3 | 1 | 13 | 14:43 | -29 | 10 |
| 16 აინტრახტი | 33 | 9 | 5 | 19 | 35:51 | -16 | 32 | 17 | 6 | 4 | 7 | 25:24 | 1 | 22 | 16 | 3 | 1 | 12 | 10:27 | -17 | 10 |
| 17 მიუნხენი | 33 | 8 | 8 | 17 | 31:52 | -21 | 32 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:25 | -9 | 19 | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | -12 | 13 |
| 18 კიოლნი | 33 | 6 | 5 | 22 | 31:54 | -23 | 23 | 17 | 6 | 2 | 9 | 22:23 | -1 | 20 | 16 | 0 | 3 | 13 | 9:31 | -22 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 28 |
| მაკაი (ბაიერნი) | 23 |
| მაქსი (ჰანზა) | 20 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 16 |
| ევერტონი (დორტმუნდი) | 16 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 15 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 15 |
| იან კოლერი (დორტმუნდი) | 15 |

**XXXIV ტური**

22 მაისი

ვოლფსბურგი — შალკე
ბოხუმი — ჰანოვერი
ჰამბურგი — აინტრახტი
ბაიერნი — ფრაიბურგი
ლევერკუზენი — შტუტგარტი
ჰანზა — ვერდერი
ჰერტა — კიოლნი
გლადბახი — მიუნხენი
ლაუტერნი — დორტმუნდი

## მეორე ბუნდესლიგა

### XXXIII ტური

**ალემანია 1:1 ალენი**

0:1 ნდიაიე (35), 1:1 სალუ (68)

**დუისბურგი 1:1 ფიურტი**

0:1 კაილასი (38), 1:1 რეიხელი (41სკ.)

**ტრიტი 0:0 ბურგჰაუზენი**

**ოსნაბრიუკი 0:0 არმინია**

**რეგენსბურგი 0:0 მაინცი**

**ნიურნბერგი 1:3 ობერჰაუზენი**

0:1 ტოდოკი (31), 1:1 კრჟინოვეკი (60), 1:2 რადულოვიჩი (75), 1:3 სიმიონი (90)

**უნიონი 2:2 კარლსრუე**

1:0 ბაუგარტი (12), 1:1 საენკო (22), 2:1 სობოტჩიკი (31), 2:2 ტრარესი (85)

**უნტერჰახინგი 2:0 კოტბუსი**

1:0 კოპადო (29), 2:0 სუკალო (39)

**ლიუბეკი 2:2 აუე**

0:1 ემერიხი (33), 0:2 ტოპმიოლერი (41), 1:2 ზანდი (56პ), 2:2 ვიორლი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 33 | 18 | 7 | 8 | 68:43 | 61 |
| არმინია | 33 | 16 | 8 | 9 | 49:34 | 56 |
| ალემანია | 33 | 15 | 8 | 10 | 51:50 | 53 |
| მაინცი | 33 | 12 | 15 | 6 | 46:34 | 51 |
| კოტბუსი | 33 | 14 | 9 | 10 | 49:44 | 51 |
| ობერჰაუზენი | 33 | 14 | 8 | 11 | 49:46 | 50 |
| აუე | 33 | 12 | 11 | 10 | 44:42 | 47 |
| დუისბურგი | 33 | 12 | 9 | 12 | 49:45 | 45 |
| ტრირი | 33 | 12 | 9 | 12 | 46:48 | 45 |
| ფიურტი | 33 | 10 | 12 | 11 | 56:51 | 42 |
| ბურგჰაუზენი | 33 | 11 | 9 | 13 | 37:38 | 42 |
| უნტერჰახინგი | 33 | 11 | 9 | 13 | 38:43 | 42 |
| ალენი | 33 | 11 | 8 | 14 | 34:45 | 41 |
| კარლსრუე | 33 | 10 | 10 | 13 | 37:44 | 40 |
| ლიუბეკი | 33 | 9 | 12 | 12 | 47:55 | 39 |
| რეგენსბურგი | 33 | 9 | 12 | 12 | 37:48 | 39 |
| უნიონი | 33 | 8 | 9 | 16 | 42:50 | 33 |
| ოსნაბრიუკი | 33 | 7 | 7 | 19 | 33:52 | 28 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XXXI ტური

ბრაუნშვაიგი — ურდინგენი 5:1; დინამო — კიოლნი (მ) 3:0; ჰამბურგი (მ) — დორტმუნდი (მ) 1:1; კილი — შალკე მ 4:2; მიუნსტერი — ქემნიცი 1:0; ესენი — პადერბორნი 3:1; ზტ. პაული — ვერდერი (მ) 1:0; ვატენშაიდი — ნოიმიუნსტერი 3:0; ვუპერტალი — ლაიფციგი 4:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XXXI ტური

ეშბორნი — ოფენბახი 2:3; ფოიხტი — ერფურტი 1:1; ჰოფენჰაიმი — ზიგენი 2:0; შტუტგარტი (მ) — აალენი 4:2; აუგსბურგი — კიკერსი 2:2; ელვერსბერგი — ლაუტერნი (მ) 2:0; მაინცი (მ) — ზაარბრიუკენი 1:0; ფულენდორფი — ბაიერნი (მ) 0:1; ვეჰენი — შვაინფურტი 1:1

# იტალია

## სერია A. XXIV ტური

### მილანი 4:2 ბრეშა

1:0 ტომასონი (36), 2:0 შევჩენკო (38), 2:1 მატუზალემი (53), 3:1 ტომასონი (60), 4:1 რუიკოშტა (65), 4:2 მატუზალემი (69)
მილანი: აბიატი, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (ბროკი 63), პირლო (რედონდო 57), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (რუიკოშტა 59)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, დი ბიაჯო, დაინელი, ბაკინი, ბრიგი (სტანკევიჩიუსი 67), მატუზალემი, მაური, კასტელინი, ბაჯო (კოლუჩი 83), პარაჩიოლო (დელ ნერო 43)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
მსაჯი: ჯანოკარო
80 000 მაყურებელი

### პარმა 4:3 უდინეზე

0:1 კროლდრუპი (56), 1:1, 2:1 ჯილარდინო (60, 71), 2:2 იორგენსენი (75), 3:2, 4:2 ჯილარდინო (78, 85), 4:3 იანკულოვსკი (90)
პარმა: ფრეი, კასტელინი, ბონერა, ფერარი, ბენარივო (სერიჩი 59), ბარონე, დონადელი, მარკიონი, კარბონე (ზიკუ 56), ბრეშიანო (მორფეო 46), ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
უდინეზე: დე სანქტისი, კროლდრუპი, პიერინი, ფელიპე, ალბერტო, პინცი (ასამოა 84), პიზარო, პაზიენცა (მუნტარი 71), იანკულოვსკი, იორგენსენი, ფავა (იაკინტა 71)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ფერარი, პაზიენცა
მსაჯი: ტრეფოლონი
14 000 მაყურებელი

### კიევო 2:1 ბოლონია

0:1 პეკია (11), 1:1 ამაური (17), 2:1 ძანეტა (22)
კიევო: მარკეჯანი, მორო, ბარონიო (პეროტა 52), სესარი, ლანა (დიანჯელო 64), სანტანა (ბონომი 72), ძანეტა, ბარონიო, კოსატო, ამაური
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდი (ტერცი 62), გამბერინი, ტროისე, სუსი, მეგნი (ფრაგიელო 77), პეკია, კოლუჩი (დალა ბონა 62), ბელუჩი, ტარე, სინიორი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ტროისე, გამბერინი, ამაური
მსაჯი: ტალიავენტო
10 000 მაყურებელი

### ლაციო 2:1 მოდენა

1:0 კორადი (17), 2:0 სეზარი (49), 2:1 ამორუზო (84პ)
ლაციო: პერუცი, სტამი, კოუტუ, მიხაილოვიჩი (ოდო 57), ფავალი, ფიორე, ჯანიკედა (ძაური 79), დაბო (ლივერანი 63), სეზარი, ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მოდენა: ძანკოპე, მენსა, კევოლი, რანდოლი, ტამპედელი, მარასკო, სკოპონი, ბალესტრი (მუსიცი 52), მარაცინი, ვინიაროლი (მაკინვა 52), კამარა (ამორუზო 66)
მწვრთნელი: ჯანფრანკო ბელოტო
გაფრთხილება: კამარა, ფიორე, სკოპონი
მსაჯი: მესინა
60 000 მაყურებელი

### ემპოლი 2:3 ინტერი

1:0 ლუკინი (18), 1:1 ადრიანო (45), 1:2 რეკობა (6:), 1:3 ადრიანო (70), 2:3 როკი (83)
ემპოლი: ბალი, ლუკინი, კრიბარი, ბელერი (ტავანო 75), ვარგასი, ჯამპიერეტი (ფოჯა 67), ფიჩინი, ვანუკი, დი ნატალე, ბუშე, როკი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
ინტერი: ტოლდო, კორდობა, მატერაცი (ადანი 95), გამარა, ხ. ძანეტი, კ. ძანეტი, ემრე, კილი (ველვეგი 91), სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი (რეკობა 62)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: მატერაცი, კორდობა, კ. ძანეტი
მსაჯი: ფარინა
11 000 მაყურებელი

### პერუჯა 1:0 ანკონა

1:0 ბოტროიდი (63პ)
პერუჯა: კალაჩი, კოლი, დი ლორეტო, ფრეზი, ფაბიანო, ზე მარია, გატი (მანფრედინი 60), ფუზანი, დი ფრანჩესკო, ბოტროიდი (ზალაიეტა 85), რავანელი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ანკონა: ჰედმანი, სოლიანო, ესპოზიტო, დ. ბაჯო, მილანეზე (დომბოლო 46), კორეტი, ანდერსონი, ფორტუნატო, პანდევი, განცი (კორაჩი 46), ბუკი
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონი
გაფრთხილება: ფორტუნატო, გატი, ჰედმანი
გაძევება: ფორტუნატო (43)
მსაჯი: დე სანტისი
16 000 მაყურებელი

### სამპდორია 0:0 რომა

სამპდორია: ტურჩი, ძენონი, საკეტი, კაროციერი, ფალკონე, ბეტარინი, დიანა, ვოლპი (დონატი 56), პალომბო, ზივკოვიჩი (ჯობი 33), ფლაკი (პედონე 78), ბაცანი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
რომა: პელიცოლი, პანუჩი, ემერსონი, დელასი, მანჩინი, ტომაზი, დიაგოსტინო, ვაჰაბი (აჯიდე 88), გალასო, კორვია (ჩერჩია 76), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ბეტარინი, მანსინი
მსაჯი: კასტელანი
26 000 მაყურებელი

### სიენა 1:3 იუვენტუსი

0:1 ტუდორი (32), 1:1 ფლო (38), 1:2 მიკოლი (41), 1:3 დი ვაიო (61)
სიენა: ფორტინი, ჩირილო, ჟუარესი, მინანი, გიგუ, ტადეი (ლუმპუტისი 66), არჯილი, კუჩარი, ჟუნიორი (ლაზეტიჩი 57), ფლო, კიეზა (მენეგაცო 49)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
იუვენტუსი: კიმენტი, ბირინდელი, ფერარა, ტურამი (ნედვედი 61), პესოტო, მარესკა, აპია, ტუდორი, ძამბროტა (ბუდიანსკი 33), დი ვაიო, მიკოლი (დელ პიერო 66)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: პრეშერნი
13 500 მაყურებელი

### ლეჩე 2:1 რეჯინა

1:0 ჩევანტონი (10), 1:1 დალ აკუა (31), 2:1 ფრანჩესკინი (37)
ლეჩე: სიჩინიანო (პოლექსიჩი 90), სივილია, კ. სილვესტრი, სტოვინი, ტონეტო, კასეტი (ბილი 70), ჯაკომაცი, ლედესმა, დ.ფრანჩესკინი, კონანი, ჩევანტონი (ბოჟინოვი 63)
მწვრთნელი: დელიო როსი
რეჯინა: კოპოლა, ჟირანეკი, სოტილი (ჯაჩეტა 43), ი. ფრანჩესკინი, მესტო, მოცარტი, პარედესი, მორაბიტო (ბაიოკო 70), კოცა, ნაკამურა, დალ აკუა
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ჩევანტონი, დალ აკუა, სოტილი, ბოჟინოვი
16 125 მაყურებელი




REUTERS მილანიდან

მილანი — ბრეშა. რობერტო ბაჯო ფეხბურთს „სან სიროზე“ დაემშვიდობა

დამთავრდა! მთავარი აქამდეც კარგა ხნის გარკვეული იყო, მაგრამ სერია A-ს ცხრილს საბოლოო სახე მაინც აკლდა და ახლა ეს ნაკლიც შევსებულია: მეოთხე ადგილზე „ინტერი“ გავიდა, ის მომავალ სეზონში ჩემპიონითა ლიგის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს, გავარდნილთა ჯგუფი კი ასე ჩამოყალიბდა: „ანკონა“, „ემპოლი“ და „მოდენა“, ხოლო „პერუჯა“ პლეი ოფში და სერია B-ს ჯერ უცნობ გუნდთან გაარკვევს ურთიერთობას.

მაშ ასე, „შავ-ლურჯებმა“ ჩემპიონატში, სერია A-ში დარჩენისთვის მებრძოლ მასპინძელს 3:2 მოუგეს და სერია B-ში ჩაუძახეს, მათი მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი კი, ალბათ თანამდებობას შეინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ხელმძღვანელობას ასე ჰქონდა ნათქვამი, თუ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებით, მწვრთნელს ხელს არ მოვკიდებთო.

„ინტერის“ გმირი უეჭველად ბრაზილიელი ადრიანო გახლდათ. მილანელებს არ ჰყავდათ დისკვალიფიცირებული კრისტიან ვიერი, რომელიც ტრიბუნაზე იჯდა და იტალიის ტელევიზიის მეორე არხის საფეხბურთო-მუსიკალურ-გასართობ შოუში ერთვებოდა „სტადიო კასტელანიდან“ და დაშავებული ფაბიო კანავარო. მცირე პრობლემები ჰქონდა ადრიანოსაც, მაგრამ მან მაინც ითამაშა.

ანგარიში მასპინძელებმა გახსნეს. მე-18 წუთზე ფრანჩესკო ტოლდომ იგლი ვანუკის დარტყმული მოიგერია, მაგრამ ბურთს სტეფანო ლუკინიმ დაამატა და ბადეში შეაგდო. „ინტერმა“ შესვენების მაუწყებელი სასტვენის წინ გაქვითა. ადრიანომ მარცხნიდან ჩაწოდებული საჯარიმო დიდებული თავურით დააგვირგვინა.

შესვენების შემდეგ „შავ-ლურჯებმა“ ზედიზედ ორჯერ მიაღწიეს მიზანს. ჯერ ისევ ადრიანომ იყოჩაღა, შემდეგ კი მოედანზე ახალშესულმა ალვარო რეკობამ შეასრულა საჯარიმო ჩინებულად, თუმცა ბოლოს როკიმ სხვაობა შეამცირა.

ამ ტურის წინ „ინტერს“ კონკურენციას უწევდნენ „ლაციო“, რომელიც „მოდენას“ ხვდებოდა და „პარმა“, რომელიც „უდინეზეს“ მასპინძლობდა.

„ლაციომ“ „მოდენას“ 2:1 მოუგო, მაგრამ ამით თვითონ ვერაფერი მოიგო, მეტოქე კი სერია B-ში გააგდო. იტალიის თასის მოგების შემდეგ რობერტო მანჩინის ხალხი ფრიად კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა და ანგარიში მე-5 წუთზევე გახსნა, მაგრამ არ ჩაუთვალეს.

მე-16 წუთზე კი ბერნარდო კორადიმ სეზარის ჩინებული პასი მიიღო და მომენტი ხელიდან არ გაუშვა, ხოლო მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე მოდენელი მცველების შეცდომით უკვე სეზარმა ისარგებლა.

„მოდენამ“ 82-ე წუთზე პენალტით შეამცირა სხვაობა, თერთმეტმეტრიანი დარტყმა ჯუზეპე ფავალის ხელით თამაშისთვის დაინიშნა, ხოლო გოლი ნიკოლა ამორუზომ შეაგდო.

„პარმამ“ „უდინეზე“ სრულიად ამაღელვებელი ანგარიშით, 4:3 აჯობა და რაც ყველა საინტერესოა, პარმელთაგან ოთხივე გოლი ალბერტო ჯილარდინომ გაიტანა.

საერთოდ, ამ შემთხვევაში შვიდივე გოლი მეორე ტაიმში, მეტიც, ბოლო 35 წუთში გავიდა, ხოლო ჯილარდინომ [illegible] წუთების მონაკვეთში შეაგდო.

და კიდევ ორ, ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი თამაშზე გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ. ერთი გახლდათ ჩემპიონის, „მილანის“ თამაში „ბრეშასთან“. ხოლო მეორე „სიენას“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება. ორივეგან სახელოვანმა გაიმარჯვა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ „ბრეშაში“ რობერტო ბაჯოს ბოლო თამაში იყო, ხოლო „იუვე“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ გაიყვანა მოედანზე ბოლოჯერ

ასე რომ, ჩაო!

**ბაკუნა ძედია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 24 |
| ჯილარდინო (პარმა) | 23 |
| ტოტი (რომა) | 20 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 19 |
| ადრიანო (ინტერი) | 17 |

## სერია B

### XLII ტური

**კალიარი 3:1 ტრიესტინა**
0:1 ბაუ (13), 1:1 აბეიონი (54), 2:1 ლოპესი (73), 3:1 სუაზო (84)

**ასკოლი 1:0 ვერონა**
1:0 კოლაჩონე (8)

**კომო 1:3 ბარი**
0:1 დე როსა (14), 0:2 ბრიოკი (35), 1:2 კარპარელი (51), 1:3 ვალდესი (85)

**მესინა 4:1 ალბინოლეფე**
1:0 სულო (6პ), 2:0 სოსა (30), 3:0 სულო (36), 4:0 დი ნაპოლი (42), 4:1 რეგონეზი (90)

**ნაპოლი 2:3 კატანია**
0:1 ტერა (27), 0:2, 0:3 ბერეტონი (36, 50), 1:3 პეროვიჩი (51), 2:3 ვიერი (82)

**პალერმო 3:0 ვიჩენცა**
1:0 გასბარონი (10), 2:0 ტონი (25), 3:0 დი დონატო (65)

**პესკარა 1:2 ტრევიზო**
0:1 განცი (6), 0:2 დაგოსტინო (75), 1:2 კალაიო (90)

**ტერნანა 1:2 სალერნიტანა**
1:0 ხარჯა (9), 1:1, 1:2 ტული (62, 86)

**ტორინო 4:2 პიაჩენცა**
1:0 ვალემი (12), 1:1, 1:2 ბეგეტო (41, 51პ), 2:2 მეცანო (64), 3:2 ფერანტე (77პ), 4:2 კოლომბო (90)

**ვენეცია 0:2 ფიორენტინა**
0:1 ვრიზასი (39), 0:2 რიგანო (83)

**ატალანტა 0:0 ლივორნო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 42 | 20 | 15 | 7 | 67:36 | 75 |
| კალიარი | 42 | 20 | 14 | 8 | 69:43 | 74 |
| მესინა | 42 | 19 | 15 | 8 | 63:41 | 72 |
| ლივორნო | 42 | 18 | 17 | 7 | 66:40 | 71 |
| ატალანტა | 42 | 17 | 19 | 6 | 53:34 | 70 |
| პიაჩენცა | 42 | 17 | 16 | 9 | 44:35 | 67 |
| ფიორენტინა | 42 | 17 | 15 | 10 | 48:43 | 66 |
| ტრიესტინა | 42 | 15 | 17 | 10 | 48:45 | 62 |
| ტერნანა | 42 | 15 | 14 | 13 | 53:46 | 59 |
| კატანია | 42 | 16 | 11 | 15 | 48:51 | 59 |
| ტორინო | 42 | 13 | 17 | 12 | 53:46 | 56 |
| ასკოლი | 42 | 13 | 15 | 14 | 46:47 | 54 |
| ტრევიზო | 42 | 12 | 17 | 13 | 44:43 | 53 |
| ვიჩენცა | 42 | 12 | 17 | 13 | 44:46 | 53 |
| ნაპოლი | 42 | 10 | 23 | 9 | 32:39 | 53 |
| სალერნიტანა | 42 | 13 | 11 | 18 | 33:50 | 50 |
| ალბინოლეფე | 42 | 12 | 13 | 17 | 39:51 | 49 |
| ვენეცია | 42 | 11 | 15 | 16 | 37:48 | 48 |
| ჯენოა | 42 | 11 | 14 | 17 | 44:53 | 47 |
| ბარი | 42 | 12 | 10 | 20 | 47:57 | 46 |
| პესკარა | 42 | 10 | 12 | 20 | 35:57 | 42 |
| ვერონა | 42 | 9 | 14 | 19 | 43:62 | 41 |
| აველინო | 42 | 7 | 13 | 22 | 46:60 | 34 |
| კომო | 42 | 7 | 12 | 23 | 32:61 | 33 |

## სერია C1/A

### XXXIV ტური

ლუკეზე — ჩიტადელა 1:1; ლუმეცანე — პრო პატრია 1:2; ნოვარა — პრატო 2:3; პადოვა — ჩეზენა 3:0; პიზა — ტორესი 1:1; რეჯანა — პავია 0:2; რიმინი — არეცო 2:1; სპალ — სპეცია 0:1; ვარეზე — პისტოიეზე 3:2

## სერია C1/B

### XXXIV ტური

აჩირეალე — ბენევენტო 1:0; კიეტი — კატანძარო 1:2; კროტონე — სამბენედეტეზე 3:0; ლანჩიანო — ფოჯა 3:1; აკილა — სორა 0:1; მარტინა — ფერმანა 3:4; პატერნო — ჯულიანოვა 1:0; ტერამო — ვიტერბეზე 1:2; პეზარო — ტარანტო 4:2

| საბოლოო ცხრილი | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მილანი | 34 | 25 | 7 | 2 | 65:24 | 41 | 82 | 17 | 14 | 2 | 1 | 39:15 | 24 | 44 | 17 | 11 | 5 | 1 | 26:9 | 17 | 38 |
| 2 | რომა | 34 | 21 | 8 | 5 | 68:19 | 49 | 71 | 17 | 13 | 1 | 3 | 45:12 | 33 | 40 | 17 | 8 | 7 | 2 | 23:7 | 16 | 31 |
| 3 | იუვენტუსი | 34 | 21 | 6 | 7 | 67:42 | 25 | 69 | 17 | 13 | 1 | 3 | 40:18 | 22 | 40 | 17 | 8 | 5 | 4 | 27:24 | 3 | 29 |
| 4 | ინტერი | 34 | 17 | 8 | 9 | 59:37 | 22 | 59 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:15 | 16 | 31 | 17 | 8 | 4 | 5 | 28:22 | 6 | 28 |
| 5 | პარმა | 34 | 16 | 10 | 8 | 57:46 | 11 | 58 | 17 | 9 | 5 | 3 | 32:20 | 12 | 32 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:26 | -1 | 26 |
| 6 | ლაციო | 34 | 16 | 8 | 10 | 52:38 | 14 | 56 | 17 | 10 | 4 | 3 | 35:19 | 16 | 34 | 17 | 6 | 4 | 7 | 17:19 | -2 | 22 |
| 7 | უდინეზე | 34 | 13 | 11 | 10 | 44:40 | 4 | 50 | 17 | 6 | 7 | 4 | 19:15 | 4 | 25 | 17 | 7 | 4 | 6 | 25:25 | 0 | 25 |
| 8 | სამპდორია | 34 | 11 | 13 | 10 | 40:42 | -2 | 46 | 17 | 8 | 4 | 5 | 26:23 | 3 | 28 | 17 | 3 | 9 | 5 | 14:19 | -5 | 18 |
| 9 | კიევო | 34 | 11 | 11 | 12 | 37:37 | 0 | 44 | 17 | 5 | 6 | 6 | 18:19 | -1 | 21 | 17 | 6 | 5 | 6 | 19:18 | 1 | 23 |
| 10 | ლეჩე | 34 | 11 | 8 | 15 | 43:56 | -13 | 41 | 17 | 6 | 4 | 7 | 19:23 | -4 | 22 | 17 | 5 | 4 | 8 | 24:33 | -9 | 19 |
| 11 | ბრეშა | 34 | 9 | 13 | 12 | 52:57 | -5 | 40 | 17 | 5 | 7 | 5 | 29:25 | 4 | 22 | 17 | 4 | 6 | 7 | 23:32 | -9 | 18 |
| 12 | ბოლონია | 34 | 10 | 9 | 15 | 45:54 | -9 | 39 | 17 | 7 | 5 | 5 | 26:24 | 2 | 26 | 17 | 3 | 4 | 10 | 19:30 | -11 | 13 |
| 13 | სიენა | 34 | 8 | 10 | 16 | 41:54 | -13 | 34 | 17 | 7 | 4 | 6 | 23:15 | 8 | 25 | 17 | 1 | 6 | 10 | 18:39 | -21 | 9 |
| 14 | რეჯინა | 34 | 6 | 16 | 12 | 29:45 | -16 | 34 | 17 | 4 | 8 | 5 | 14:17 | -3 | 20 | 17 | 2 | 8 | 7 | 15:28 | -13 | 14 |
| 15 | პერუჯა | 34 | 6 | 14 | 14 | 44:56 | -12 | 32 | 17 | 3 | 10 | 4 | 26:27 | -1 | 19 | 17 | 3 | 4 | 10 | 18:29 | -11 | 13 |
| 16 | მოდენა | 34 | 6 | 12 | 16 | 27:46 | -19 | 30 | 17 | 5 | 6 | 6 | 17:20 | -3 | 21 | 17 | 1 | 6 | 10 | 10:26 | -16 | 9 |
| 17 | ემპოლი | 34 | 7 | 9 | 18 | 26:54 | -28 | 30 | 17 | 6 | 6 | 5 | 19:18 | 1 | 24 | 17 | 1 | 3 | 13 | 7:36 | -29 | 6 |
| 18 | ანკონა | 34 | 2 | 7 | 25 | 21:70 | -49 | 13 | 17 | 2 | 6 | 9 | 10:24 | -14 | 12 | 17 | 0 | 1 | 16 | 11:46 | -35 | 1 |

# არ მისცა

## გალისიელებმა ერთმანეთის ტყავი დახიეს



REUTERS ბარსელონიდან

„ბარსელონას" გამარჯვების გოლი რონალდინიომ გაიტანა

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XXXVII ტური**

### სოსიედადი 1:1 მალაგა

0:1 კანაბალი (64), 1:1 კოვაჩევიჩი (72)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, კვარმე (ჩუნ სუ ლი 46), ლოპეს რეკარტე, შურერი, ხაბი ალონზო, არანზურუ, გაბილონდო (პოტილონი 46), კარპინი, კოვაჩევიჩი, ნიჰატი (დე პაულა 46)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი (დიეგო ალონზო 76), დუდა, ხერარდო, ინსუა, ივან ლეკო, მიგელ ანხელი, რომერო, ედგარი (როხასი 4; კანაბალი 37), სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: კვარმე, არანზურუ, ლიტოსი, რომერო
მსაჯი: სესარ ფერნანდესი
28 713 მაყურებელი

### ოსასუნა 1:2 ბილბაო

0:1 იესტე (46), 0:2 ურსაისი (61), 1:2 ვალდო (86)

ოსასუნა: ელია, ანტონიო ლოპესი, კუელიარი, ექსპოზიტო (მატეო 26), გ. გარსია, ხოსეჩო (მუნიოსი 40), ალფრედო, პალასიოსიტ (ალოიზი 86), პუნიალი, ვალდო, მაკაიოკო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბილბაო: არან სუბია, მურილიო, ორბაისი, პრიეტო, დელ ორო, ირაოლა, ხონანი (ურსაისი 58), ტიკო, იესტე, ეჩებერია (ფერნანდესი 86), ესკერო
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: კუელიარი, იესტე
მსაჯი: ალფონსო პერეს ბურული
17 000 მაყურებელი

### მალიორკა 4:2 ესპანიოლი

0:1, 0:2 ტამუდო (5პ, 27), 1:2 პერერა (64), 2:2 ბრუგინკი (74), 3:2 პერერა (86), 4:2 კოლცა (90)

მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი (ბრუგინკი 62), ლუსენჰოფი, ნადალი, პოლი, კამპანო, მარკოსი (კოლსა 55), ნენე, პერეირა, დელიბაშიჩი (პერერა 17), ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ესპანიოლი: ლემენსი, დომორო, ლოპო, პოჩეტინიო, ვომე, ალექს ფერნანდესი (მორალესი 63), დე ლა პენია, ფრედსონი, მ. ჰაჯი (კრუიფი 61), მაქსი (რადუჩანო 79), ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: ლეო ფრანკო, ეტოო, პერეირა, ნადალი, კრუიფი
მსაჯი: ფერნანდო კარმონა მენდესი
18 000 მაყურებელი

### ალბასეტე 1:4 სევილია

0:1 დარიო სილვა (39), 0:2 ბაპტისტა (50პ), 0:3 კასკერო (53), 1:3 პარი (68), 1:4 ჰორნოსი (89)

ალბასეტე: ალმუნია, ფ. ნავარო, იბანიესი, ერნანდესი, ვერგარა, დავიდ სანჩესი, მუნტიანუ (დელ პორტე 46), პ. რედონდო, ვიაუდი, არანდა, პაჩეკო (პარი 50)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო (ო. როდრიგესი 53), ალფარი, ხ. რედონდო, რამოსი, კასკერო, ბაპტისტა, მარტი, ნავასი, ტორადო, დარიო სილვა (ორნოსი 59)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ვერგარა, ერნანდესი, არანდა, ხავი ნავარო, პაბლო ალფარო
გაძევება: ვერგარა (47), დავიდ სანჩესი (75)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
16 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 1:2 სარაგოსა

1:0 ნანო (65), 1:1, 1:2 ტოლედო (90)

ატლეტიკო: არაგონესი, გარსია კალვო, გასპარი, ლეკი, სერხი, აგილერა (ნიკოლაიდისი 46), დე ლოს სანტოსი, ნანო, სიმეონე (გაბი 46), პაუნოვიჩი, ტორესი (ოლივერა 86)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სარაგოსა: ვალბუენა, ალვარო, კუარტერო, გ.მილიტო (რებოსიო 68), ტოლედო, პონსიო, სავიო (იორდი 46), სორიანო (გენერელო 68), დანი, გალეტი, ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: გალეტი, სორიანო, ტორესი, ტოლედო, გაბი, ალვარო
გაძევება: კუარტერო (89)
მსაჯი: ხესუს სანჩესი
52 000 მაყურებელი

### ბეტისი 1:0 ვალიადოლიდი

1:0 ასუნსაო (74)

ბეტისი: კონტრერასი, ხუანიტო, ლემბო, რივასი, არსუ (იტო 55), ბენხამინი, კანასი (ვარელა 76), დენილსონი (ასუნსაო 55), ფერნანდო, ხოაკინი, დანი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, ხონათანი, ჟულიო სეზარი, მარკოსი, ფუენტესი (ხავი მორე 59), ტ. გომესი, კამინერო (ფიგუერედო 46), ოსკარი, ფ. სალესი, საპატა, ლოსადა
მწვრთნელი: ანტონიო სანჩეს სანტოსი
გაფრთხილება: საპატა, კამინერო, ფერნანდო
მსაჯი: ხავიერ დელგადო
25 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 2:1 ვალენსია

1:0 ანდერსონი (14), 2:0 რიკელმე (25), 2:1 პელეგრინო (37)

ვილიარეალი: ხ. რეინა, არუაბარენა, ბელეტი, კოლოჩინი, კიკე ალვარესი, ბატალია (სანა 65), ხოსიკო (მარტი 85), რიკელმე, როხერი, ანდერსონი, ხოსე მარი (გიარე 46)
მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია პაკეტო
ვალენსია: რანგელი, კურო ტორესი, გარიდო, დავიდ ნავარო, პელეგრინო, ალბერდა (მარჩენა 46), კანობიო, ხორხე ლოპესი, სისოკო, ოლივეირა (აიმარი 52), ხუან სანჩესი (მისტა 76)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ალბელდა, სისოკო, კიკე ალვარესი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
12 000 მაყურებელი

### დეპორტივო 3:0 სელტა

1:0 სილვინიო (12 ს.კ.), 2:0 პანდიანი (23), 3:0 მუნიტისი (25)

დეპორტივო: მუნუა, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ექტორი, პაბლო ამო, დუშერი, ფრანი (ვიქტორი 83), სერხიო, ვალერონი (ამავისკა 46), მუნიტისი, პანდიანი (ივან პერესი 65)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სელტა: კავალიერო, ბერიზო, მენდესი, სილვინიო, ველასკო, ბორხა, ედუ, ჯოვანელა (გუსტავო ლოპესი 43), ლუქსენი, მოსტოვოი (ანხელი 47), მიროშევიჩი (პინილია 66)
მწვრთნელი: რამონ კარნერო
გაფრთხილება: სილვინიო, მენდესი
მსაჯი: ვისენტე კორტესი
29 000 მაყურებელი

### ბარსელონა 1:0 რასინგი

1:0 რონალდინიო (15პ)

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, რაიციგერი, ვან ბრონკჰორსტი, კოკუ, დავიდსი (მოტა 89), ლუის ენრიკე (ოვერმარსი 59), რონალდინიო, ხავი, სავიოლა (კლუივერტი 62)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
რასინგი: დუდუ, კრისტიან ალვარესი (სილვა ანდერსონი 60), აიოზე, ხუანმა, მორატონი (მორანი 83), პაბლო კასარი, აფეკი, დიეგო მატეო, ნაფტი (პაბლო ლაგო 74), ხავი გერერო, ვალე ხონათანი
მწვრთნელი: ლუკას ალკასარი
გაფრთხილება: ხუანმა, ნაფტი, პუიოლი
გაძევება: პუიოლი (67)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
88 000 მაყურებელი

### მურსია — რეალი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

დიდი შანსი იყო, გუშინ პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი სამივე გუნდი ცნობილი გამხდარიყო. რაკილა შაბათს „სელტაც" და „ვალიადოლიდიც" დამარცხდნენ, გუშინ „ესპანიოლს" მალიორკაზე ფრეც რომ ეთამაშა, „ვალიადოლიდს" აღარაფერი ეშველებოდა — ბოლო ტურში ქულებით დაწევის შანსი კი რჩებოდა, მაგრამ პატარა კატალონიელები ვალიადოლიდელებს ურთიერთშეხვედრებში ჯაბნიან. ხოლო „ესპანიოლს" „მალიორკა" რომ დაემარცხებინა, მაშინ „ვალიადოლიდთან" ერთად „სელტაც" გავარდებოდა.

ისე, უცნაური ზნე სჭირთ იქაურებს. ამ ტურის წინ ნახევარი საქართველო დარწმუნებული იყო, „დეპორტივო" „სელტას" მისცემსო. აბა, ესე სერის ჩემპიონატის დროს ქუთაისი რომ ვარდებოდეს და „დინამოს" ქულები არ სჭირდებოდეს, ხომ მოაგებინებდაო. ერთი სიტყვით, გალისიელი გალისიელის ტყავს არ დახევსო.

„დეპორტივომ" კი „სელტას" ტყავი დახია და მერე როგორ დახია. არადა, თავიდან ვიგოელებმა თამაში თითქოს კარგად დაიწყეს, ერთი ორჯერ სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ უცაბედად ცუდი ამბავი შეემთხვათ — ფრანის ჩაწოდებული ბურთი ბრაზილიელმა მცველმა სილვინიომ საკუთარ კარში ჩაჭრა. ამ მძიმე დარტყმის მერე „სელტა" წელში ვეღარ გაიმართა და კიდევ ორი გოლი გაუშვა, ჯერ ვალტერ პანდიანიმ გაიტანა, მერე კი, სერხიოს პასით, პედრო მუნიტისმა. თამაშის მიწურულს მუნიტისთან უხეშობისთვის ვიგოელები კაცნაკლულნიც დარჩნენ, მსაჯმა ედუარდო ბერიზო გააძევა.

„ვალიადოლიდის" საქმე კი ცოტა სხვანაირად იყო. ამათმაც „სელტას" მსგავსად კარგად დაიწყეს და „სელტასგან" განსხვავებით, სათამაშო უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. „ბეტისმა" კი ლამის ერთადერთი მომენტი რომ ჰქონდა, გამოიყენა და ვალიადოლიდელებს გარჯა წყალში ჩაეყარათ.

გუშინ კი „ესპანიოლი" ვიგოელთა და ვალიადოლიდელთა გულის გასახეთქად, რაულ ტამუდოს გოლებით „მალიორკას" 27-ე წუთისთვის 2:0 უგებდა და 63-ე წუთამდე ამ ანგარიშს ინარჩუნებდა. მერე კი ძნელი ასახსნელია, რა მოხდა. რა ძალამ ააფეთქა „მალიორკა" და რამ ჩაათვლემინა ბარსელონელებს. ფაქტი კი ასეთია: „მალიორკამ" დარჩენილ ნახევარ საათში „ესპანიოლი" გოლებით ამოავსო და პრიმერადივიზიონში დარჩენა ისევ სათუოდ დაუტოვა. თავად კუნძულელთათვის ამ გამარჯვებას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

გუშინწინ ითამაშა უკვე ჩემპიონმა „ვალენსიამ", როგორც სავარაუდო იყო, წააგო და 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

ვალენსიელთა მეტოქე ის „ვილიარეალი" იყო, უეფას თასის ნახევარფინალიდან რომ გააგდო და ახლა, შეიძლება ითქვას, ვალი დაუბრუნა — ამ მოგებით „ვილიარეალი" სავაისო უეფას თასზე გასვლის ნა[illegible]ქცა.

თამაში [illegible] ტაიმშივე დამთავრდა. მასპინძელთა მთავარმა ფეხბურთელებმა, სონი ანდერსონმა და რომან რიკელმემ ორი გოლი გაიტანეს, რასაც მაურისიო პელეგრინომ თავურით ერთით უპასუხა. შესვენების მერე კი ბრძოლით არც მასპინძლებს მოუკლიათ თავი და არც სტუმრებს.

ამგვარად, „ვილიარეალს" უეფას თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს, „ბილბაომ" კი ეს უფლება უკვე მიიღო. ფრანსისკო იესტეს და ისმაელ ურსაისის გოლებით ბილბაოელებმა პამპლონაში „ოსასუნა" დაამარცხეს და ბოლო ტურში რაც გინდა მოხდეს, მეექვსე ადგილზე ქვევით ვერ ჩავარდებიან.

ბასკებს ბოლო ტურში ისევ საბრძოლველი ექნებოდათ, „ატლეტიკოს" ძალიან უცნაური რამ რომ არ დამართნოდა. ხესუს ხილის დაკრძალვის მერე გუნდი სათამაშოდ შემართებით გავიდა და ნანოს გოლით უგებდა კიდეც „სარაგოსას". 89-ე წუთზე სტუმრები კაცნაკლულნიც დარჩნენ და თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, მაგრამ სარაგოსელებმა 91-ე წუთზე გაათანაბრეს, მეოთხე წამატებულზე კი გამარჯვებისა გაიტანეს.

ბოლოს დავძინოთ, რომ „ბარსელონასთან" დამარცხების მიუხედავად, „რასინგს" თავი ქუდში აქვს, რაკი „სელტა" რომც დაეწიოს, სანტანდერელები ვიგოელებს ურთიერთშეხვედრებით სჯობნიან.

**ბოტე ბებელია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვალენსია | 37 | 23 | 8 | 6 | 71:26 | 45 | 77 | 18 | 12 | 3 | 3 | 38:15 | 23 | 39 | 19 | 11 | 5 | 3 | 33:11 | 22 | 38 |
| 2 ბარსელონა | 37 | 21 | 9 | 7 | 62:37 | 25 | 72 | 19 | 10 | 6 | 3 | 33:14 | 19 | 36 | 18 | 11 | 3 | 4 | 29:23 | 6 | 36 |
| 3 რეალი | 36 | 21 | 7 | 8 | 69:47 | 22 | 70 | 18 | 13 | 2 | 3 | 41:21 | 20 | 41 | 18 | 8 | 5 | 5 | 28:26 | 2 | 29 |
| 4 დეპორტივო | 37 | 20 | 8 | 9 | 59:34 | 25 | 68 | 19 | 13 | 3 | 3 | 36:15 | 21 | 42 | 18 | 7 | 5 | 6 | 23:19 | 4 | 26 |
| 5 ბილბაო | 37 | 15 | 11 | 11 | 50:45 | 5 | 56 | 18 | 10 | 5 | 3 | 29:16 | 13 | 35 | 19 | 5 | 6 | 8 | 21:29 | -8 | 21 |
| 6 ვილიარეალი | 37 | 15 | 9 | 13 | 47:46 | 1 | 54 | 19 | 10 | 5 | 4 | 28:19 | 9 | 35 | 18 | 5 | 4 | 9 | 19:27 | -8 | 19 |
| 7 სევილია | 37 | 14 | 10 | 13 | 55:45 | 10 | 52 | 18 | 11 | 2 | 5 | 29:15 | 14 | 35 | 19 | 3 | 8 | 8 | 26:30 | -4 | 17 |
| 8 ატლეტიკო | 37 | 14 | 10 | 13 | 47:50 | -3 | 52 | 19 | 11 | 5 | 3 | 30:17 | 13 | 38 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:33 | -16 | 14 |
| 9 მალაგა | 37 | 15 | 6 | 16 | 48:52 | -4 | 51 | 18 | 10 | 4 | 4 | 33:24 | 9 | 34 | 19 | 5 | 2 | 12 | 15:28 | -13 | 17 |
| 10 ბეტისი | 37 | 12 | 13 | 12 | 43:41 | 2 | 49 | 19 | 6 | 9 | 4 | 22:20 | 2 | 27 | 18 | 6 | 4 | 8 | 21:21 | 0 | 22 |
| 11 ოსასუნა | 37 | 11 | 15 | 11 | 38:36 | 2 | 48 | 19 | 6 | 7 | 6 | 24:24 | 0 | 25 | 18 | 5 | 8 | 5 | 14:12 | 2 | 23 |
| 12 მალიორკა | 37 | 14 | 6 | 17 | 52:65 | -13 | 48 | 19 | 7 | 5 | 7 | 29:32 | -3 | 26 | 18 | 7 | 1 | 10 | 23:33 | -10 | 22 |
| 13 სარაგოსა | 37 | 12 | 9 | 16 | 44:54 | -10 | 45 | 18 | 6 | 7 | 5 | 23:19 | 4 | 25 | 19 | 6 | 2 | 11 | 21:35 | -14 | 20 |
| 14 ალბასეტე | 37 | 12 | 8 | 17 | 39:48 | -9 | 44 | 19 | 9 | 2 | 8 | 25:21 | 4 | 29 | 18 | 3 | 6 | 9 | 14:27 | -13 | 15 |
| 15 სოსიედადი | 37 | 10 | 13 | 14 | 45:52 | -7 | 43 | 19 | 7 | 7 | 5 | 24:22 | 2 | 28 | 18 | 3 | 6 | 9 | 21:30 | -9 | 15 |
| 16 რასინგი | 37 | 11 | 10 | 16 | 48:62 | -14 | 42 | 18 | 5 | 4 | 9 | 23:31 | -8 | 19 | 19 | 6 | 6 | 7 | 25:31 | -6 | 24 |
| 17 ესპანიოლი | 37 | 12 | 4 | 21 | 46:64 | -18 | 40 | 18 | 7 | 2 | 9 | 22:26 | -4 | 23 | 19 | 5 | 2 | 12 | 24:38 | -14 | 17 |
| 18 სელტა | 37 | 9 | 12 | 16 | 46:65 | -19 | 39 | 18 | 4 | 4 | 10 | 15:36 | -21 | 16 | 19 | 5 | 8 | 6 | 31:29 | 2 | 23 |
| 19 ვალიადოლიდი | 37 | 9 | 11 | 17 | 43:56 | -13 | 38 | 18 | 6 | 6 | 6 | 22:23 | -1 | 24 | 19 | 3 | 5 | 11 | 21:33 | -12 | 14 |
| 20 მურსია | 36 | 4 | 11 | 21 | 27:54 | -27 | 23 | 18 | 4 | 7 | 7 | 19:24 | -5 | 19 | 18 | 0 | 4 | 14 | 8:30 | -22 | 4 |

*„რასინგს" დაკლებული აქვს 1 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 24 |
| მისტა (ვალენსია) | 19 |
| ბაპტისტა (სევილია) | 19 |
| სალვა (მალაგა) | 18 |
| ვილა (სარაგოსა) | 17 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 17 |

**XXXVIII ტური**

23 მაისი

ბილბაო — ატლეტიკო
სელტა — მალიორკა
ესპანიოლი — მურსია
რასინგი — დეპორტივო
რეალი — სოსიედადი
სევილია — ოსასუნა
ვალიადოლიდი — ვილიარეალი
ვალენსია — ალბასეტე
სარაგოსა — ბარსელონა
მალაგა — ბეტისი

## სეგუნდადივიზიონი

**XXXVII ტური**

### ხეტაფე 3:1 ელჩე

0:1 ნინიო (19), 1:1 პაჩონი (31), 2:1 კრაიოვიანუ (75), 3:1 პაჩონი (76)

### უელვა 1:0 პოლი ეხიდო

1:0 უჩე (50)

### მალაგა 0:0 ლეგანესი

### კადისი 4:1 ლას პალმასი

0:1 კილი (18), 1:1 ესპადა (55), 2:1 ოლი (78), 3:1 ესპადა (83), 4:1 კუინტანა (88)

### ალავესი 3:0 რაიო ვალეკანო

1:0 კიკო (12), 2:0 მაგნო (45), 3:0 სარიეგი (49)

### სალამანკა 0:1 ლევანტე

0:1 რეგი (71)

### სპორტინგი 4:1 სიუდადი

1:0 ჟოაუ პინტუ (38ს.კ.), 2:0 ბილიჩი (53პ.), 3:0 მიგელი (56), 4:0 რუბენი (73), 4:1 გოდინო (87)

### კორდობა 1:2 ხერესი

0:1 დანი პენდინი (41), 1:1 ვილა (66), 1:2 კატალა (70)

### ალმერია 1:1 ნუმანსია

1:0 ფრანსისკო (1), 1:1 ანტონიო (12)

### ალხესირასი 2:1 ტერასა

1:0 ჩიკო (20), 1:1 მაიკელი (68), 2:1 არმენტანო (81)

### ტენერიფე 1:1 ეიბარი

0:1 კუევასი (10), 1:1 კეკო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 37 | 18 | 12 | 7 | 46:28 | 66 |
| ნუმანსია | 37 | 18 | 10 | 9 | 50:27 | 64 |
| ალავესი | 37 | 17 | 13 | 7 | 41:27 | 64 |
| სპორტინგი | 37 | 18 | 9 | 10 | 52:34 | 63 |
| ხეტაფე | 37 | 16 | 15 | 6 | 44:32 | 63 |
| უელვა | 37 | 13 | 18 | 6 | 40:27 | 57 |
| კადისი | 37 | 16 | 8 | 13 | 47:38 | 56 |
| ეიბარი | 37 | 12 | 14 | 11 | 37:29 | 50 |
| ხერესი | 36 | 11 | 16 | 9 | 40:42 | 49 |
| ტენერიფე | 37 | 9 | 19 | 9 | 29:31 | 46 |
| ტერასა | 37 | 12 | 10 | 15 | 35:39 | 46 |
| ელჩე | 37 | 12 | 10 | 15 | 45:56 | 46 |
| სალამანკა | 37 | 9 | 18 | 10 | 43:38 | 45 |
| სიუდად მურსია | 37 | 10 | 15 | 12 | 47:57 | 45 |
| მალაგა B | 37 | 10 | 14 | 13 | 39:47 | 44 |
| ალმერია | 37 | 9 | 16 | 12 | 40:43 | 43 |
| კორდობა | 37 | 9 | 14 | 14 | 32:37 | 41 |
| ლეგანესი | 37 | 8 | 17 | 12 | 31:40 | 41 |
| ეხიდო | 37 | 10 | 11 | 16 | 26:37 | 41 |
| რაიო | 37 | 10 | 7 | 20 | 39:58 | 37 |
| ლას პალმასი | 37 | 8 | 13 | 16 | 41:62 | 37 |
| ალხესირასი | 36 | 5 | 13 | 18 | 31:46 | 28 |

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ხესუს ხილი

ერთ დროს ხორცის ვაჭარი, მერე ჯადონსური მარბელას მერი, მილიონერი, არაერთგზის ნაციხარი ხესუს ხილი გარდაიცვალა კემტროს კლინიკაში პარასკევ საღამოს, 71 წლისა.

მას, წინა კვირას, ტოლედოში, საკუთარ სახლში ჩაექცა სისხლი და მას შემდეგ საავადმყოფოში იყო.

ურჩი გადამხდელი, ფინანსურ სკანდალებში გახვეული კაცი, წარამარა განსასჯელის სკამზე დაჯენილი, ხესუს ხილი იმავდროულად იყო მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი 1987 წლიდან 17 წლის განმავლობაში, სიკვდილამდე კი რჩებოდა ამ კლუბის მთავარ მეწილედ.

ხესუს ხილი იყო ფეხბურთზე შეყვარებული კაცი და ოცნებობდა დიდი „ატლეტიკოს“ შექმნაზე და ამ ოცნების ასრულებისთვის ცდა არ დაუკლია. მისი ხერხები ხშირად მიუღებელი იყო, მისი ტემპერამენტი კი სწრაფ შენებასთან ერთად უსწრაფეს ნგრევასაც გულისხმობდა.

მის ხელში „ატლეტიკოში“ 23 მწვრთნელი გამოიცვალა: მათ შორის იყვნენ ლუის მენოტი, არიგო საკი, კლაუდიო რანიერი და სხვანი. მისი ოსტატობა იმაში იყო, რომ ყველას მოყვანა შეეძლო. მას ყოველთვის შეეძლო ვარსკვლავების მოყვანა — მათი სია გაჭიმულია პაულო ფუტრედან ფერნანდო ტორესამდე, შუაში კი არიან ჟუნინიო, ჯიმი ჰასელბაინკი და ვიერი.

ხესუს ხილმა 1992 წელს კორპორაციად აქცია „ატლეტიკო“ და ფასიანი ქაღალდების გაყიდვა დაიწყო. 1996 წელს მან აისრულა ოცნება, კლუბმა დუბლი შეასრულა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა თასისთვისაც გაიბრძოლა. ხესუს ხილმა, რომელიც ცდილობდა, რომ სწორედ იქ, სადაც ყველაზე ძნელია, მადრიდში, აეღო საფეხბურთო სადავეები, ცხენით ჩამოიარა ამ ქალაქის ქუჩები, ცხენს კი „იმპერატორი“ ერქვა.

დაუდგრომლობა ამ კაცისა და მისი საქმეების კეთების სტილი იმგვარი იყო, რომ ხილისავე ხელში „ატლეტიკო“ დაბალ ლიგაში გავარდა, რაც 66 წელიწადს არ დამართნოდა. მრავალრიცხოვანმა სასამართლოებმა, მუდმივმა კონფლიქტმა ფეხბურთის მამებთან და ყოველივესთან, რაც „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ იყო, ხილი გვარიანად მოქანცა. თუმცა მან მაინც დაიწყო კლუბის აღორძინება.

სისხლის ჩაქცევამდე რამდენიმე ხნით ადრე მან თავისსავე ფეხბურთელებს შეუტია ზედიზედ სამი წაგების გამო.

ხესუს ხილი სტადიონ „ვისენტე კალდერონზე“ დაასვენეს და მას გულშემატკივრები გამოეთხოვნენ.

მისგან ბევრი პრობლემა იყო, მაგრამ მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი და „ატლეტიკო“. ის არ იყო უბრალოდ მენეჯერი, მმართველი და პრეზიდენტი. ის უბრალო კაცი იყო, რომელიც დაიძრა და საქმე გააკეთა, ფეხბურთში კვალი დატოვა. 90-იანი წლების „ატლეტიკო“ მართლაც მაგარი გუნდი იყო და მწვრთნელებიცა და მოთამაშეებიც, რომლებიც ხილს განუწყვეტლივ მოჰყავდა გუნდში, ერთი რამით ჰგავდნენ ერთმანეთს — მათ შეტევა უყვარდათ. ნამდვილი, ეშხიანი საფეხბურთო შეტევა.

ალბათ, ხესუს ხილსაც ეს უყვარდა — შეტევა. იქ კი გამოჩნდებოდა.



*მადრიდის თეთრ-ალისფერი ნაწილი დიდი კაცის გარდაცვალებას გლოვობს — 20 ათასმა [illegible] შემატკივარმა ხესუს ხილს [illegible] ნასკნელი პატივი მიაგო: „ატლეტიკოს“ ყოფილი პრეზიდენტის ცხედარი შაბათ დილით „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე დაასვენეს და მასთან გამოსათხოვებლად ერთგულ ინჩასთა უზარმაზარი არმია მივიდა.*

*პირველ საათზე საეკლესიო მესა გაიმართა, რომელსაც ოჯახის წევრები და „ატლეტიკოს“ ფეხბურთელები ესწრებოდნენ. მესის მერე ხესუს ხილი მადრიდში, ლა ალმუდენას სასაფლაოზე, საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს.*

*კუბოს „ათლეტთა“ თეთრ-ალისფერი ალამი ჰქონდა გადაფარებული.*

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი. საფრანგეთი (4 — 15 მაისი)

# ბერჟეროს ევროპული მოსავალი

### ფინალი

**საფრანგეთი 2:1 ესპანეთი**

1:0 კონსტანტი (1), 1:1 ბერნაბეუ (63), 2:1 ნასრი (79)

**საფრანგეთი:** კოსტილი, მანგანი, ელ მურაბეტი, ტისოტი, დიუკასე, აჰმედ იაიაუი, მენეზი, ნასრი, ბენ არფა, ბკაკპო, კონსტანტი (სონგო 57)

მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო

**ესპანეთი:** ადანი, დელ მორალ არაპისიო, პლა მოლა, როდრიგეს ლომბანი, პიკე ბერნაბეუ, სუარეს მატა, კარმონა ბონეტი, ფრანსესკ ფაბრეგასი, გარსია ფერნადესი (პერეირა როდრიგესი 40), გარსია ბარენო (კაპელ ტრინიდადი 40), პედრასა სარტო

მწვრთნელი: ხუან სანტისტებანი

მსაჯები: კრისტოფ ზოგრაფოსი (საბერძნეთი); საიმონ ლი ევანსი (უელსი), **ზაზა მენთეშაშვილი** (საქართველო), მარეკ მიკოლაევსი (პოლონეთი)

ბოლო წუთზე სამო ნასრის გატანილმა გოლმა ფრანგებს ევროპის ჩემპიონობა არგუნა.

მატჩში, რომელიც შატორუს „გასტონ პეტის“ სტადიონზე გაიმართა, შარშანდელი ფინალისტი ესპანეთი კვლავ ხელმოცარული დარჩა. ესპანელებმა წინა ჩემპიონატშიც მაშინდელ მასპინძელ პორტუგალიელებთან წააგეს.

შეხვედრა წამების დაწყებული იყო, ანგარიში რომ გაიხსნა. ჯერემი მენეზი მეტოქის საჯარიმოში აღმოჩნდა, კარის წინ ჩააწოდა და კევინ კონსტანტმა ახალდამსხდარი გულშემატკივრები სკამებიდან უმალ წამოყარა.



ყმაწვილმა ფრანგებმა კაცურად ითამაშეს და ბავშვებივით გაიხარეს

ჰატემ ბენ არფას მეორის გატანა შეეძლო. მარცხნიდან შეენთო კარისკენ და მისი დარტყმული მეკარე ადანმა მოიგერია.

ესპანელებმა ფრანსისკო ფაბრეგასისა და ხავიერ გარსია ფერნანდესის ორი არაზუსტი დარტყმით უპასუხეს ფრანგებს. მოგვიანებით ფაბრეგასმა საჯარიმო შეასრულა და ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

შესვენებისას ესპანელთა მწვრთნელმა ხუან სანტისტებანმა შეტევის ხაზი დიეგო კაპელ ტრინიდადით გააძლიერა და შედეგიც მიიღო, კუთხურს ფრანკ სონგოს შეცდომა მოჰყვა და ახლო ძელთან მყოფმა პიკე ბერნაბეუმ თავური დარტყმით გაათანაბრა.

მატჩი დამატებით დროს ითხოვდა, როცა სამირ ნასრიმ უძლიერესად დაჰკრა და ადანის გაუტანა.





ფინალში თანამსაჯი ქართველი ზაზა მენთეშაშვილიც (მარცხნივ) იყო

მასპინძელთა მწვრთნელი ფილიპ ბერჟერო 1984 წლის ფრანგთა ნაკრების მეკარე გახლდათ. მაშინ ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია, მაგრამ ევროპის ჩემპიონის ჯილდო მაინც ერგო.

„ჩვენ კარგად მოვემზადეთ და ეს გამარჯვება მთელი გუნდის შრომის შედეგია. ბიჭებმა საოცარი ბრძოლისუნარიანობით გამახარეს და ძალიან ძლიერი ესპანეთი დაამარცხეს“ — თქვა ნამატჩევს ბერჟერომ.

ხუან სანტისტებანი: „რომ შეიძლებოდეს, ფრანგებისგან ჯერემი მენეზს და ჰატემ ბენ არფას შევიძენდი. ორივე ბრწყინვალე ფეხბურთელია. ვფიქრობ, წაგებას არ ვიმსახურებდით. ჩემი მოთამაშეები ტიროდნენ. ზედიზედ ორჯერ ფინალში მარცხი ნაღდად გულმოსაკლავია.“

**ვაჟა ხუციშვილი**

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**პორტუგალია 4:4დ.დ. (პენ3:2, 3:3) ინგლისი**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXXV ტური

რაპიდი — ადმირა 1:3; ბრეგენცი — ზალცბურგი 2:2; გრაცერი — პაშინგი 1:1; კერნტენი — შტურმი 2:0; მატერსბურგი — აუსტრია 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 35 | 21 | 9 | 5 | 61:30 | 72 |
| აუსტრია | 35 | 20 | 8 | 7 | 61:31 | 68 |
| პაშინგი | 35 | 16 | 12 | 7 | 55:41 | 60 |
| რაპიდი | 35 | 16 | 9 | 10 | 50:45 | 57 |
| ბრეგენცი | 35 | 11 | 12 | 12 | 46:54 | 45 |
| ადმირა | 35 | 10 | 9 | 16 | 40:48 | 39 |
| მატერსბურგი | 35 | 9 | 10 | 16 | 39:57 | 37 |
| ზალცბურგი | 35 | 10 | 5 | 20 | 42:48 | 35 |
| შტურმი | 35 | 7 | 11 | 17 | 35:51 | 32 |
| კერნტენი | 35 | 7 | 11 | 17 | 36:60 | 32 |

## დანია

### სუპერლიგა. XXXI ტური

ესბიერგი — კოპენჰაგენი 0:2; ოლბორგი — ჰერფიოლგე 7:2; ბრონდბიუ — მიდტიულანდი 2:1; ოდენსე — ნორდსიელანდი 1:1; ვიბორგი — აკადემისკი 0:2; ორჰუსი — ფრემი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 31 | 19 | 7 | 5 | 51:24 | 64 |
| ბრონდბიუ | 31 | 18 | 7 | 6 | 50:27 | 61 |
| ესბიერგი | 31 | 17 | 8 | 6 | 64:39 | 59 |
| ოდენსე | 31 | 15 | 8 | 8 | 60:44 | 53 |
| ოლბორგი | 31 | 15 | 8 | 8 | 51:39 | 53 |
| მიდტიულანდი | 31 | 13 | 6 | 12 | 62:47 | 45 |
| ვიბორგი | 31 | 10 | 8 | 13 | 43:42 | 38 |
| ორჰუსი | 31 | 11 | 3 | 17 | 44:62 | 36 |
| ნორდსიელანდი | 31 | 7 | 10 | 14 | 32:54 | 31 |
| ჰერფიოლგე | 31 | 8 | 6 | 17 | 33:52 | 30 |
| ფრემი | 31 | 8 | 3 | 20 | 36:56 | 27 |
| აკადემისკი | 31 | 7 | 2 | 22 | 27:67 | 23 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. III ტური

ლაჰტი — მიუპა 1:1; ტურკუ — ინტერი 2:0; ჰაკა — ტამპერე 0:1; ჯაზი — ტპ 47 2:2; კტპ — ჰიკ 2:2; ალიანსი — როვანიემი 1:0; ჰამენლინა — იარო 2:1; ტპ 47 — ტურკუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ალიანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ტამპერე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ჰიკ | 3 | 1 | 2 | 0 | 8:5 | 5 |
| ტპ 47 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ტურკუ | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კტპ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| მიუპა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჯაზი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ჰამენლინა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| იარო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ინტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლაჰტი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| როვანიემი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

# ლოკომოტივი ოსეთში მძევლად აიყვანეს



„ლოკომოტივის" მეკარე სერგეი ოვჩინიკოვს გოლი რომ არ გაეშვა, ჩემპიონატში 100 უგოლო თამაში დაუგროვდებოდა

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ალანია 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ლოსკოვი (77), 1:1 ტუდორი (83), 1:2 ობიორა (85)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, სენიკოვი (პაშინინი 70), ასათიანი, გურენკო, ბილიალეტდინოვი, მამინოვი, ხოხლოვი, ლოსკოვი, სიჩოვი (ობიორა 37), აშვეთია (ნიჟეგოროდოვი 87)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: ასათიანი, გურენკო, ბესტაევი, ბრაბეცი, ტუდორი, იანოვსკი, დროზდოვი, ობიორა

მსაჯი: გონჩარი

**სპარტაკი 0:2 ცსკა**

0:1 ზოა (8ს.კ.), 0:2 ოლიჩი (77)

**რუბინი 2:2 ამკარი**

1:0 რონი (13), 1:1 შუტოვი (15), 2:1 დოსტალეკი (67), 2:2 შუტოვი (70)

**ტორპედო 2:0 შინიკი**

1:0 პანოვი (76), 2:0 სემშოვი (88)

**ყუბანი 3:1 როსტოვი**

1:0 კანტონისტოვი (33), 1:1 ადამოვი (44), 2:1, 3:1 კანტონისტოვი (60, 66პ)

**სატურნი 2:0 როტორი**

1:0 გინიასუ (37), 2:0 ბისტროვი (80)

**ზენიტი 1:2 კრილია**

1:0 მარეში (35), 1:1 პოშკუსი (48), 1:2 კარიაკა (86)

**დინამო 1:0 ტ. მეტალურგი**

1:0 იაშინი (59)

ნევიო სკალას „სპარტაკის" მიჯრით მეოთხე მატჩი წააგო. იტალიელის გუნდში არეულობაა. მწვრთნელსა და ზოგიერთ ფეხბურთელს შორის ბინდი ჩამოწვა. სკალამ მოჯანყე სამეული — მიხაილო პიანოვიჩი, იური კოვტუნი და დუშან პეტკოვიჩი — ერთი კვირის წინ სათადარიგო გუნდში გადაისროლა. ისინი მოჭკვიანდნენ და მათგან ორმა (პიანოვიჩი, კოვტუნი) ცსკა-სთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველა.

ოლეგ რომანცევის წასვლის შემდეგ „სპარტაკი" არმიელებს ვეღარ ჩაგრავს. „სახალხო გუნდს" ცსკა-სთან გამართულ ბოლო ხუთ დერბიში ერთიც არ მოუგია.

სკალამ დაცვაში მოულოდნელად ზოა გაამწესა. კამერუნელი ლეგიონერი მწვრთნელმა სეზონის დასაწყისშივე აითვალწუნა და არ ენდობოდა, მაგრამ ამჯერად არქივიდან ამოქექა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც.

იური ჟირკოვმა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ხოლო კამერუნელმა მოგერიების მცდელობისას ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მეორე გოლი შეხვედრის ბოლოს ივიცა ოლიჩმა ეფექტური დარტყმით შეაგდო, ზოამ კი კინაღამ მეორე გაუტანა თავის მეკარეს.

ცსკა ზედიზედ მეოთხე მოგებით ლიდერთა სამეულში შეძვრა.

მოსკოვის „ლოკომოტივი" მასპინძელმა ქომაგებმა ვლადიკავკაზის სტადიონიდან ლანძღვა-გინებით გააცილეს, ხოლო ფეხბურთელებზე მეტად მსაჯები შეამკეს. გულშემატკივრებმა ადმინისტრაციული შენობიდან გასასვლელი თხუთმეტი წუთით დაბლოკეს და მსაჯებს არ უშვებდნენ.

„ალანიამ" „ლოკომოტივს" პირველ ტაიმში აჯობა და ერთი ნაღდი საგოლე მომენტიც შექმნა ოვჩინიკოვის კართან, რომელიც ტუდორმა ვერ გამოიყენა. შესვენებამდე სტუმრებს სიჩოვი დაუშავდათ და შეცვალეს.

მეორე ნახევარში გოლებიც გავიდა და ჩხუბიც იყო. ჯერ მსუბუქი კამათი იყო, მასპინძელთა ფრანგმა თავკაცმა როლან კურბისმა, თავისი გუნდის სათადარიგო ფეხბურთელების თანხლებით, იური სიომინის შემოხაზულს გარეთ გასვლა გააპროტესტა, მაგრამ მეოთხე მსაჯმა ფრანგს რატომღაც წაუყრუა.

ამასობაში ლოსკოვმა ბილიალეტდინოვის პასით ანგარიში გახსნა. მასპინძლები პასის მომენტში სოჭელ არბიტრ გონჩარს უყურებდნენ, რადგან მიიჩნიეს, რომ ბილიალეტდინოვმა ბურთი ხელით გაისწორა. გონჩარმა გოლი ჩათვალა და მასპინძელი ფეხბურთელები მსაჯს ეცნენ.

ვლადიკავკაზელთა რისხვა ჯეიმს ობიორამაც იგემა. მან „ალანიას" მეკარეს წიხლი მაშინ ჰკრა, როცა ბურთმოხელთებული ხომიჩი უკვე მინდორზე იწვა. უხეშობას ტრიბუნებიდან ბოთლების სროლა მოჰყვა, ხოლო ამ მომენტიდან ორ წუთში მასპინძელთა სამსვლიანი კომბინაცია გოლით დასრულდა.

მალე ობიორამ ხომიჩის შეცდომით ისარგებლა და სტუმრები კვლავ დააწინაურა. მატჩის დასრულებას კი „ალანიას" ქომაგთა აღულება და დარჩენილი ბოთლების სროლა მოჰყვა.

ათკაცა „ტორპედომ" „შინიკის" დამარცხება შეძლო და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

სტუმართა გუნდის მწვრთნელი ალექსანდრ პობეგალოვი ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს. მას რამდენიმე ფეხბურთელი მიემხრო და კლუბის შეფების გადაწყვეტილება გააპროტესტეს. პობეგალოვის ნაცვლად დროებით ვალერი ფროლოვი დანიშნეს, რომელმაც არეული სამზარეულოს დალაგება ვერ შეძლო.

მასპინძლებს მცველი ბუგაევი პირველი ტაიმის მიწურულს გაუძევეს. ბუგაევი მსაჯმა ლუცენკოსთან უხეშობისთვის გააგდო.

კაცნაკლულმა „ტორპედომ" ანგარიში შესვენების შემდეგ გახსნა. პანოვმა თავით დაგდებულ ბურთი მალიშევის კარში შეაგდო.

ტორპედოელებმა სტუმრები ბოლოს კონტრშეტევაზეც გამოიჭირეს და სემშოვმა მეორე გაიტანა.

მაჩანჩალების დუელში კრასნოდარის „ყუბანმა" „როსტოვთან" იმარჯვა და ცხრილში სამი საფეხურით აჩოჩდა. ყუბანელმა ლუბომირ კანტონისტოვმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

მასპინძლები მან პირველ ტაიმში დააწინაურა — ოციოდ მეტრიდან ბურთი ცხრიანში შეჭედა. როსტოველთა ფორვარდმა ადამოვმა ათ წუთში გაათანაბრა. საჯარიმოში ორი მცველი გააბითურა და პეროვს გაუტანა.

შესვენების შემდეგ კანტონისტოვმა საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით მეორე შეაგდო, ხოლო მოგვიანებით მეკარე კოლინკოს პენალტის ნიშნულიდანაც აჯობა.

ყაზანში „ამკარს" მალევე გაუძევეს ფეხბურთელი, მაგრამ „რუბინმა" ამ უპირატესობით ვერ ისარგებლა. მასპინძლები ორჯერ იგებდნენ და პერმელებმა ორჯერვე სწრაფად გაათანაბრეს, ხოლო „ამკარის" მეკარე სტეპანოვმა რამდენჯერმა გამოაძრო ბურთი კარის ხაზიდან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 7 | 3 | 1 | 23:9 | 24 |
| ცსკა | 11 | 6 | 4 | 1 | 19:9 | 22 |
| ლოკომოტივი | 11 | 6 | 4 | 1 | 16:7 | 22 |
| ზენიტი | 11 | 6 | 3 | 2 | 23:16 | 21 |
| კრილია | 11 | 5 | 3 | 3 | 19:20 | 18 |
| დინამო | 11 | 3 | 6 | 2 | 12:8 | 15 |
| სატურნი | 11 | 3 | 6 | 2 | 13:10 | 15 |
| ტ. მეტალურგი | 11 | 3 | 5 | 3 | 15:12 | 14 |
| სპარტაკი | 11 | 4 | 2 | 5 | 20:21 | 14 |
| ალანია | 11 | 3 | 4 | 4 | 7:10 | 13 |
| ამკარი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:14 | 13 |
| ყუბანი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:17 | 10 |
| შინიკი | 11 | 2 | 4 | 5 | 5:11 | 10 |
| რუბინი | 11 | 1 | 6 | 4 | 10:13 | 9 |
| როსტოვი | 11 | 1 | 4 | 6 | 10:19 | 7 |
| როტორი | 11 | 1 | 2 | 8 | 12:27 | 5 |

## ბელგია

### I დივიზიონი. XXXIV ტური

**ბეერსხოტი 1:2 სტანდარტი**

0:1, 0:2 ე. მპენზა (19, 28), 1:2 ჰოეფკენსი (80პ)

**ანდერლეხტი 1:1 ლუვიე**

1:0 დინდანე (72), 1:1 მურკი (89)

**ბევერენი 5:2 ანტვერპენი**

0:1 იმაგბუდუ (11), 1:1 ნე (32), 1:2 იონსონი (52), 2:2, 3:2 სანოგო (53, 69), 4:2 ვლემინსკი (84), 5:2 სანოგო (86)

**შარლერუა 1:0 მონსი**

1:0 მოკე (10)

**ბრიუგე 3:0 ლიერსი**

1:0 დე ოლივეირა (10), 2:0 ვერჰეინი (66), 3:0 ჩეხი (85)

**ჰეუსდენი 2:3 გენკი**

1:0 სუძუკი (42), 2:0 ორიგი (56), 2:1 ჰარუნი (57), 2:2, 2:3 ვანდერბერგი (70, 90)

**ლოკერენი 1:1 მუსკრონი**

0:1 პიერონი (2), 1:1 ბალდვიზონი (7)

**სენტ ტრუიდენი 0:2 გენტი**

0:1, 0:2 იარაკოვიჩი (44, 62)

**ვესტერლო 1:1 სერკლი**

1:0 დოსუნმუ (50), 1:1 ბორკელმანსი (68)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 34 | 25 | 6 | 3 | 77:27 | 81 |
| ბრიუგე | 34 | 22 | 6 | 6 | 77:31 | 72 |
| სტანდარდი | 34 | 18 | 11 | 5 | 68:31 | 65 |
| მუსკრონი | 34 | 15 | 14 | 5 | 64:42 | 59 |
| გენკი | 34 | 17 | 8 | 9 | 58:40 | 59 |
| ვესტერლო | 34 | 14 | 10 | 10 | 51:45 | 52 |
| ლუვიე | 34 | 10 | 14 | 10 | 45:46 | 44 |
| ბეერსხოტი | 34 | 11 | 11 | 12 | 34:40 | 44 |
| გენტი | 34 | 8 | 16 | 10 | 33:34 | 40 |
| ლიერსი | 34 | 8 | 15 | 11 | 33:40 | 39 |
| ლოკერენი | 34 | 10 | 9 | 15 | 45:54 | 39 |
| ბევერენი | 34 | 11 | 5 | 18 | 45:58 | 38 |
| სენტ ტრუიდენი | 34 | 9 | 11 | 14 | 36:50 | 38 |
| სერკლი | 34 | 7 | 14 | 13 | 28:52 | 35 |
| შარლერუა | 34 | 8 | 9 | 17 | 35:47 | 33 |
| მონსი | 34 | 7 | 12 | 15 | 29:52 | 33 |
| ჰეუსდენი | 34 | 7 | 7 | 20 | 36:68 | 28 |
| ანტვერპენი | 34 | 7 | 6 | 21 | 30:67 | 27 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXXV ტური

**იანგ ბოისი 2:1 სენტ გალენი**

1:0 მანინი (65), 2:0 ეგსტერი (73), 2:1 ნალდო (77)

**აარაუ 1:2 თუნი**

0:1 რაიმონდი (28), 1:1 ციტკო (4„), 1:2 როდრიგესი (85)

**სერვეტი 2:3 ციურიხი**

0:1 იასარი (8), 1:1 ტურე (49), 1:2 ნეფი (60), 1:3 გიგაქსი (68), 2:3 ჩიპადი (89)

**ვილი 3:0 ქსამაქსი**

1:0 ნუში (1), 2:0 ბარია (42), 3:0 ნუში (68)

**გრასჰოპერსი 0:2 ბაზელი**

0:1 როსი (33), 0:2 ბარბერისი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 35 | 25 | 7 | 3 | 83:31 | 82 |
| იანგ ბოისი | 35 | 22 | 6 | 7 | 74:46 | 72 |
| სერვეტი | 35 | 15 | 7 | 13 | 61:59 | 52 |
| ციურიხი | 35 | 13 | 8 | 14 | 54:51 | 47 |
| სენტ გალენი | 35 | 13 | 8 | 14 | 52:57 | 47 |
| თუნი | 35 | 12 | 10 | 13 | 49:57 | 46 |
| გრასჰოპერი | 35 | 12 | 5 | 18 | 61:72 | 41 |
| აარაუ | 35 | 9 | 11 | 15 | 56:65 | 38 |
| ქსამაქსი | 35 | 9 | 6 | 20 | 44:62 | 33 |
| ვილი | 35 | 7 | 8 | 20 | 37:71 | 29 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. VIII ტური

ჰალმსტადი — ელფსბორგი 3:0; სუნდსვალი — ჰელსინგბორგი 3:3. *ჰამარბი — ლანდსკრონა, მალმიო — კალმარი და იორებრო — აიკ ხვალ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:8 | 22 |
| ჰამარბი | 7 | 4 | 2 | 1 | 6:3 | 14 |
| კალმარი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | 13 |
| მალმიო | 7 | 3 | 3 | 1 | 13:5 | 12 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| ტრელებორგი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| იურგორდენი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | 9 |
| ლანდსკრონა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 1 | 4 | 3 | 13:13 | 7 |
| სუნდსვალი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | 7 |
| იორგრიტე | 7 | 1 | 4 | 2 | 7:10 | 7 |
| იორებრო | 7 | 2 | 1 | 4 | 10:17 | 7 |
| აიკ | 7 | 1 | 3 | 3 | 3:7 | 6 |
| ელფსბორგი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:15 | 3 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს-ლიგა. XXX ტური

სინოტი — ბლშანი 1:0; ბუდეიოვიცე — სლავია 0:1; ლიბერეცი — ჟიჟკოვი 3:0; სიგმა — პლზენი 1:0; ოპავა — ბანიკი 2:4; პრჟიბრამი — ბრნო 2:1; სპარტა — იაბლონეცი 2:1; ტეპლიცე — ზლინი 3:0

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 30 | 18 | 9 | 3 | 60:25 | 63 |
| სპარტა | 30 | 16 | 10 | 4 | 48:24 | 58 |
| სიგმა | 30 | 16 | 7 | 7 | 43:24 | 55 |
| სლავია | 30 | 15 | 7 | 8 | 42:24 | 52 |
| სინოტი | 30 | 14 | 6 | 10 | 43:37 | 48 |
| ლიბერეცი | 30 | 12 | 10 | 8 | 38:27 | 46 |
| ზლინი | 30 | 12 | 5 | 13 | 31:38 | 41 |
| ბუდეიოვიცე | 30 | 11 | 7 | 12 | 37:38 | 40 |
| ტეპლიცე | 30 | 9 | 12 | 9 | 32:32 | 39 |
| იაბლონეცი | 30 | 8 | 14 | 8 | 27:32 | 38 |
| პრჟიბრამი | 30 | 10 | 7 | 13 | 33:37 | 37 |
| ოპავა | 30 | 8 | 7 | 15 | 34:54 | 31 |
| ბრნო | 30 | 7 | 9 | 14 | 33:43 | 30 |
| ბლშანი | 30 | 8 | 6 | 16 | 34:54 | 30 |
| ჟიჟკოვი | 30 | 6 | 9 | 15 | 18:34 | 27 |
| პლზენი | 30 | 4 | 7 | 19 | 23:53 | 19 |

## პოლონეთი

### I ლიგა. XXIII ტური

ლეხი — პოლონია 1:0; ლეგია — სვიტი 3:1; პლოცკი — გროცლინი 0:1; ამიცა — ვიძევი 6:0; გურნიკი — კატოვიცე 1:1; პოლკოვიცე — ლეჩნა 2:0; ვისლა — ოდრა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 23 | 19 | 1 | 3 | 66:27 | 58 |
| ლეგია | 23 | 16 | 5 | 2 | 44:15 | 53 |
| ამიცა | 23 | 13 | 5 | 5 | 45:23 | 44 |
| გროცლინი | 23 | 11 | 6 | 6 | 51:28 | 39 |
| პლოცკი | 23 | 9 | 7 | 7 | 37:35 | 34 |
| ლეხი | 23 | 9 | 6 | 8 | 39:31 | 33 |
| გურნიკი | 23 | 7 | 9 | 7 | 24:29 | 30 |
| ოდრა | 23 | 8 | 4 | 11 | 24:34 | 28 |
| ლეჩნა | 23 | 8 | 3 | 12 | 20:37 | 27 |
| კატოვიცე | 23 | 6 | 6 | 11 | 17:37 | 24 |
| პოლონია | 23 | 5 | 7 | 11 | 22:35 | 22 |
| პოლკოვიცე | 23 | 5 | 4 | 14 | 16:35 | 19 |
| სვიტი | 23 | 4 | 6 | 13 | 19:39 | 18 |
| ვიძევი | 23 | 3 | 7 | 13 | 23:42 | 16 |

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა XXIX ტური

აეკ — ოფი 2:2; აკრატიტოსი — პანიონიოსი 1:1; ეგალეო — კალითეა 1:1; იონიკოსი — ქსანთი 1:0; ირაკლისი — პანილიაკოსი 0:0; ოლიმპიაკოსი — არისი 3:0; პაოკ — ხალკიდონა 2:1; პროდეფტიკი — პანათინაიკოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 29 | 23 | 5 | 1 | 61:18 | 74 |
| ოლიმპიაკოსი | 29 | 23 | 3 | 3 | 67:18 | 72 |
| პაოკ | 29 | 18 | 5 | 6 | 46:26 | 59 |
| აეკ | 29 | 15 | 7 | 7 | 54:31 | 52 |
| ეგალეო | 29 | 15 | 7 | 7 | 36:23 | 52 |
| პანიონიოსი | 29 | 11 | 11 | 7 | 37:28 | 44 |
| ხალკიდონა | 29 | 12 | 6 | 11 | 37:38 | 42 |
| ირაკლისი | 29 | 11 | 6 | 12 | 39:39 | 39 |
| იონიკოსი | 29 | 8 | 6 | 15 | 31:42 | 30 |
| ქსანთი | 29 | 8 | 6 | 15 | 28:41 | 30 |
| ოფი | 29 | 7 | 8 | 14 | 26:42 | 29 |
| კალითეა | 29 | 5 | 12 | 12 | 36:39 | 27 |
| არისი | 29 | 7 | 5 | 17 | 23:45 | 26 |
| აკრატიტოსი | 29 | 5 | 8 | 16 | 30:66 | 23 |
| პანილიაკოსი | 29 | 4 | 9 | 16 | 28:55 | 21 |
| პროდეფტიკი | 29 | 4 | 8 | 17 | 25:53 | 20 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. VI ტური

ბოდიო გლიმტი — ტრომსიო 2:1; ბრანი — ჰამ კამი 2:0; ფრედრიკსტადი — სოგნდალი 3:3; ლინი — სტაბეკი 2:0; რუსენბორგი — მოლდე 0:2; ვიკინგი — ოდ გრენლანდი 2:2; ლილესტრიომი — ვოლერენგა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| ოდ გრენლანდი | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | 12 |
| ვოლერენგა | 6 | 3 | 3 | 0 | 6:3 | 12 |
| ჰამ კამი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| ბოდიო გლიმტი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| ლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| მოლდე | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 8 |
| ბრანი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ლილესტრიომი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:7 | 6 |
| სოგნდალი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:12 | 5 |
| ვიკინგი | 6 | 0 | 5 | 1 | 4:8 | 5 |
| ფრედრიკსტადი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:14 | 5 |
| სტაბეკი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |

# ლომს ვინ შებედავს, ჩემპიონი არ ხარო



REUTERS ლიონიდან

ლიონში ასეთი ზეიმი ტრადიციად იქცა

„ოსერმა" ჯიბრილ სისეს ორი გოლით „ნანტი" დაამარცხა და უეფას თასის საგზური განაღდა, თუმცა ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო სეზონში გაუჭირდება. ოსერელებს სეზონის ბოლოს გი რუს გაზრდილი ოთხი ფეხბურთელი წაუვა. ჯიბრილ სისე, ოლივიე კაპო, ჟან ალენ ბუმსონგი და ფილიპ მექსესი სხვა გუნდებში გადავლენ.

ჟოზე ანიგოს „მარსელს" ზეგ უეფას თასის ფინალი ელის და ამიტომ მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა. შესუსტებული „მარსელის" ძლევა „ტულუზმა" ედუარდოს გვიანი გოლით მოახერხა და ლიგაში დასარჩენად ძვირფასი სამი ქულა შეიმატა.

ვაჟა ხუციშვილი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXVII ტური

**ოსერი 2:0 ნანტი**

1:0, 2:0 სისე (2, 12)

**გენგამი 1:2 ნიცა**

1:0 დაგანო (25), 1:1 ტრაორე (85), 1:2 ლასლანდი (89)

**ლანსი 2:0 აიაჩო**

1:0 დიოპი (41), 2:0 კორიდონი (90)

**ლილი 2:0 ბასტია**

1:0 აჩიმოვიჩი (72), 2:0 მუსილუ (90)

**მეცი 3:1 ბორდო**

0:1 ფრანცა (24), 1:1 პრომენი (54), 2:1 მენირი (63), 3:1 რონიო (71)

**მონაკო 1:4 რენი**

0:1 ფრეი (9), 1:1 მორიენტესი (12), 1:2 მონტერუბიო (56პ), 1:3, 1:4 კელსტრიონი (68, 90)

**მონპელიე 1:2 სტრასბური**

0:1 ფამი (45), 1:1 ბამოგო (53პ), 1:2 კამადინი (72)

**პსჟ 1:0 ლიონი**

1:0 პაულეტა (6)

**სოშო 3:0 ლე მანი**

1:0 მათიუ (38), 2:0 სანტოსი (87), 3:0 ფრაუ (90)

**ტულუზი 2:1 მარსელი**

0:1 დაო (4ს.კ), 1:1 ფერნანდაო (45), 2:1 ედუარდო (83)

პსჟ-მ ბოლო ტურში 14 და მეტი ბურთის სხვაობით თუ მოიგო, ხოლო „ლიონი" შინ „ლილთან" დამარცხდა, საფრანგეთის ჩემპიონი პსჟ გახდება. ეს ვარიანტი ფანტასტიკის სფეროდანაა და ამიტომ „ლიონი" ახლავე იღებს საჩემპიონო მილოცვებს, ოფიციალური ჩემპიონობა კი ერთი კვირის შემდეგ, 23 მაისს გაფორმდება.

პოლ ლე გუენის გუნდმა მიჯრით მესამედ მოიგო ფრანგული ოქრო. აქამდე ეს მხოლოდ „სენტ ეტიენმა" და „მარსელმა" შეძლეს.

„ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით — თქვა მწვრთნელმა — ჩვენ ბრწყინვალე სეზონი გვქონდა და ბოლო ტურში შინ გულიანად ვიზეიმებთ."

ლიონელებმა პარიზში წააგეს, მაგრამ „მონაკოს" მარცხი „რენთან", ლე გუენისთვის სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა.

„უცნაურია, რომ ასეთ ვითარებაში გავხდით ჩემპიონები — განაცხადა „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ. ზედიზედ მესამედ ვზეიმობთ და ვიცი, რომ ეს ფაქტი საფრანგეთში ბევრს აღიზიანებს."

ფლორენ მალუდა, „ლიონის" ფეხბურთელი: „ორი წლის წინ „გენგამში" ვიყავი და ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძოდი, ახლა კი ჩემპიონი ვარ. ეს სასწაულია."

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მილანში ჩემპიონად მივემგზავრები" — აღნიშნა ვიკაშ დორასომ, რომელიც ახალი სეზონიდან კარიერას კარლო ანჩელოტის გუნდში გააგრძელებს.

„მონაკომ" მოულოდნელად წაიფორხილა და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გამსვლელი მეორე ადგილი პსჟ-ს დაუთმო.

რენელები ალექსანდრ ფრეის გოლით დაწინაურდნენ, ფერნანდო მორიენტესმა კი უმალ გაათანაბრა. ესპანელი ფორვარდი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, რაკი მცირე ტრავმა მიიღო, არადა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს სათამაშო.

ფლავიო რომამ ოლივიე მონტერუბიო წააქცია და დაზარალებულმა თავად შეასრულა პენალტი.

„მონაკოს" მოგება სჭირდებოდა, შეუტია კიდეც, მაგრამ რენელმა კალსტრიომმა კონტრშეტევაზე ორჯერ გამოიჭირა და მასპინძელთა საჩემპიონო ამბიცია დუბლით ჩააცხრო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 37 | 23 | 7 | 7 | 61:26 | 76 |
| პსჟ | 37 | 21 | 10 | 6 | 49:28 | 73 |
| მონაკო | 37 | 20 | 12 | 5 | 56:29 | 72 |
| ოსერი | 37 | 19 | 7 | 11 | 59:33 | 64 |
| სოშო | 37 | 18 | 9 | 10 | 53:39 | 63 |
| ნანტი | 37 | 16 | 9 | 12 | 44:34 | 57 |
| მარსელი | 37 | 16 | 6 | 15 | 49:44 | 54 |
| ლანსი | 37 | 15 | 8 | 14 | 34:45 | 53 |
| ლილი | 37 | 14 | 9 | 14 | 41:38 | 51 |
| ბორდო | 37 | 13 | 11 | 13 | 39:40 | 50 |
| რენი | 37 | 13 | 10 | 14 | 52:44 | 49 |
| ნიცა | 37 | 11 | 16 | 10 | 41:38 | 49 |
| მეცი | 37 | 11 | 9 | 17 | 33:39 | 42 |
| სტრასბური | 37 | 10 | 12 | 15 | 43:50 | 42 |
| ბასტია | 37 | 9 | 12 | 16 | 33:48 | 39 |
| ტულუზი | 37 | 9 | 11 | 17 | 31:44 | 38 |
| გენგამი | 37 | 10 | 8 | 19 | 35:56 | 38 |
| აიაჩო | 37 | 9 | 10 | 18 | 30:54 | 37 |
| ლე მანი | 37 | 8 | 11 | 18 | 32:57 | 35 |
| მონპელიე | 37 | 8 | 7 | 22 | 41:70 | 31 |

II დივიზიონი

ანჟე — კრეტეი 2:0; კაენი — ნანსი 2:0; კლერმონი — ბეზანსონი 0:2; გრენობლი — ამიენი 1:0; გენიონი — შატორუ 2:0; ისტრი — ვალანსი 3:1; ლავალი — სედანი 2:0; ლე ავრი — სენტ ეტიენი 1:0; ნიორი — ლორიანი 1:2; ტრუა — რუანი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ეტიენი | 37 | 21 | 7 | 9 | 42:28 | 70 |
| კაენი | 37 | 19 | 11 | 7 | 53:31 | 68 |
| ისტრი | 37 | 19 | 9 | 9 | 43:23 | 66 |
| ლორიანი | 37 | 17 | 10 | 10 | 57:40 | 61 |
| სედანი | 37 | 14 | 15 | 8 | 39:30 | 57 |
| ლე ავრი | 37 | 15 | 10 | 12 | 43:42 | 55 |
| ამიენი | 37 | 15 | 8 | 14 | 40:41 | 53 |
| ნანსი | 37 | 13 | 13 | 11 | 41:35 | 52 |
| ნიორი | 37 | 13 | 13 | 11 | 45:42 | 52 |
| შატორუ | 37 | 14 | 10 | 13 | 45:45 | 52 |
| ტრუა | 37 | 13 | 13 | 11 | 43:45 | 52 |
| გრენობლი | 37 | 9 | 16 | 12 | 37:40 | 43 |
| კლერმონი | 37 | 9 | 16 | 12 | 36:48 | 43 |
| ანჟე | 37 | 10 | 12 | 15 | 35:43 | 42 |
| კრეტეი | 37 | 9 | 14 | 14 | 37:47 | 41 |
| ვალანსი | 37 | 9 | 13 | 15 | 45:55 | 40 |
| ლავალი | 37 | 9 | 12 | 16 | 47:52 | 39 |
| გენიონი | 37 | 8 | 15 | 14 | 35:43 | 39 |
| ბეზანსონი | 37 | 7 | 14 | 16 | 34:44 | 35 |
| რუანი | 37 | 5 | 13 | 19 | 27:50 | 28 |



REUTERS მონტე კარლოდან

მონაკო — რენი. ვაითუ, ფერნანდო მორიენტესმა ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვოს

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXXIV ტური

**ალკმაარი 2:4 პსვ**

0:1 რეინი (1 ს.კ.), 1:1 მეერდინკი (15), 2:1 ვან გალენი (49), 2:2, 2:3, 2:4 კეჟმანი (52, 81, 89)

**დენ ჰააგი 4:1 ნაიმეგენი**

1:0 სტროევი (9), 1:1 დემუგი (18), 2:1 სეისი (42), 3:1 სიმონსი (64), 4:1 სტროევი (86)

**გრონინგენი 2:2 როდა**

0:1 კრისტიანო (14), 1:1 ტიუტერუ (58), 1:2 გრეგოორ ვან დიიკი (81), 2:2 ვან გესელი (85)

**ტვენტე 2:0 ჰერენვენი**

1:0, 2:0 კრისტენსენი(14, 21)

**ვოლენდამი 2:1 როზენდალი**

1:0, 2:0 ტუიპი (30, 66), 2:1 კასი (81)

**ფეიენოორდი 7:1 ზვოლე**

1:0, 2:0 ლაზოვიჩი (3, 8), 3:0, 4:0 კუიტი (15, 28), 5:0 პაავე (49), 5:1 ლიმ-დუანი (61), 6:1 კუიტი (81), 7:1 ლაზოვიჩი (82)

**ბრედა 5:3 ვალვაიკი**

1:0 ფეპერი (5), 1:1 ოლფერსი (6), 2:1 ელმანდერი (25), 2:2 ვასკონსელოსი (32), 3:2 ვოსი (47), 4:2 ალი ბუზაბუნი (84), 5:2 ვოსი (85), 5:3 ვასკონსელოსი (90)

**ვიტესი 3:0 უტრეხტი**

1:0, 2:0 პაულუ რინკი (32, 33), 3:0 ფაფიანი (64)

**ტილბურგი 2:5 აიაქსი**

0:1 სოეტერსი (37), 1:1 კალუვე (45პ), 1:2 ობოდაი (54), 2:2 ვან დენ ეედე (72), 2:3 ობოდაი (73), 2:4 იბრაჰიმოვიჩი (82), 2:5 დე რიდერი (90)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 34 | 25 | 5 | 4 | 79:31 | 80 |
| პსვ | 34 | 23 | 5 | 6 | 92:30 | 74 |
| ფეიენოორდი | 34 | 20 | 8 | 6 | 71:38 | 68 |
| ჰერენვენი | 34 | 17 | 7 | 10 | 45:35 | 58 |
| ალკმაარი | 34 | 17 | 6 | 11 | 65:42 | 57 |
| როდა | 34 | 14 | 11 | 9 | 60:41 | 53 |
| ტილბურგი | 34 | 13 | 10 | 11 | 47:54 | 49 |
| ტვენტე | 34 | 15 | 3 | 16 | 56:53 | 48 |
| ბრედა | 34 | 12 | 10 | 12 | 58:55 | 46 |
| უტრეხტი | 34 | 13 | 7 | 14 | 42:52 | 46 |
| ვალვაიკი | 34 | 10 | 10 | 14 | 47:55 | 40 |
| როზენდალი | 34 | 10 | 10 | 14 | 34:47 | 40 |
| გრონინგენი | 34 | 9 | 10 | 15 | 38:53 | 37 |
| ნაიმეგენი | 34 | 10 | 4 | 20 | 44:62 | 34 |
| დენ ჰააგი | 34 | 9 | 7 | 18 | 36:61 | 34 |
| *ვიტესი* | 34 | 4 | 16 | 14 | 39:56 | 28 |
| *ვოლენდამი* | 34 | 7 | 6 | 21 | 31:79 | 27 |
| ზვოლე | 34 | 5 | 11 | 18 | 27:67 | 26 |

II დივიზიონი. XXXVI ტური

გრააფსხაპი — მაასტრიხტი 1:0; ემენი — ტელსტარი 4:3; დენ ბოსხი — ვეენდამი 3:2; დოორდრეხტი — ოსი 2:2; სიტარდი — ეინდჰოვენი 3:4; იგლსი — ჰერაკლესი 0:2; ჰაარლემი — კამბური 1:0; ჰელმონდი — ექსელსიორი 1:1; ვენლო — აპელდორნი 2:4

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტელსტარი | 36 | 12 | 8 | 16 | 55:62 | 44 |
| *ჰაარლემი* | 36 | 10 | 9 | 17 | 41:63 | 39 |
| *ვეენდამი* | 36 | 7 | 15 | 14 | 46:71 | 36 |
| *დოორდრეხტი* | 36 | 5 | 15 | 16 | 33:60 | 30 |
| *ეინდჰოვენი* | 36 | 6 | 12 | 18 | 40:69 | 30 |
| მაასტრიხტი | 36 | 6 | 11 | 19 | 33:69 | 29 |
| კამბური | 36 | 6 | 10 | 20 | 35:65 | 28 |
| სიტარდი | 36 | 3 | 10 | 23 | 38:80 | 19 |
| დენ ბოსხი | 36 | 22 | 8 | 6 | 85:48 | 74 |
| ექსელსიორი | 36 | 22 | 8 | 6 | 70:39 | 74 |
| სპარტა | 36 | 21 | 6 | 9 | 76:43 | 69 |
| ჰერაკლესი | 36 | 19 | 10 | 7 | 71:42 | 67 |
| ჰელმონდი | 36 | 19 | 8 | 9 | 66:42 | 65 |
| გრააფსხაპი | 36 | 18 | 10 | 8 | 63:43 | 64 |
| ვენლო | 36 | 19 | 4 | 13 | 76:62 | 61 |
| ემენი | 36 | 17 | 10 | 9 | 64:54 | 61 |
| იგლსი | 36 | 15 | 8 | 13 | 79:63 | 53 |
| აპელდორნი | 36 | 13 | 9 | 14 | 62:55 | 48 |
| ოსი | 36 | 12 | 9 | 15 | 57:60 | 45 |

## პორტუგალია

თასის ფინალი

**ბენფიკა 2:1დ.დ. (1:1) პორტუ**

0:1 დერლეი სილვა (45), 1:1 ფისასი (59), 2:1 სიმაო (104)

გაძევება: ჟორჟე კოშტა (70, „პორტუ")

38 000 მაყურებელი

## შოტლანდია

პრემიერლიგა XXXVIII ტური

**აბერდინი 1:2 დანდი**

1:0 ფოსტერი (6), 1:1 მილნი (73), 1:2 ლოველი (90)

**ლივინგსტონი 4:1 ჰიბერნიანი**

1:0 ლოველი (8), 2:0 ლილეი (64), 2:1 დობზი (75), 3:1 ფერნანდესი (78), 4:1 მაკელი (89)

**პარტიკი 2:2 კილმარნოკი**

0:1 ბოიდი (6), 1:1 გრედი (19), 1:2 დარგო (68), 2:2 გრეიდი (90პ)

**სელტიკი 2:1 დანდი იუნაიტედი**

1:0, 2:0 ლარსონი (81, 84), 2:1 ვილსონი (87პ)

**დანფერმლაინი 2:3 რეინჯერსი**

1:0 დემპსი (27), 1:1 რიკსენი (42), 1:2 ბურკი (45), 1:3 მაკკორმაკი (63პ), 2:3 დემპსი (67)

**ჰართსი 3:2 მოზერუელი**

1:0 ვინესი (5), 1:1 მაკდონალდი (37), 1:2 კლარკსონი (45), 2:2 ვინესი (68), 3:2 მაკკენა (75)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 38 | 31 | 5 | 2 | 105:25 | 98 |
| რეინჯერსი | 38 | 25 | 6 | 7 | 76:33 | 81 |
| ჰართსი | 38 | 19 | 11 | 8 | 56:40 | 68 |
| დანფერმლაინი | 38 | 14 | 11 | 13 | 45:52 | 53 |
| დანდი იუნ. | 38 | 13 | 10 | 15 | 47:60 | 49 |
| მოზერუელი | 38 | 12 | 10 | 16 | 42:49 | 46 |
| დანდი | 38 | 12 | 10 | 16 | 48:57 | 46 |
| ჰიბერნიანი | 38 | 11 | 11 | 16 | 41:60 | 44 |
| ლივინგსტონი | 38 | 10 | 13 | 15 | 48:57 | 43 |
| კილმარნოკი | 38 | 12 | 6 | 20 | 51:74 | 42 |
| აბერდინი | 38 | 9 | 7 | 22 | 39:63 | 34 |
| პარტიკ თისლი | 38 | 6 | 8 | 24 | 39:67 | 26 |

პირველი დივიზიონი XXXVI ტური

ეარი — რეით როვერსი 1:0; ბრეჩინი — კლაიდი 2:5; ინვერნესი — სტ. ჯონსტონი 3:1; ქუინ ოფ საუთ — ფოლკირკი 1:0; სტ. მირენი — როს ქაუნთი 2:0

მეორე დივიზიონი XXXVI ტური

ერდრი — მორტონი 2:0; ბერიკი — არბროთი 1:3; დამბარტონი — ალოა 3:1; ფორფარი — ჰამილტონი 0:4; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 0:1

მესამე დივიზიონი XXXVI ტური

ქოუდენბითი — სტირლინგი 0:5; ისტ სტირლინგი — ელგინი 2:1; პიტერჰედი — მონტროუზი 1:2; ქუინზ პარკი — გრეტნა 1:1; სტრენრარი — ალბიონი 4:0

## თურქეთი

სუპერლიგა. XXXIV ტური

ფენერბაჰჩე — მალათია 2:4; ადანა — დენიზლი 4:1; ბურსა — სამსუნი 1:0; გაზიანთეფი — დიარბაქირი 4:1; კონია — ისთანბული 0:2; რიზე — ბეშიქთაში 1:0; სებათი — ანკარაგიუჯიუ 3:2; გენჩლერი — ტრაბზონი 2:2; გალათასარაი — ელაზიგი 3:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 34 | 23 | 7 | 4 | 82:41 | 76 |
| ტრაბზონი | 34 | 22 | 6 | 6 | 60:38 | 72 |
| ბეშიქთაში | 34 | 18 | 8 | 8 | 65:45 | 62 |
| გაზიანთეფი | 34 | 18 | 3 | 13 | 52:51 | 57 |
| დენიზლი | 34 | 17 | 4 | 13 | 52:43 | 55 |
| გალათასარაი | 34 | 15 | 9 | 10 | 56:47 | 54 |
| სამსუნი | 34 | 13 | 7 | 14 | 46:47 | 46 |
| მალათია | 34 | 11 | 12 | 11 | 51:40 | 45 |
| ანკარაგიუჯიუ | 34 | 13 | 6 | 15 | 48:53 | 45 |
| გენჩლერი | 34 | 12 | 8 | 14 | 56:52 | 44 |
| კონია | 34 | 10 | 14 | 10 | 53:54 | 44 |
| დიარბაქირი | 34 | 12 | 7 | 15 | 44:54 | 43 |
| სებათი | 34 | 11 | 9 | 14 | 45:53 | 42 |
| რიზე | 34 | 13 | 3 | 18 | 37:53 | 42 |
| ისთანბული | 34 | 11 | 8 | 15 | 46:45 | 41 |
| ბურსა | 34 | 10 | 10 | 14 | 40:40 | 40 |
| ადანა | 34 | 6 | 4 | 24 | 38:73 | 22 |
| ელაზიგი | 34 | 5 | 7 | 22 | 37:79 | 22 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# მონდომებითა შენითა
## ცინცაძე ითმენს და იგებს

*გიორგი ცინცაძეს რომ საკალათბურთო ნიჭი და აზროვნება არ აკლია, იმიტომაცაა დღეს მოსკოვის ცსკა-ში. 17 წლის ქართველ გამთამაშებელს რუსები ზედ ევლებიან და მისგან „დივიდენდებს“ მომავალში ელიან. ამავდროულად ნიჭიერი ბიჭების ძიებაშია საკალათბურთო ნიჭის ყველაზე მსხვილი „შემგროვებელი“ ნბა, რომელსაც საცეცები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიუწვდება. ორიოდ კვირის წინ თელ ავივში მოწყობილ ევროლიგის ოთხთა ფინალს არაერთი ამერიკელი სკაუტი დაესწრო, რომლებმაც თავიანთ „მოხსენებებში“ ცსკა-ს ახალგაზრდული გუნდის კაპიტანი გიორგი ცინცაძეც გამოარჩიეს...*



— ახლა შედარებით მეტი თავისუფალი დრო მაქვს, დუბლიორთა ჩემპიონატი დასრულდა და მხოლოდ ცსკა-ს ძირითად გუნდთან ვვარჯიშობ — გვითხრა გიორგი ცინცაძემ — ცსკა რუსული სუპერლიგის ფინალში გავიდა, ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯილა დაგვრჩა. სამწუხაროდ, არ მათამაშებენ, აქამდე უქმად ვიყავი და არც ფინალურ სერიას ვხვდები იმედიანად.

— არადა, მწვრთნელ პაველ გოგეს უთქვამს, ცინცაძეს პლეი ოფშიც ვათამაშებთო...

— გოგეს გადასაწყვეტი რომ იყოს, ალბათ მათამაშებდა, მაგრამ აქ ყველაფერს მთავარი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი წყვეტს. ჩემთვის გასაგებია ივკოვიჩის პოზიცია, ევროლიგა ვერ მოიგო და ახლა რუსეთის ჩემპიონიც რომ ვერ გახდეს, დიდი პრობლემები შეექმნება. ამიტომაც მთელი სერიოზულობით უდგება შიდა ჩემპიონატს და უძლიერეს შემადგენლობას ათამაშებს. მე ჯერჯერობით დიდ გუნდში ვარჯიშითაც კმაყოფილი ვარ.

**— თუ თამაშები არ გელის, რაღაზე ვარჯიშობ, გადატვირთული სეზონის შემდეგ დასვენება არ გაწყენდა...**

— 2 ივნისს იტალიაში მივდივარ ტრევიზოს ტრადიციულ კემპზე და ფორმაში უნდა ვიყო.

**— ვისი ინიციატივით მონაწილეობ ტრევიზოს კემპში და კიდევ თუ იქნებიან ქართველები?**

— ინიციატივა კემპის ორგანიზატორთაგან მოდის. ცსკა-ში იმ დღეს ფაქსი მოვიდა, მე და ერთ ჩემს თანაგუნდელს ტრევიზოში გვიწვევდნენ. დარწმუნებით არ ვიცი, ჩემთან ერთად კიდევ რომელი ქართველი კალათბურთელი იქნება ტრევიზოში, ალბათ ვიქტორ სანიკიძე და გიორგი მამაცაშვილი. მანუჩარ მარკოიშვილს მუხლი ჯერ არ მოუშუშებია და ალბათ ვერ ივარჯიშებს.

**— ახლა თელავივური ამბებიც მოყევი...**

— ასეთი რამ არსად მინახავს. თელ ავივში კალათბურთზე გაგიჟებული ხალხი ცხოვრობს. ოთხთა ფინალზე მომხდარმა ამბებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

**— კარგი იქნებოდა, მოგეგოთ...**

— ეგ თავისთავად, მაგრამ დამარცხების ბევრი მიზეზი არსებობს — პირველ რიგში კი ებრაელი ქომაგები. „მაკაბის“ უდიდესი, 15 ათასი კაცის მხარდაჭერა ჰქონდა. ძნელია, ასეთ ატმოსფეროში ნერვების ბოლომდე მოთოკვა. ჩვენებიც გატყდნენ.

**— მაგრამ მხოლოდ გულშემატკივარი ხომ არაა საქმე, ბურთს ჩაგდება უნდა...**

— რა ვიცი, მერე ხმები დაირხა, ცსკა-ს მწვრთნელმა დაუშვა შეცდომებიო. ისიც თქვეს, ზოგიერთმა კალათბურთელმა თამაშამდე წააგო, ისე შეეშინდა ამხელა აუდიტორიისო. ისე, წაგებისგან ტრაგედია არ შეუქმნიათ, ვინ არ დამარცხებულაო. რუსებს მომავალი ევროლიგის ეიმედებათ, ოთხთა ფინალს ხომ მოსკოვი მასპინძლობს. მაგრამ ვეჭვობ, ჩვენს დარბაზში იმის ნახევრის მსგავსი გარემო შექმნან რუსმა ქომაგებმა, როგორც ეს ებრაელებმა მოახერხეს თელ ავივში. მომავალ წელს რომ ვერ მოიგოს ცსკა-მ, ეს კი ნამდვილად დიდი ტრაგედია იქნება.

**— ისე, შენ სულაც არ ხარ წაგებული, ცსკა-ს დუბლებმა თელ ავივში ყველას აჯობეთ...**

— პატარა არმიელები მაგით ვიმშვიდებთ თავს. გამოვიდა, რომ დიდებს ვაჯობეთ. თითქმის ყველა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა ვიდექით, ფინალში 20 ქულით მოვუგეთ „სიენას“.

**— ყველაზე სერიოზული მეტოქე რომელი იყო?**

— პირველ მატჩში გაგვიჭირდა. კაუნასის „ჟალგირისი“ დაძაბულ ბრძოლაში დავამარცხეთ. ლიტველები მოქმედი ჩემპიონები იყვნენ, შარშან ბარსელონის ოთხთა ფინალისას, მათ მოიგეს ახალგაზრდული ტურნირი.

**— „ჟალგირისთან“ არ გააკეთე 7 ჩაჭრა?! მატჩის შემდეგ კომენტარიც გთხოვეს...**

— ჰო, დაცვაში კარგად ვითამაშე. საერთოდ, ამ ტურნირზე თამაშით კმაყოფილი დავრჩი. თამაშების შემდეგ კი იმიტომ მთხოვდნენ კომენტარს, რომ კაპიტანი ვიყავი. ცსკა-ს დუბლების კაპიტანია ჟენია კალესნიკოვი, რომელიც 1985 წელსაა დაბადებული და საერთაშორისო ტურნირებზე თამაშის უფლება დიდი ასაკის გამო არ აქვს. ჰოდა, საზღვარგარეთ სულ მე ვარ ხოლმე კაპიტანი.

**— ჟურნალისტების გარდა, სხვებიც ხომ არ დაინტერესებულან შენით, თელ ავივში ბევრი სპეციალისტი და მზვერავი იქნებოდა...**

— ღიად საუბარს აზრი არ ჰქონდა, ისე კი, ამერიკელი სკაუტების მოწონება რომ დავიმსახურე, ინტერნეტიდან შევიტყვე...

**— სად, ჩვენ არ გვინახავს ასეთი რამ ინტერნეტში...**

— თქვენ ვერც ნახავდით, თუ იესპიენის საიტის კოდირებული სტატიების ნახვის უფლება არ გაქვთ შეძენილი. ეს სტატიები მე ცსკა-ს ოფისში ამომიბეჭდეს და ასე გავიგე.

**— რაო, რას წერდნენ ამერიკელები?**

— რამდენიმე სკაუტს დაუწერია ჩემს შესახებ სტატია. ტრადიციული დახასიათებაა, ესაო, ისაო, კოჭებში ეტყობა, რომ კარგი ბიჭია და დიდი კალათბურთის თამაშის უნარი შესწევსო. ერთადერთი „კრიტიკა“ ის იყო, ცოტა სროლაში მოიკოჭლებსო. თუმც ეს ერთში, მეორე სტატიაში კი ეწერა, არც ისე ცუდად ესვრის, თუ მოინდომა, ისეთი ნიჭიერია, მიზანსაც გაისწორებსო. მეც ვინდომებ...

**ირაკლი პერტაია**

# საფრანგეთში გზა გაიჭრა
## საყვარელიძეს შალონში დაუძახეს

*დღეს კიდევ ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა კალათბურთელი გაემგზავრა საფრანგეთს. „დიჟონში“ დაბანაკებულ ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი მამაცაშვილის კვალად დავით საყვარელიძეც საფრანგეთის გზას გაუყვა და „შალონში“ ეცდება ფეხის მოკიდებას*

საყვარელიძეს შარშანაც ევროპისკენ ეჭირა თვალ-ყური, ცალი ფეხით წასულიც იყო, მაგრამ მძიმე ტრავმა მიიღო და თბილისში დარჩა. გამოჯანმრთელების შემდეგ ფორმის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის ის თსუ-ში ჩაირიცხა და აი, ახლა კი ახალი ევროვარიანტი გამოუჩნდა.

ყველაფერი ხორვატიაში, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე დაიწყო. ფრანგებმა საყვარელიძე სისაკში ნახეს და ქართველი ახალგაზრდების საფრანგეთში „ექსპორტიორ“ აგენტ სალივან რიდს დაუკავშირდნენ, როგორმე ამ ბიჭს შეგვახვედრეო.

„შალონის“ ერთ-ერთი მწვრთნელი საფრანგეთის დელეგაციაში იმყოფებოდა, შესაძლოა, ნაკრების სამწვრთნელო ბანაკშიც ირიცხებოდა, ზუსტად არ ვიცი — ამბობს საყვარელიძე — ფრანგებს ალბათ ხორვატიაში მოვეწონე, სალივან რიდს დაუკავშირდნენ, რომელმაც ჩემი მენეჯერობა იკისრა.“

საყვარელიძეს ჰყავს აგენტი, თანაც ფრანგი, მაგრამ შალონელებმა მაინც რიდს მიაკითხეს, ამ კაცს ალბათ დიდად ენდობიან ახალგაზრდა ქართველების შერჩევისას. რიდმა საყვარელიძეს საფრანგეთში გასამგზავრებლად ყველა საჭირო საბუთი გამოუგზავნა და დღეს საღამოს უკვე „შოლონში“ მიჰყვება.

„ჯერ მხოლოდ გასასინჯად მივდივართ. თუ შალონელებს მოვეწონები, კონტრაქტს ალბათ აგვისტოში გამიფორმებენ. ნებისმიერ შემთხვევაში სეზონის ბოლომდე „შალონში“ დავრჩები, იმედი მაქვს, კონტრაქტსაც დავიმსახურებ.“

„შალონში“ საყვარელიძეს კიდევ ერთი ქართველი, ფრანგებთან ასევე გასასინჯად მყოფი სერგო ათუაშვილი დახვდება. ეს ის ათუაშვილია, ერთ დროს „გორში“, მერე „ბასკოში“ რომ თამაშობდა და შემდეგ უშედეგოდ მოიარა ესპანური კლუბები



— კონტრაქტი ვერ დაიმსახურა. ახლა კი 223-სანტიმეტრიანი გორელი გოლიათი მესამე კვირაა, „შალონშია“ და საქმეს ისეთი პირი უჩანს ალბათ დაიტოვებენ კიდეც.

**ირაკლი პერტაია**



საქართველოს მე-14 ჩემპიონატი



# ისევ გაქოელების იმედით

**დღეს** თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში იწყება ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის მეორე დასკვნითი წრე.

პირველმა წრემ ნორმალურ ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა, რაც ჩვენი ხელბურთის ეროვნული ასოციაციის მიერ აზერბაიჯანიდან მოწვეული მსაჯების დამსახურებაცაა. ახლაც ისინი გაუძღვებიან საქმეს და იმედია, ათივე მატჩი უკონფლიქტოდ ჩატარდება.

სამსაჯოდ ყველაზე იოლია თამაშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენის“ მონაწილეობით. 17, 21, 23 და 25-ბურთიანი სხვაობით მოგებულ მატჩებში ქვეყნის 13-გზის ჩემპიონთა მეტოქეებს საკინკლაო რა უნდა ჰქონოდათ.

დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი მეორე სამედლო ადგილისთვის. შანსი ოთხივე გუნდს აქვს და ვიცე-ჩემპიონის ვინაობასაც ალბათ მხოლოდ ბოლო ტურში შევიტყობთ.

მწვავე კონკურენციაა ბომბარდირთა დავაში. 61 გოლით ქუთაისელი ალეკო ბოყოჩაძე ლიდერობს. შევარდნელი მამია კობახიძე მას ოთხით ჩამორჩება და ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე ანპილოგოვის სახელობის პრიზის მფლობელიც, ეტყობა, ბოლო დღეს გამოვლინდება.

ვითარება I წრის შემდეგ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 4 | 0 | 0 | 179:93 | 8 |
| საუ-მამული | 2 | 0 | 2 | 120:138 | 4 |
| თბილისი | 2 | 0 | 2 | 102:127 | 4 |
| ქუთაისი | 1 | 0 | 3 | 121:145 | 2 |
| მართვე | 1 | 0 | 3 | 123:142 | 2 |

მეორე წრის კალენდარი

| | |
|---|---|
| **17 მაისი** | |
| სტუ-შევარდენი — ქუთაისი | 14.00 |
| საუ-მამული — მართვე | 15.30 |
| **18 მაისი** | |
| მართვე — სტუ-შევარდენი | 14.00 |
| ქუთაისი — თბილისი | 15.30 |
| **19 მაისი** | |
| თბილისი — საუ-მამული | 14.00 |
| ქუთაისი — მართვე | 15.30 |
| **20 მაისი** | |
| საუ-მამული — სტუ-შევარდენი | 14.00 |
| თბილისი — მართვე | 15.30 |
| **21 მაისი** | |
| სტუ-შევარდენი — თბილისი | 14.00 |
| საუ-მამული — ქუთაისი | 15.30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2004 NBA Playoffs

# ჩემპიონი მოკვდა, გაუმარჯოს ექსჩემპიონს!



REUTERS დეტროიტიდან

„დეტროიტთან“ ოთხსაათიანი ომის შემდეგ ნიუჯერსელებს ბრაიან სკალაბრინს, რიჩარდ ჯეფერსონსა და ჯეისონ კიდს ზეიმის თავიც არა აქვთ

## აღმოსავლეთი

— 14 მაისი —

### დეტროიტი 2:3 ნიუ ჯერსი

**დეტროიტი 120:127 ნიუ ჯერსი**

ძირითადი დრო 88:88

**დეტროიტი:** ბილაფსი (31 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ჰამილტონი (11 ქულა, 11 პასი), პრინსი (18), რ. ვოლესი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (16 ქულა, 11 მოხსნა); უილიამსონი (14), ჯეიმსი (10), ოქური (2), ჰანტერი, ჰემი

**ნიუ ჯერსი:** კიდი (16), კიტლზი (20 ქულა, 11 მოხსნა), ჯეფერსონი (31 ქულა, 11 მოხსნა), მარტინი (22), კოლინზი (4); სკალაბრინი (17), ჰარისი (12), როჯერსი (4), უილიამსი (1)

ნბა-ს პლეი ოფებში ასეთი რამ 1993 წლიდან არ მომხდარა. 11 წლის წინ „ჩიკაგოსა“ და „ფინიქსს“ შორის ფინალური სერიის ერთ-ერთი მატჩში გამარჯვებული ვერც ძირითადმა 48 წუთმა გამოარკვია და ვერც კიდევ ორმა დამატებითმა 5-წუთეულმა. ჩარლზ ბარკლის „ფინიქსმა“ მაშინ მხოლოდ მესამე ოვერტაიმში მოუგო მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოს“.

ეს იყო მესამე შემთხვევა, რომ საპლეიოფო მატჩის დასამთავრებლად სამი არ მეტი ოვერტაიმის დანიშვნა გახდა საჭირო. ამ პარასკევს მსგავსი შემთხვევა მეოთხედ მოხდა.

„ნიუ ჯერსი“ და „დეტროიტი“ მთელი ოთხი საათი ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს. „ნიუ ჯერსის“ ლიდერი ჯეისონ კიდი მერე ამბობდა, ცოდო იყო, ამ თამაშში ვინმეს წაეგოო. საბოლოოდ მაინც მისმა გუნდმა იმარჯვა, რაშიც ვარსკვლავ რიჩარდ ჯეფერსონთან ერთად ქომაგებისთვისაც კი თითქმის სრულიად უცხო მოთამაშემ, ჭალთმიანმა თავდამსხმელმა ბრაიან სკალაბრინმა წაუკრა ხელი.

ორივე გუნდმა მატჩის მსვლელობაში 4-4 მოთამაშე დაკარგა პერსონალურების გამო და ვარსკვლავებისგან შეთხელებული მოედანიც და ბურთიც სწორედ ამ სკალაბრინს დარჩა, ვინაც სერისს წინა ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 6 ქულა გაეკეთებინა. მან კარიერაში უმეტესი — 17 ქულა მოაგროვა, ოთხიდან ოთხი საქმულიანი ჩააგდო და აქედან მოეთხე მესამე ოვერტაიმის დამთავრებამდე 40 წამით ადრე. „ნიუ ჯერსი“ 122-118 დაწინაურდა და იმარჯვა კიდევ.

„მიხარია, რომ ამ დიდი თამაშის მონაწილე გავხდი. იშვიათად მიწევს მოედანზე ყოფნა და ახლაც ერთიორი წუთი თუ ვითამაშებდი, ამდენი დამატებითი დრო რომ არ ყოფილიყო — ყვებოდა ნამატჩევს სკალაბრინი — როგორც კი მატჩი მომდევნო ოვერტაიმში გადადიოდა, მე გულში მიხაროდა, რაკი „ზედმეტი“ ხუთი წუთი მომიწევდა თამაში.“

„ნიუ ჯერსი“ კი სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ 3:2 დაწინაურდა და სერიის მოგების რეალური შანსიც გაუჩნდა. მეექვსე თამაშს ხომ „ნეთსი“ უმასპინძლებს.

— 15 მაისი —

### ინდიანა 3:2 მაიამი

**ინდიანა 94:83 მაიამი**

**ინდიანა:** ტინსლი (7), მილერი (13), არტესტი (14), ონილი (22), ფოსტერი (20 ქულა, 16 მოხსნა); ჰარინგტონი (7), ბენდერი (5), ჯონსონი (3), კროშერი (3)

**მაიამი:** ვეიდი (16 ქულა, 10 პასი), ჯონსი (15), კ. ბატლერი (11), ოდომი (14 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (10); ალენი (12), რ. ბატლერი (4), ალსტონი (1), ჰეისლიპი

წინა სერიის ბატალიების ფონზე „ინდიანასა“ და „მაიამის“ შეხლა ბავშვების ცოდვილობად მოსჩანს. მასპინძელმა და ფავორიტმა „ინდიანამ“ შინ დამაჯერებლად მოიგო. მისმა ცენტრმა ჯეფ ფოსტერმა კი 20 ქულითა და 16 მოხსნით კარიერის ერთბაშად ორი რეკორდი დაამყარა.

## დასავლეთი

— 14 მაისი —

### მინესოტა 3:2 საკრამენტო

**მინესოტა 86:74 საკრამენტო**

**მინესოტა:** კასელი (3), ჰასელი (6), სპრიუელი (34), გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი; მადსენი (7 ქულა, 13 მოხსნა), ტრენტი (3), მარტინი (2), შჩერბიაკი

**საკრამენტო:** ბიბი (14), კრისტი (9), სტოიაკოვიჩი (12), ვებერი (13), დივაცი (8); პილერი (9), სონგაილა (6), ბაფორდი (3), მილერი (10 მოხსნა), სმიტი, ვოლესი

მინესოტელი „მგლები“ ხარბად იკმაყოფილებენ შიმშილის გრძნობას, შვიდი წელი იმიტომ ვარდებოდნენ პლეი ოფის პირველი რაუნდიდან, რომ ერთ მშვენიერ დღეს გზად გადაყრილ ყველა სულიერი ერთბაშად შეემუსრათ. „ტიმბერვულვზი“ პლეი ოფებში გამოწრთობილ „საკრამენტოსთან“ დავაში 3:2 დაწინაურდა და საბოლოო გამარვების სუნიც იკრა.

— 15 მაისი —

### სან ანტონიო 2:4 ლეიკერსი

**ლეიკერსი 88:76 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** პეიტონი (15), ბრაიანტი (26), ჯორჯი (10), მელოუნი (8), ონილი (17 ქულა, 19 მოხსნა, 5 დაფარება); ფიშერი (9), რაში (3), მედვედენკო, კუკი

**სან ანტონიო:** პარკერი (9), თურქოღლუ, ბოუენი, დანკანი (20 ქულა, 11 მოხსნა), ნესტეროვიჩი (4); ჯინობილი (16), ბრაუნი (15), ჰორი (12), ვილისი, როუზი, ვორდი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ დიდ სარბიელს უბრუნდება. საწყისი ორი მარცხიანი მატჩის შემდეგ ექჩემპიონებმა ჩემპიონ სანანტონიოელებს ზედიზედ მეოთხედ მოუგეს და შარშან ზუსტად ამ ეტაპზე წაგებისთვის სამაგიეროც მიუზღვეს. „ლეიკერსის“ ლიდერებმა სწორედ მაშინ იპოვეს საკუთარი თამაში, როცა სანანტონიოელებმა დაკარგეს და ეს სინქრონულად მოხდა. გერი პეიტონმა, როგორც იქნა, ულაპარაკოდ აჯობა თავის ჭირად ქცეულ ტონი პარკერს, კობი ბრაინტმა 12 ქულა გააკეთა ბოლო მეოთხედში, ხოლო შაკილ ონილმა ბევრი ვერ ჩააგდო, მაგრამ სხვისი ვერჩაგდებულები ბლომად მოხსნა და სხვებსაც ბევრიც არ ჩააგდებინა — მეტოქის ნასროლებს დააფრა.

„ჩვენი მთავარი ამოცანა ტონი პარკერის გაჩერება იყო რაც მშვენივრად შევძელით — ამბობდა ნამატჩევს „ლეიკერსის“ მწვრთნელი ფილ ჯექსონი — ჩვენ მის წინ კედელი ამოვაშენეთ. ის ჩვენი მოთამაშეების სხეულებში დავმარხეთ.“

ამასობაში „ლეიკერსი“ გახდა პლეი ოფების ისტორიაში მხოლოდ მე-8 გუნდი, რომელმაც საწყისი ორი წაგების შემდეგ სერიის მოგება შეძლო.

**კოტე ყორშია**



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ყველაფერი დასრულდა!

ტიმ დანკანი და მისი „სან ანტონიო“ ტიტულს გამოემშვიდობნენ

## საქართველოს თასი



ლოკომოტივი. 16 მაისი

**არმაზი 55:13 ბაქო**

**არმაზი:** ლეფსვერიძე, სოსელია, ლიპარტელიანი (გოგოლაძე), კანდელაკი (აფაქიძე), მელიქიძე (ლომსაძე), პინაიშვილი (მაჭარაძე), მინაშვილი, ლამბაშიძე, პინჩუკოვი, ურჯუკაშვილი, კასრაძე, კაიფაჯიანი, მაისურაძე, ჩხაიძე, მამალაძე

9ლ: მინაშვილი, კასრაძე (3), ურჯუკაშვილი (2), კარფაჯიანი, მამალაძე, აფაქიძე; 5გ: ურჯუკაშვილი

**სინბინი:** ლამბაშიძე, კანდელაკი

**ბაქო:** ალიევი, ნაბიევი, იაგუბოვი (სამედოვი), ბოროვსკიხი, ტაგიევი, ეფენდიევი, აშუმოვი, რაფიბეილი, დუშდაროვი, რაჯაბოვი, იბრაგომოვი, აგაევი, გულიევი, ლოუ (შუმალოვი)

1ლ. გ. 2ს. — ჰუსეინოვი

**სინბინი:** დუშდაროვი, ტაგიევი

**მსაჯი:** მ. ჩაჩუა

# ბაქოს ლოკომოტივზე დაეჯახნენ



გურამ მოდებაძე სამშობლოში აზერბაიჯანული რაზმით დაბრუნდა

**გუშინ** „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე საქართველოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი დაიწყო. პირველი წრიდან გამოვარდნილი გუნდები მე-11-მე-14 ნომრების გამოსავლენად ქვეჯგუფში გაერთიანდნენ. წარმოუდგენლად ჩახლართული ფორმატი ამ ოთხეულში თავგამოჩენილებს ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე მე-9 ადგილისა და მცირე თასის მოგების შანსს უტოვებს.

კენჭისყრაზევე ბოლო ნომრად განთესილი ერთადერთი არაქართული გუნდი „ბაქო“ რომ მე-14 ადგილს ვერ ასცდება, აქედანვე ნათელია. ინგლისელი მრეწველ-მენავთობეების ნალოლიავებ აზერბაიჯანელ მორაგბეებს ჩვენებური გურამ მოდებაძე სარაგბო ანაბანას ახლა ასწავლის.

აზერბაიჯანში ყველას უგებენო. ან ვისთან უნდა წააგონ, მათ გარდა იქ ოვალურ ბურთს არავინ დასდევს. საქართველოს თასზე კი მათი მიზანი მხოლოდ მონაწილეობაა და ამას თავადაც აცხადებენ, ჯერ გამოცდილება უნდა მივიღოთო.

ორი თამაშით ხარისხზე ლაპარაკი ძნელია. ძნელია იმის თქმა, რომ გუშინ „არმაზთან“ აზერები უკეთ გაისარჯნენ, ვიდრე ორი კვირის წინ „უნივერსიტეტთან“, მაგრამ თუ მაშინ უქულოდ ირბინეს, ახლა ლელოც დადეს და გარდასახვა-საჯარიმოებიც მიითვალეს. ეს ყველაფერი ხაზის გამთამაშებელმა ჰუსეინოვმა გააკეთა.

„არმაზმა“ კი საქმე თამაშის დაწყებისთანავე მოამთავრა. პირველი ტაიმის ბოლოსკენ გაილვიძეს სტუმრებმა და მცირე შტურმი მოაწყვეს. ხუთწუთიან მონაკვეთში 10 ქულა აიღეს, თუმც ანგარიშის შემობრუნებამდე ბევრი დააკლდათ — ტაიმი 10:33 წააგეს.

მეორე ნახევარში მოდებაძის შავშავმა შეგირდებმა ერთი საჯარიმო წამატეს „არმაზის“ ოთხი ლელოს საპასუხოდ და საფინალო სასტვენით მეტოქეზე არანაკლებ გაიხარეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სერბია ჩვენც დავბომბეთ

**თბილისიდან** პრეზიდენტის თვითმფრინავით გაფრენილმა ახალგაზრდა მორაგბეებმა გუშინ რუმინეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროს პატარა ქალაქ მანგალიაში ევროპის ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს. დავით ჩავლეიშვილისა და ნუგზარ ძაგნიძის გუნდმა სერბეთს სულ ბდღვირი ადინა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ანგარიში ისეთი სისწრაფით იზრდებოდა, ნაკრების თავკაცებს ტაბლოსთვის თვალის მიდევნებაც კი ვერ მოუხერხებიათ და თამაშის შემდეგ რომ შევეხმიანეთ, ლამის ყველას თავისი ვერსია ჰქონდა. ოფიციალურად კი პატარა ბორჯღალოსნებმა 111:6 იმარჯვეს.

სერბეთი რომ სერიოზული მეტოქე ვერ იქნებოდა, მწვრთნელებმა რუმინეთში წასვლამდე თქვეს, მაგრამ ასეთ გასეირნებას ალბათ თავადაც არ ელოდნენ. პრეზიდენტის დაფასებით სტიმულშემატებულმა მორაგბეებმა გუშინდელი გამარჯვებით განწყობა კიდევ უფრო გამოიკეთეს და წესით ნახევარფინალშიც ხალისით უნდა იბურთაონ.

19 მაისს მეტოქე პორტუგალიის მომგები ესპანეთი იქნება. მეორე ნახევარფინალური წყვილი კი მოლოდინისამებრ რუმინეთმა და რუსეთმა შეადგინეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი





# როი ჯონსი გაანადგურეს

## მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე ჩვეულებრივმა ცაციამ დააგდო

**ეს რა მოხდა**, ეს რა მოხდა! ეს რა იხილა მსოფლიომ — იატაკზე გართხმული, გაშტერებული როი ჯონსი და გახარებული, გადარეული ანტონიო ტარვერი, რომელმაც ქვემძიმე წონის საბჭოს (ვბკ) ჩემპიონობა სწორედ ჯონსის ძლევით მოიპოვა და თანაც, როგორი ძლევით — ნოკაუტით მეორე რაუნდში.

ერთი ცაცია ხელის გაქნევით ანტონიო ტარვერმა არა მხოლოდ კრივის ისტორია შეცვალა, არამედ თავისი ადგილიც ამ ისტორიაში.

როი ჯონსი — ლამის ყველა წონის ჩემპიონი, მძიმესიც კი, კრივის გენიოსი, რომელმაც კარიერაში ერთადერთხელ წააგო და ისიც იმიტომ, რომ წაქცეულ მეტოქეს დაარტყა.

ახლა როი ჯონსი, კრივის ცოცხალი ლეგენდა და დიდი ოსტატი მეორედ დამარცხდა.

ტარვერმა შექმნა შაბათის წარმოუდგენელი ღამე, რადგან დააგდო კაცი, რომელიც თავისი ეპოქის ყველაზე დიდ მოკრივედ ითვლებოდა და სრულიად დამსახურებულადაც.

თოკებთან მიგდებული დიდი ჩემპიონი და რეფერი ჯეი ნედის ნიშანი: ბრძოლა დამთავრდა. როი ჯონსის დიდ თავგადასავალს კი თავი მოჰკვეთეს — მეორე რაუნდი, დრო — 1,41 წუთი.

ისინი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს: გასული წლის ნოემბერში ჯონსმა ქულებით მოიგო, თუმცა ამბობდნენ, რომ გამარჯვება ტარვერს ეკუთვნოდა.

15 წელიწადი რინგზე, 50 ბრძოლაში ერთი დისკვალიფიკაციით წაგებული ბრძოლა და „მენდელეი ბეის" დარბაზის ღამე შოკში ჩავარდნილი დარბაზით.

„ეს ბრძოლა კრივის ისტორიაში შევა როგორც კლასიკა, როგორც მარვინ ჰაგლერ-ტომი ჰერნსის ბრძოლა" — თქვა ტარვერმა, თუმცა, ბრძოლა ძალიან ხანმოკლედ იყო კლასიკისათვის.

„საბოდიშო არაფერი მაქვს. ასეთი რამეები ხდება" — თქვა ჯონსმა.

თავად ბრძოლა კი საკვირველი იყო. ტარვერმა ძალიან ცოტა მოარტყა ჯონსს და საერთოდაც, ეტყობოდა, რომ სისწრაფე აკლდა. მთავარი მისი ცაცია გამოდგა, რომელმაც ჯონსი წააქცია. დიდი ჩემპიონი, რომელიც თავის 25-ე სატიტულო ბრძოლას ატარებდა, მეშვიდე დათვლაზე წამოიმართა, ოღონდაც ცალ მუხლზე ამოისუნთქა და ძლივს წამოდგა, ანედიმ კი ბრძოლა შეწყვიტა, მობარბაცე რაღას იჩხუბებსო.

დამთვლელ მსაჯთა მონაცემით ჯონსმა 42-ჯერ მოუქნია ტარვერს და 12 ქულად ჩათვლილი მუშტი მოარტყა, ტარვერმა კი 54-დან მხოლოდ 7.

გამარჯვებული ტარვერი რინგზე ზეიმს მოჰყვა, თითქმის შეშლილი იყო.

საკვირველი ამ ბრძოლაშ ის იყო, რომ ტარვერი, არ უფრთხოდა ჯონსს, მაგრამ არც აქტიურობდა. მწვრთნელები კი სთხოვდნენ, რომ მეტი და მეტი დაერტყა.

„ძალიან კარგი დარტყმა გამოუვიდა", — აღიარა ჯონსმა — ამ მარცხის „რეალური მიზეზი ისაა, რომ ეს ბრძოლა მოსაწყენად მოჩანდა."

ჯონსმა განაცხადა, რომ ტარვერს მესამედ აღარ შეხვდება, კვლავ მძიმე წონაში აძვრება და ან მაიკ ტაისონს, ანაც ვიტალი კლიჩკოს შეერკინება. ამ წაგებულ ბრძოლაში მან 6 მილიონი დოლარი აიღო, ტარვერმა კი ორი. ამხელა ჰონორარი ახალ ჩემპიონს, რომელსაც კარიერაში 22-ჯერ მოუგია (18 ნოკაუტით) და 2-ჯერ დამარცხებულა, აქამდე არასოდეს რგებია.

„დიადი მოკრივე ვარ", თქვა ტარვერმა, რომელმაც მართლა შექმნა ისტორიათა „მენდელეი ბეის" კაზინოში.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

ჩოგბურთი

TELEKOM ITALIA MASTERS

რომი. თიხნარი. საპრიზო 1,3 მილიონი ევრო

# კაპრიატიმ სერენა დააჩოქა

### მეოთხედფინალი

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (9, რუსეთი) 7:5, 6:0; **ამელი მორესმო** (2, საფრანგეთი) — სილვია ფარინა ელია (10, იტალია) 6:1, 2:6, 7:5; **ჯენიფერ კაპრიატი** (5, აშშ) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (16, ისრაელი) 6:3, 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (8, რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (14, იტალია) 6:3, 6:3

### ნახევარფინალი

**მორესმო** — ზვონარიოვა 6:2, 6:3; **კაპრიატი** — უილიამსი 6:4, 6:4



სერენა უილიამსი რომიდან გააგდეს

სერენა უილიამსმა სვეტლანა კუზნეცოვასთან მეოთხედფინალურ შეხლაში წინა მატჩებთან შედარებით უფრო დამაჯერებლად რომ ითამაშა, ქომაგებმა იფიქრეს, ახლა კი ნაღდად ველარაფერი გააჩერებსო. მაგრამ — ვერ მიერთვათ.

28 წლის ჯენიფერ კაპრიატიმ, ვინაც წინა კვირაში ბერლინურ თიხნარზე ნახევარფინალს უწია და იქ ამელი მორესმოსგან იძლია, სასურველი ფორმისგან ძალზედ შორს მყოფ სერენაზე ბოლო სამი წლის განმავლობაში დაგროვილი ჯავრი ერთბაშად იყარა. სამი წლის, რადგანაც უკანასკნელად ვინუსის უმცროსი დაი ჯენიმ სწორედ 2001 წელს, უიმბლდონობის მეოთხედფინალში დაამარცხა. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს რვაჯერ შეეყარენ და ბუთქუნა თვისტომი სერენას დაუსჯელი ერთხელაც არ დარჩენია.

თუმცა კაპრიატის ეს წარმატება, ცხადია, მხოლოდ სერენას უფორმობით არ უნდა აიხსნას. უკვე ორი კვირაა ჯენის ახალი მწვრთნელი, შტეფი გრაფის გვიანდელი მწაფავი ჰაინც გუნტჰარდტი ეხმარება და ამ ამაგდარი კაცის ხელი მის ჩოგანს მართლაც აშკარად დაეტყო.

რაც შეეხება ამელი მორესმოს, ის ახლა მართლაც საუცხოო ფორმაშია და, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ოთხი უმთავრესი კონკურენტიდან ოთხივე — დები უილიამსებიც და კიმ კლაისტერს-ჟუსტინ ენენ არდენიც ტრავმიანები არიან, წლევანდელი როლან გაროსის უმთავრეს ფავორიტად სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ. ჰო, ის და კაპრიატიც.

**მასტერსის სერია**

ჰამბურგი. თიხნარი. საპრიზო 2,425 მილიონი ევრო

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — კარლოს მოია (7, ესპანეთი) 6:4, 6:3; **გილერმო კორია** (2, არგენტინა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:2, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (17, ავსტრალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 4:6, 7:5, 6:1

### ნახევარფინალი

**ფედერერი** — ჰიუიტი 6:0, 6:4; **კორია** — ლიუბიჩიჩი 3:6, 6:1, 6:4

თითქოს სწორედაც რომ სახელიან მეჩოგნეებთან ელოდა დაპირისპირებას — რათა თავისი ჯადონიჭის ყველა წახნაგი აეკიაფებინა — ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმა მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში მართლაც არნახულად შეუბერა.

ამქრის ოდინდელ პირველოსნებს — კარლოს მოიასა და ლეიტონ ჰიუიტს მან ჯამში ერთი სეტიც არ დაუთმო და, პირველს მეოთხე შეხვედრაში მეოთხედვე რომ აჯობა, მეორესთან პირადი ანგარიში 4:7-მდე გაიუმჯობესა. (არ გაგიკვირდეთ, კისკას ოზბიჭს ფედერერი აქამომდელ 10 მატჩში შვიდჯერ დაემარცხებინა, ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თიხნარზე მათ ერთმანეთში არასოდეს ეპაექრათ.)

რაც ყველაზე მთავარია, ამ მატჩებში 22 წლის შვეიცარიელმა სრულყოფილებასთან მიახლოებული ჩოგბურთი აჩვენა. ბურთით ყველაფრის გაკეთება შეუძლია და ლამის მოუწყვლელიაო, თქვა მასზე მოიამ, ჰიუიტმა კი — ახლა ისეთ ფორმაშია, ვინ უნდა მოუგოს, აზრზე არა ვარო — თავის მხრივ ასე დასძინა.

შეუძლებლის შეძლებას ფინალში ფედერერის კბილა არგენტინელი, ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი გილერმო კორია ეცდება. შარშანდელივე როლანგაროსობის ნახევარფინალში მარტინ ფერკერკთან დამარცხების შემდეგ კორიას თიხნარზე ერთი მატჩიც აღარ წაუგია და საამმომენტოდ უკვე 31 თიხნარგამარჯვებას მოიძევს. ფედერერთან საეიტიპიო დონეზე მას არასოდეს უთამაშია, მაგრამ დღემდე კეთილად იგონებს, თუ როგორ სძლია მას ორანჯ ბოულის ფინალში (7:5, 6:3) 1998 წელს, როცა ორივენი ჯერაც 16-16 წლის ყლორტები და იუნიორები იყვნენ.

**ლევან ძელაურაძე**

ძიუდო

# ევროპაში მედლები გაძვირდა

**ევროპის** ორგზის ჩემპიონმა და ყველა ოლიმპიური ლიცენზიის მომგებმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა რუმინეთში გუშინ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ერთობ მოკრძალებული შედეგი აჩვენა. შოთა ხაბარელის გუნდი თბილისში კინკილა ბრინჯაოთი ბრუნდება. მედლამდე მხოლოდ დავით ქევხიშვილი (73კგ) მივიდა.

„ტკბილი ლუკმა" ბოლოს იყოს, მანამდე კი სხვა წონებზე ვთქვათ. ნესტორ ხერგიანმა (60კგ) და დავით მარგოშვილმა (66კგ) პარასკევს იჭიდავეს და მათი წარუმატებლობა წინა ნომერში უკვე გამცნეთ. შაბათს კი ხალიჩაზე ქევხიშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) გავიდნენ. ამ უკანასკნელს ოლიმპიურ გუნდში მოხვედრა განაღდებული ჯერაც არ ჰქონდა და გაორმაგებული ენერგიითაც მართებდა ჭიდაობა.

კარგადაც დაიწყო. ებრაელ გაი ვასერდამს ოთხ წუთში სძლია, მაგრამ მეორე შეხვედრაში მოლდოველ ევგენი რუსუსთან ველარას გახდა. შემდეგ წრეში რუსუმაც წააგო და მამრიკიშვილს ბრინჯაოსკენ მიმავალი გზა გადაეკეტა.

ბოლო დღეს ტურნირში სამი უმძიმესი წონა ჩაერთო. მინდია ბოდაველმა (90კგ) პირველივე შეხვედრა წააგო და ვერც დამამშვიდებელში გადავიდა. ივერი ჯიქურაულსა (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანს (+100კგ) კი ილბალმაც აქცია ზურგი. ორივე მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა, თან ისეთებთან, თავიდანვე ფავორიტებად რომ ითვლებოდნენ.

თურქი სალიჰ დურმუსის ძლევის შემდეგ ჯიქურაული ებრაელ არიელ ზეევს გადაეყარა და ნუგეშად ბრინჯაოზე ფიქრიღა დარჩა, მაგრამ იქ იტალიელი მიკელე მონტი გადაელობა.

გუჯეჯიანისთვისაც მეორე წრე აღმოჩნდა ნავსიანი. თურქთა დევკაცის სელიმ თათაროღლუსთვის ლაშას აქამდე კი მოუგია, მაგრამ ამჯერად გამოცდილებამ თავისი ქნა. ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ თათაროღლუ „ევროპის ჩემპიონატების კაცია", წარმატებებს ყოველთვის ამ ტურნირზე აღწევდა და აი, შედეგიც. რუმინული ოქრო მისთვის მეოთხე ევროპელია. დამამშვიდებელში გადართულმა ქართველმა ბოსნიელ იბრო მილადინიზე იყარა ჯავრი, თუმც მერე კიდევ ერთ ვეშაპს, ევროპის 5 გზის ჩემპიონ ტამერლან ტმენოვს გადაეყარა.

ბოლოს დაპირებული ტკბილიც ინებეთ. დავით ქევხიშვილმა ხუთი ბუხარესტული ბრძოლიდან ოთხი მოიგო. მარცხი კი პირველივე წრეში განიცადა, ოლიმპიური ლიცენზიის თბილისურ ტურნირზე გამნაღდებელ ლატვიელ ვსევოლოდ ზელიონისთან. დამამშვიდებელ ეტაპზე „ქევხომ" ლატვიელზე ძლიერი მეტოქეები ჩამოიცილა. ბელარუს ანატოლი ლარიუკოვს, ჰოლანდიელ დენის მეიერს, სლოვენიელ სასო ჟერებსა და იტალიელ ფრანჩესკო ბრიერს იპონებით მოუგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჰოკეი



## ჰლეი ოფი. მეორე წრე



15 მაისი

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფია 2:2 ტამპა**

**ფილადელფია 3:2 ტამპა**

*2:1 1:0 0:1*

0:1 მოდინი (13), 1:1 ლეკლერი (17), 2:1 რეკი (19), 3:1 პრიმო (32), 3:2 ლეკავალიე (60)

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მესამე ეტაპი



REUTERS

სეტე გიბერნაუმ ვალენტინო როსის კვერთხი ჩამოართვა

# როსი რას მიქვია! ჩემპიონს აღარც პოდიუმი?

**მოტოსპორტი** მეფეს კარგავს. მოტო გრან პრის ზედიზედ სამგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი მიჯრით მეორე ეტაპია, პოდიუმზე ვერ ხვდება და, რა გასაკვირია, თუ საერთო ჩათვლაშიც უჩვეულოდ ქვევით ჩაჩოჩდა. როსის უილბლობისას კი მის ადგილზე საფუძვლიანად მკვიდრდება ვეტერანი ესპანელი სეტე გიბერნაუ, რომელმაც სწორედ როსის მიერ ვერმოგებულ მეორე და მესამე ეტაპებზე იმარჯვა, სამ რბოლაში 66 ქულა შეაგროვა და 10 ქულით გასუწრო უახლოვეს მდევარ მაქს ბიაჯის, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილს ვერაცილებული როსი კი უკვე 15-ით ჩამოიტოვა.

წინა ეტაპზე, ხერესში მეოთხე ადგილის დაკავების შემდეგ როსი, ცხადია, სპორტული აგრესიით ალვსილი გავიდა ტრასაზე, მაგრამ ჩვეულად ბასრად და საიმედოდ ვერ ირბოლა. სტარტის შემდეგ მას მხოლოდ მესამე პოზიცია შერჩა — წინ გაექცნენ ესპანელები ნაკლებად ცნობილი კარლოს ჩეკა და უკვე კარგად ცნობილი გიბერნაუ. როსი რისი როსი იქნებოდა, მესამეობას დასჯერებოდა, მაგრამ მისი „იამაჰა" როგორღაც დაბორკილი გარბოდა და წინ წაწევის ნაცვლად ვალენტინს აქეთ გადაასწრო თანამემამულე მაქს ბიაჯიმ. ამ მოწინავე ოთხეულში მთელი რბოლის განმავლობაში ერთადერთი ცვლილება მოხდა, მაგრამ, როსისდა სამწუხაროდ, ეს მას არ შეეხო — გიბერნაუმ ჩეკა ჩამოიტოვა, ეს იყო და ეს.

ჩემპიონი მაინც არ ცხრებოდა. ბოლო-ბოლო, აჩქარა რკინის ბედაური და ბიაჯის ბორბალზე დაახდა. ბიაჯიმაც იმის ნაცვლად რომ იოლად დასაძლევი ჩეკასთვის შეეტია, უკნიდან მოძალებული ვალენტინოს შეკავებას შეალია მთელი რბოლა. როსიმ ერთხელ ზედმეტად მოინდომა, ერთ-ერთ დიდრადიუსიან მოსახვევში სიჩქარე არ დააგდო და ლამი გადავიდა ტრასიდან. ოღონდ ისე არ წამხდარა, ბიაჯისთან ბრძოლაზე ხელი აეღო. ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე ორმაგმოსახვევიანი ვირაჟის დასაწყისში მან მოტოციკლის მთელი ტანითაც გაასწრო მაქსს, მაგრამ პოზიცია ვერ დაათმობინა და მეორე მოსახვევიდან ისევ ბიაჯი გამოიჭრა პირველი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ჩემპიონს ისევ მოეცარა ხელი. ცხადია, ამის გამო პანიკის ატეხვა არ ღირს, პირიქით იტალიელის წაფორხილებით ვინძლო გახალისდეს კიდეთ როსის ეპოქაში ცოტა არ იყოს ეს ინტერესმორყეული სახეობა.

**ქოტე ყორშია**

### საფრანგეთის დიდი პრიზი. „ლე მანი" — 4180 მ

**მოტო გრან პრი**

1 სეტე გიბერნაუ (ესპანეთი, ჰონდა) — 44 წთ; 22,7
2 კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) — ჩამორჩა 1,7
3 მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) — 1,9
4 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) — 4,3

**საერთო ჩათვლა**

1 გიბერნაუ 66 ქულა; 2 ბიაჯი 56; 3 როსი 51; 4 ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 38; 5 ჩეკა 36

**250 სმ³**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა) — 44 წთ; 03,3

**საერთო ჩათვლა**

1 დე პუნე 60 ქულა; 2 პედროსა 50; 3 ალფონსო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) 34

**125 სმ³**

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა) — 41 წთ; 26,7

**საერთო ჩათვლა**

1 დოვიზიოსო 63 ქულა; 2 ლოკატელი 48; 3 კეისი სტოუნერი

სარბიელი გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ იწვევს უცხოურ და შინაურ კალათბურთზე, რაგბიზე, ჭრივზე, ველოსპორტზე, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებზე წერის მსურველ ახალგაზრდებს.

15-დან 17 საათამდე მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად წერა შეუძლია და ერკვევა ზემოთ ჩამოთვლილ სახეობებში.

სასურველია რომელიმე უცხო ენის ცოდნაც.



## ჯირო დიტალია 2004. 8-30 მაისი

# პეტაკი მთაზე როგორ ავა?! შამპანური მუშასაც შეხვდა

**ვაკე-ვაკე** მოხეტიალე ველოქარავანს მე-7 ეტაპზე ძლივს სერიოზული მთა გადაეყარა და ყველას შნო და მარიფათი აქ გამოჩნდა. ფროზინონედან ნეაპოლის მახლობლად წამოყუდებულ ვულკანურ მწვერვალ მონტევერჯინემდეც ძირითადად ვაკე გზა გაწოლილიყო და 214 კილომეტრის დიდი ნაწილი მრბოლებმა პელოტონად ანუ ერთმანეთისგან განუყოფლად გაიარეს, ბოლო 30-იოდ კილომეტრში კი აღმართიც დაიწყო და ასე 30-კაციანმა მოიერიშე გუნდმა ძირითადი მასა უკან მოიტოვა.



დამიანო კუნეგო (მარჯვნივ) ჯილბერტო სიმონის მუშად წაყვა, ბოლოს კი ისიც და ყველა სხვაც ჩამოიტოვა

მთა აწრთობს და აშიშვლებს ველომრბოლთა ნებისყოფას. ნამდვილი კაცები მხოლოდ მთის ფერდობებზე გამოჩნდებიან, სადაც მხოლოდ სწრაფი ფეხი ვერ გიშველის, თუ ბუნებას გამოძლეობა არ უბოძებია და ყელში ამოჩრილი დაღლილობის უკან ჩაბრუნება არ შეგიძლია. გუნდის ვარსკლავმა, ჰაჰა, ერთი-ორი მცველი წაიყოლოს და ორიოდ კილომეტრი თავის მაგივრად ამუშაოს, მერე კი საკუთარი ფეხების და ტვინის იმედად რჩება.

საერთო ჩათვლის ლიდერსა და შარშანდელ ჩემპიონს ჯილბერტო სიმონის 22 წლის ყოჩაღი პირადი მცველი ანუ შავი სამუშაოს შემსრულებელი, ველო-ლექსიკონით კი „გრეგარი" დამიანო კუნეგო წაჰყვა მონტევერჯინეზე იერიშში. 17-კილომეტრიანმა და 5-გრადუსიანმა შეუსვენებელმა აღმართმა ბევრი მიასავათა და მოსწყვიტა წინ გაჭრილებს. რიგრიგობით დაწინაურდნენ ჯულიანო ფიგერასი, სტეფანო გარძელი, იაროსლავ პოპოვიჩი, სერგეი გონჩარი და, რა თქმა უნდა, ჯილბერტო სიმონი... მაგრამ ყველაზე ყოჩაღი სიმონის საშველად წასული კუნეგო გამოდგა. ჭაბუკმა და შორსწამსვლელმა იტალიელმა ფეხებს ტვინიც მიაშველა და სწორედ საჭირო დროს გაიჭრა წინ, გადაღლილი ვარსკვლავები ველარ მისდევდნენ. მე-6 ადგილამდე ჩაგორდა სიმონიც, კუნეგომ კი პირველმა ააღწია მონტევერჯინეს საავლოსიპედე გზის კენწეროში და ხალხიც აალაპარაკა — ეს ბიჭი განსვენებული მარკო პანტანის სიმაღლეებს დაიპყრობსო, ვინძლო წლეულსაც შეძლოს ჯიროს მოგებაო.

წინ უამრავი გორაკი და ათეულობით სუნთქვისშემკვრელი უღელტეხილია გადასაგორებელი და საერთო გამარჯვებაზე საუბარიც ნაადრევია. თავად კუნეგოც თავმდაბალი ბიჭი გამოდგა და მოკძალებით თქვა — დიდ მრბოლებთან როგორც მივალ, მართალია მთაში არა მიშავს, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლებში მოვიკოჭლებ, თანაც ჯერ ბოლომდე არ გამომიცდია ჩემი გამძლეობაო. ისე, კი მაგრად დაიღალა, ხუთნახევარი საათი პედლების ტრიალის შემდეგ პოდიუმზე შემდგარს იმის თავიც აღარ ჰქონდა, შამპანურის ბოთლი გაეხსნა და კაი ხუთი წუთი ეჯაჯგურა.

ეს არაფერი, ყოველ შემთხვევაში მან თანამემამულე ალესანდრო პეტაკიზე არანაკლები პატივისცემა დაიმსახურა. პეტაკი მთაზე როგორ ავა, მას ის თუ შეუძლია, ვაკე-ფინიშებზე ბოლო ასეულ მეტრებში სხვებზე სწრაფად მოკურცხლოს. მე-8, მცირებორცვიანი ეტაპიც, რა თქმა უნდა, მან მოიგო. ეს მისი მე-4 გამარჯვებაა ამ ჯიროზე, მაგრამ რაღ უნდა, საერთო ჩათვლაში ის სადღაც ძალიან, ძალიან, ღრმადაა ჩაკარგული.

**ქოტე ყორშია**

### მე-7 ეტაპი. 15 მაისი. ფროზინონე — მონტევერჯინე. 214 კმ

| | |
|---|---|
| 1 დამიონო კუნეგო (იტალია) საეკო | 5 სთ, 26 წთ, 25 წმ |
| 2 ბრედლი მაკგი (ავსტრალია) FDJEUX.COM | |
| 3 ფრანკო პელიცოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი | |
| 4 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიჩე პანარია | |
| 5 სტეფანო გარძელი (იტალია) ვინი კალდეროლა | ყველა იგივე დრო |
| 6 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო | +3 წმ |
| 10 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბუკრედიტი | იგივე დრო |

### მე-8 ეტაპი. 16 მაისი. ჯიფონი — პოლიკორო. 214 კმ

| | |
|---|---|
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია) ფასა ბორტოლო | 4 სთ, 52 წთ, 49 წმ |
| 2 ტომას ვაიტკუსი (ლიტვა) ლენდბოუკრედიტ | |
| 3 ოლაფ პოლაკი (გერმანია) გეროლსტაინერი | იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დამიანო კუნეგო (იტალია) საეკო | 37 სთ, 54 წთ, 37 წმ |
| 2 ჯილბერტო სიმონი (იტალია) საეკო | +10 წმ |
| 3 ფრანკო პელიცოტი (იტალია) ალესიო-ბიანკი | +28 წმ |
| 4 იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) ლენდბოუკრედიტ | +31 წმ |
| 5 ჯულიანო ფიგერასი (იტალია) კერამიჩე პანარია | +52 წმ |





მარკუს გრონჰოლმი

## WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში მეხუთე ეტაპი. კვიპროსი

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 4სთ;58.44,5 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 54,0 |
| 3 | მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 1.09,1 |
| 4 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 3.18,0 |
| 5 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 7.09,0 |
| 6 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 10.23,1 |
| 7 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) | 10.34,9 |
| 8 | იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) | 14.10,7 |

**საერთო ჩათვლა**

1 მარკუს გრონჰოლმი 34 ქულა; 2 სებასტიენ ლოები 33; 3 მარკო მარტინი 32; 4 პეტერ სოლბერგი 26; 5 კარლოს საინსი 18; 6 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 14; 7 მიკო ჰირვონენი 8; 8 ჰარი როვანპერა 8; 9 იანე ტუოინო 6; 10 ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 4

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 53 ქულა, სიტროენი 51, პეჟო 47, სუბარუ 36, მიცუბისი 5

# კანადის გუნდი

კანადელებმა კალგარიში გამოაცხადეს ჰოკეის მსოფლიოს თასისთვის საბრძოლოდ მზად [illegible] გუნდის შემადგენლობა. 25 მოთამაშეში ნიდემაიერიცაა. ცერემონიალი კი იმგვარი იყო, რომ დიდ სვიტერებში გამოწყობილი პატარა ბიჭების ხილვა ყველას ახალისებდა. გუნდის დირექტორი სტივ ტამბელინი იჯნება (მარცხნივ), პასუხისმგებელი დირექტორი კი უეინ გრეცკი (მარჯვნივ).



REUTERS კალგარიდან


REUTERS ბალტიმორიდან

# დიდი ამერიკული

ბალტიმორის ახლოს, პიმლიკოში გაჩურდა ამერიკის სამი დიდი დოღიდან ერთ-ერთი, რომლის დასკვნითი რეისიც, პრიკნის სტეიკსია. პირველი შეჯიბრი ცხენმა „ანკორკდმა" და ჟოკეი აბელ კასტელანომ მოიგეს. 129-ე პრიკნის სტეიკსი კი დღის ბოლოსკენ უნდა გამართულიყო.



REUTERS ზადარიდან

ადრიატიკაზე, ხორვატიის ზადარის ახლოს, ქალ იახტსმენთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს „470" კლასის იახტათა შორის, მეათე რეისი ამერიკელებმა, კეტრინ მაკდაუელმა და იზაბელ კინსოლვინგმა მოიგეს.

# ჩემპიონი ზემოდან

ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ფიცხელი ბრძოლებია. ქალთა შორის 48 კილოგრამამდე წონის ჩემპიონობა რუმინელმავე ალინა დუმიტრუმ (ზემოდან) მოიგო, რომელმაც ბელარუსი ტატიანა მოსკვინა დაამარცხა.


REUTERS ბუქარესტიდან


REUTERS ინდიანაპოლისიდან

# მზადება

წლევანდელი „ინდიანაპოლის-500"-ის საკვალიფიკაციო შეჯიბრებანი უკვე დაიწყო და ცხადია, იქაური ჩქარი გზის შორიახლოთ „ანდრეტის" პილოტი, დარიო ფრანჩეტი, რომელიც დასვენებისას თავის მსახიობ ცოლს, ეშლი ჯადს ელიმილება. „ინდიანაპოლის-500"-სთვის კი 88-ე სეზონი ჩამომდგარა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge